საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

დ ღ ი უ რ ი

— ერთა ლიგის სესიაზე მოხდა ლიგის საბჭოს არამუდმივ წევრების არჩევნები.
— იტალიის კომპარტია მოუწოდებს მუშებს შემწეობა აღმოუჩინონ გაფიცულ მემაღაროებისათვის.
— შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტია შედის მეორე ინტერნაციონალში.
— ოსმალეთში ძლიერდება ინტერესი საბჭოთა კავშირისადმი.
— დაიხურა ნიჟნი - ნოვგოროდის ბაზრობა.
— საპარლამენტო არჩევნები კანადაში კონსერვატორების დამარცხებით დამთავრდა.

პარასკევი, 17 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 212 (1757)

არჩევნები ერთა ლიგის საბჭოში

ეხლა ჟენევაში სწარმოებს ერთა ლიგის უკანასკნელი სხდომები. ჟენევის ოჯახური დღესასწაული თავდება. მას შემდეგ, რაც გერმანია დიდის ზეიმით „განათლებულ“ ერთა საზოგადოებაში იქნა მიღებული, გუშინ „საჩუქრების“ განაწილება მოხდა ოჯახის იმ წევრებს შორის, რომელთაც ეს „დაიმსახურეს“. ჟენევიდან მიღებული რადიოს მიხედვით, გუშინ დაანაწილეს არამუდმივი ადგილები ერთა ლიგის საბჭოში. ეს „წარმატება“ ცხრა სახელმწიფომ მიიღო, სახელდობრ: სალვადორმა, ჩილიმ, ურუგვაიმ, ბელგიამ, რუმინიამ, პოლონეთმა, ჩეხო-სლოვაკიამ, ჩინეთმა და ჰოლანდიამ.

შეიძლება ბევრს გაუგებრად ეჩვენოს საბჭოში ამ ახალი წევრების არჩევა. ჩილის, ურუგვაის და სალვადორს დიდი პოლიტიკური წონა არა აქვთ საერთაშორისო პოლიტიკაში. ამისდა მიუხედავათ, მათ დღევანდელ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვთ ერთა ლიგისთვის. ბრაზილიის გამოსვლის შემდეგ ერთა ლიგიდან ამერიკაში დაიბადა აზრი პანამერიკული ლიგის დაარსებისა. ამ გეგმის განხორციელებას მოჰყვებოდა ყველა სამხრეთ-ამერიკულ სახელმწიფოების გამოსვლა ერთა ლიგიდან და ჟენევის „სამშვიდობო“ დაწესებულება წმინდა ევროპიულ ორგანიზაციათ გადაიქცეოდა. ეს საფრთხე მით უფრო დიდია, რომ შეერთებული შტატებიც მტრულად არ უცქერიან პანამერიკული ლიგის იდეას. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ერთა ლიგამ ეს სამი პატარა სამხრეთ-ამერიკული სახელმწიფო საბჭოს წევრებათ აირჩია და, ამ რიგად, ევროპიული ფარდა ამერიკული ფერებით შეღება. ასეთივე სადემონსტრაციო ხასიათის აქვს ჩინეთის არჩევას. მაგრამ ეს არჩევა მოხდა არა მარტო იმისთვის, რომ ერთა ლიგისთვის მსოფლიო ორგანიზაციის ნიღაბი ჩამოეფარებიათ. ჩინეთის კანდიდატურას განსაკუთრებით ინგლისმა დაუჭირა მხარი, იმ ინგლისმა, რომელიც ყველაზე აგრესიულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს ჩინეთში. ეს მოულოდნელი „სიმპატია“ ჩინეთისადმი იმით აიხსნება, რომ ინგლისის დიპლომატიას ჩან-ძო-ლინის გამარჯვების იმედი აქვს. ჩემბერლენი დარწმუნებული არის, რომ პეკინის მთავრობის წარმომადგენელი ერთა ლიგაში ისეთივე მორჩილი იარაღი იქნება საერთაშორისო იმპერიალიზმისთვის, როგორიც ჩან-ძო-ლინია. ჩინეთის არჩევა არის არა დათმობა, არა აღმოსავლეთის ერების უფლებების აღიარება, არამედ მორიგი ოინბაზობა ინგილისის დიპლომატიის მხრივ.

ახლად არჩეულ ევროპიულ სახელმწიფოებიდან ბელგია აძლიერებს საფრანგეთის გავლენას ერთა ლიგაში, ბელგიის წარმომადგენელი ბრიანის პოლიტიკას დაუჭერს მხარს.

უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პოლონეთისა, რუმინიისა და ჩეხო-სლოვაკიის არჩევას. ეს ნიშნავს არა მარტო ანტისაბჭოთა ფრონტის გაფართოებას, არამედ გერმანიის გავლენის შემცირებასაც ერთა ლიგაში. პოლონეთმა და რუმინიამ რამდენიმე დღის წინათ ხელშეკრულება დასდვეს, რომელიც გამოხატავს მათ მტრულ განწყობილებას არა მარტო საბჭოთა კავშირისა, არამედ აგრეთვე გერმანიის მიმართაც. ჩეხო-სლოვაკიისა და გერმანიას შორისაც დიდი წინააღმდეგობა არსებობს, ერთი მიტომ, რომ ჩეხო-სლოვაკიაში სამ მილიონ ნახევარი გერმანელი სასტიკ ეროვნულ ჩაგვრას განიცდის და მეორე, კიდევ მიტომ, რომ ამ სახელმწიფოებს შორის ბოლო დროს გამწვავებული ეკონომიური კონკურენცია სწარმოებს.

როგორც ეს არჩევნები ერთა ლიგის საბჭოში, ისე ჟენევის სხდომების მთელი მიმდინარეობა ამტკიცებს, რომ ერთა ლიგას არ ძალუძს მშვიდობიანობის საქმე წინ წასწიოს; პირიქით, გერმანიის შესვლა „განათლებულ ერების ოჯახში“ კიდევ უფრო გაამწვავებს იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგობებს. უკვე ნათლად სჩანს იმის ნიშნები, რომ ახალი იმპერიალისტური შეჯგუფება იქმნება, რომ გერმანიას ერთა ლიგაში მტრული ალყა ერტყმის გარს.

ამ გარემოებას ახლა თვით გერმანიაშიც კი გრძნობენ. გერმანული გაზეთების წერილებიდან მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ვერ მიიღებს, თითქო ქვეყანა ისტორიული გარდატეხის მომენტს განიცდიდეს, როგორც ამას ინგლისის მთავრობის პრესა ამტკიცებს. გერმანული გაზეთების დიდი უმრავლესობა, „ფორვერტსისა“ და ორიოდე გამოცემის გამოკლებით, მეტად თავდაჭერილად მსჯელობს. და ერთა ლიგის საბჭოს გუშინდელი არჩევნები გვიჩვენებს, რომ ამ თავდაჭერილობას ჩქარა იმედის გაცრუება მოჰყვება, იმედის გაცრუება ერთა ლიგის სამშვიდობო მუშაობაში, ჩემბერლენის „კეთილ განზრახვებში“.

საგადასახადო ნარჩენთა ლიკვიდაცია სოფლად

ომამდე სოფლის მოსახლეობის საგადასახადო ნარჩენი თითქმის ყოველთვის აღწევდა 30 და 40 პროც-მდე, რომელიც წლიდან-წლამდე გადადიოდა და გაუნაღდებელი რჩებოდა.

ამჟამად ჩვენ არა გვაქვს ასეთი შემთხვევები, თუ არ ჩავსთვლით 1924—25 წ.წ., როცა გლეხობისათვის მთელ რიგ შეღავათების დაწესებით, გადასახადი ძალიან შემცირდა. 1925—26 წ. გადასახადის უდიდესი ნაწილი თითქმის მთელ კავშირში შემოვიდა (88 პროც.); 15 აგვისტოსათვის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ნარჩენი აღწევს 30 მილ. მან., რაიც შეადგენს პირველად შეწერილ გადასახადის 12,1 პროც-ს; ეს პროცენტის რაოდენობა იცვლება კავშირის სხვადასხვა ნაწილებში — ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები; — ამასთანავე, საქართველოში იმავე რიცხვისათვის შემოუტანელი დარჩა 147.372 მან., რაიც მთელი რესპუბლიკის გადასახადის რაოდენობის მხოლოდ 8,5 პროც-ს შეადგენს.

თუ ჩვენ შევადარებთ წარსულ წლების ნარჩენი თანხების შემოტანის ტემპს მიმდინარე წელთან (25—26 წ.) თვეების მიხედვით, ჩვენ მივიღებთ მნიშვნელოვან განსხვავებას უკანასკნელის (25—26 წ.) სასარგებლოდ, სახელდობრ: წარსული წლის აპრილში შემოვიდა ნარჩენი — 43.902 მან. მიმდინარე წელში—195.431 მან.

წარსულ წლის მაისში — 18.043 მან., მიმდინარე წელში — 28.263 მან.

წარსული წლის ივნისში—6.363 მან., მიმდინარე წელში — 15.170 მან. წარსული წლის 1 აგვისტოსათვის ნარჩენი სულ იყო 15 პროც-ზე მეტი, მიმდინარე წელში კი მხოლოდ—9 პროც-მდე.

ძირითად სახელმწიფო გადასახადების სხვა დარგებთან (სამრეწველო გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი) შედარებით სასოფლო - სამეურნეო გადასახადი გაცილებით უკეთ იკრიბება.

წარსული წლის ნარჩენების შემოტანის ზრდა მიმდინარე წელში ადგილობრივი ორგანოების და გადასახადის აპარატის მუშაობის გაუმჯობესების მაჩვენებელია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ და ვსთქვათ, რომ ამ ფრონტზე ყველაფერი რიგზეა.

უპირველესად ყოვლისა თვალში გეცემათ ის ფაქტი, რომ ნარჩენის დიდ წილს შეადგენს სახელმწიფო სამეურნეო წარმოებანი (ტრესტები და საბჭოთა მეურნეობანი). მაგ. ბორჩალოს და სხვ. მაზრებისა და აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობებს წლობით არ შექონდათ და არ შეაქვთ გადასახადი, მრავალჯერ მოგონებისა და გაფრთხილების მიუხედავათ. მაგალითად, 24—25 წ. ბორჩალოს მაზრაში მთელი ნარჩენი შეადგენს— 9.251 მან. 98 კაპ., აქედან მხოლოდ საბჭოთა მეურნეობებზე დღემდე ირიცხება 5.802 მან. 44 კაპ., რაც შეადგენს მაზრის მთელი ნარჩენის 60 პროც-ზე მეტს. ასეთი შემთხვევები ბევრია.

ჩვენი სახელმწიფო ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდის და ამიტომ გადასახადის შეტანის დაგვიანებამ, მცირე ხნითაც კი, შეიძლება დეზორგანიზაცია გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის ნაწილის აღსრულებაში. ეს პირველ რიგში შეგნებულ უნდა იქნას საბჭოთა მეურნეობების მიერ, რომელთა მხრივ განსაკუთრებით დაუშვებელია საგადასახადო დისციპლინის დარღვევა.

გლეხთა მოსახლეობის საგადასახადო ნარჩენი რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. უეჭველია, არის ისეთი უიმედო ნარჩენები, რომელნიც გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი გლეხის დაბეგვრის დროს მოხდა გაუგებრობა, უმთავრესად ჩვენი დაბეგვრის სისტემის ნაკლის გამო. ყველგან და ყოველთვის სულობრივი პრინციპი (რაც ნაკლებ სულია ოჯახში, მით უფრო მეტია გადასახადი) სდგებოდა ასეთი გარემოების წინაშე: ოჯახი 2—3 მჭამელით, რომელთაგან ერთი ქვრივია და ორი ბავშვი, იბეგრებოდა 10—15 მან., მაშინ როდესაც ამ ოჯახს არ ყავდა შრომის უნარის მქონენი და სიმშილს განიცდიდა. მეორეს მხრით, გადასახადის დადება სახნავისა და არა ნათესის მხრით, იწვევდა დაუმუშავებელი მიწის დიდი სივრცის დაბეგვრას, ე. ი. გადასახადის დადებას ისეთ მიწაზე, რომელიც არავითარ შემოსავალს არ იძლეოდა. ჩვენი დაბეგვრის სისტემის მიხედვით, ასეთი შემთხვევები იქნება ყველა მეურნეობათა რიცხვის არა ნაკლებ 5—6 პროც-ისა, და მაშასადამე ნარჩენთა ნახევარი უნდა მიეკუთვნოს ამ კატეგორიას. როგორია დანარჩენი ნაწილის ხასიათი? აქ ჩვენ, უეჭველია აღმოვაჩენთ ისეთ ელემენტებს, რომლებსაც აქვთ საშუალება გადასახადის შეტანისა, მაგრამ არ უნდათ შეიტანონ, რითაც ისინი აბრკოლებენ ყოველგვარ გადასახადის შეტანას. მეზობლები სამართლიანად მიუთითებენ ხოლმე ასეთ პირებზე, რომლებმაც ძველი გადასახადი არ შეიტანეს და დაუსჯელი დარჩენ. დაუსჯელათ რჩებიან ისინი იმიტომ, რომ ადგილობრივი სათემო ორგანოები არ იღებენ რეპრესიულ ზომებს მათ წინააღმდეგ. კანონი ცხადად და გარკვეულად აღნიშნავს: როგორ შემთხვევებში და როგორ ნარჩენების გამო უნდა იქნას მიღებული იძულებითი ზომები (ქონების აღწერა და საჯაროდ გაყიდვა) და თუ ზოგიერთი სათემო აღმასკომები მაინც იჩენენ გულგრილობას ამ საკითხში (ეყრდნობიან რა ვითომც „პოლიტიკას“, სიფრთხილის გამოჩენას გლეხობის მიმართ და სხვ.) მაშინ გადასახადის შემოუტანლობის (როგორც ნარჩენის, ისე ახალი გადასახადის) პასუხისმგებლობა სავსებით ეკისრება მათ.

უკვე საკმაო ხანი გავიდა (6 თვე) იმისათვის, რომ გამორკვეულ იქნას: ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია გადახდა და დროა გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული იმათ წინააღმდეგ, რომლებსაც შეძლება აქვთ და არ სურთ გადასახადის შეტანა; მათ წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული კანონით ნებადართული ზომები, რომ საბოლოოდ ლიკვიდაცია მოუხდინოთ ნარჩენს და აღვადგინოთ საკმაოდ დაცემული საგადასახადო დისციპლინა გლეხობის ზოგიერთ წრეებში. ყველაზე მეტი ნაკლი აქვს ამ მხრივ დუშეთის მაზრას (12 პროც.), თბილისის (15 პროც.), ზუგდიდის (12 პროც.), ოზურგეთის (30 პროც.) და აჭარისტანის (11 პროც.).

ეხლა იწყება 1926—27 წ. გადასახადის აკრეფის ახალი კამპანია, ნარჩენი თანხები შეტანილ იქნება მიმდინარე წლის საგადასახადო ფურცლებში და კანონის თანახმად, პირველ ვადაში (1 ნოემბრისათვის) უნდა შეგროვდეს მთლიანად. ჩამორჩენილი მაზრები მთელი თავისი ძალღონით უნდა შეეცადონ, რომ ნარჩენი აკრეფილ იქნას სრულათ, მით უფრო, რომ გადასახადის აკრეფის მომენტი ხვდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის პერიოდს და გლეხებისათვის ადვილი იქნება ამ ამოცანის შესრულება.,

მხოლოდ საჭიროა, რომ კეთილსინდისიერად და ენერგიულად მოეპყრონ თავის მოვალეობას ადგილობრივი ორგანოები.

ვიმეორებთ, წარსული წლების ნარჩენთა შეგროვების წარმატებით ჩატარება ახალი გადასახადის წარმატებით აკრეფის გარანტიას წარმოადგენს.

გ. მ.

კანტონის ჯარების შეტევა რეაქციის წინააღმდეგ

უ-პეი-ფუს ჯარები უკან იხევენ მთელ ფრონტზე

იაპონიის და ამერიკის საკონსულოებს ჩინელები შანხაიში თავს დაესხნენ

უცხოელები გარბიან საომარ მოქმედების ასპარეზიდან

კანტონის ჯარები

პეკინი, 15 სექტემბერი. იუწყებიან, რომ უ-პეი-ფუმ თავისი მთავარი ბანაკი სინ-იან-ჩჟოუში, ხენანის სამხრეთ ნაწილში გადაიტანა.

კანტონის ჯარები ნელ-ნელა მიიწევენ წინ პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზის გასწვრივ და პროვინცია ხუბეის ანთავისუფლებენ უ-პეი-ფუს ჯარებისაგან. რკინის გზის ხაზის დასაჭერად და ჩრთილოეთიდან უეცარი შეტევის თავიდან ასაცილებლად ამ მიმართულებით წამოიყვანეს მცირე რაზმები, მაგრამ კანტონელების მთავარი ძალა ცზიან-სის წინააღმდეგ არის მიმართული.

რთული მდგომარეობისა და სუნ-ჩუან-ფანის სამხედრო - საზღვაო ძალების ზღვიდან თავდასხმის შესაძლებლობის გამო, სვატოუს (ნავთსადგური გუანდუნის ჩრდილოეთის ნაწილში) ხელისუფლებამ გემების მოძრაობის კანტროლისათვის ნაოსნობის ახალი წესები შემოიღო.

მდგომარეობა ხანკოუში

პეკინი, 15 სექტემბერი. **უცხოეთის წყაროები მეთხზულ ცნობებს ავრცელებენ ხანკოუში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.**

რეაქციონური ინგლისური გაზეთიც კი „პეკინ ენდ ტიან-ცზინ ტაიმსი“ იძულებულია აღიაროს, რომ **არ შეეფერება სინამდვილეს ცნობა იმის შესახებ, თითქოს ხანკოუში დაესხნენ უცხოეთის კონცესიას, ვითომც მოჰკლეს 38 უცხოელი და საქმეში ჩაერიენ უცხოეთის სამხედრო გემები.**

მართლდება ხანკოუში მყოფ უცხოეთის კონსულების ცნობა, რომ **ქალაქში სრული წესრიგია;** არც ერთი უცხოელი არ მოუკლავთ და არც დაუჭერიათ. უცხოელთა ქონებისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ.

თეთრგვარდიელები

პეკინი, 15 სექტემბერი. პეკინის პოლიციის უფროსმა გენერალმა ლი-შოუ-ჩინმა გასცა ბრძანება მოხდეს იმ რუსების (მხედველობაშია თეთრი ემიგრანტები და ნეჩაევის რაზმის ყოფილი ჯარისკაცები) აღწერა, რომელნიც პეკინში და მის მიდამოებში სცხოვრობენ. **ბოროტმოქმედი ელემენტები და ის პირები, რომელთაც გარკვეული ხელობა და საქმე არ აქვთ, გადასახლებულ იქნებიან.**

უკანასკნელი კვირის განმავლობაში დააპატიმრეს ბევრი თეთრი ემიგრანტი, რომელნიც ქურდობასა და ძარცვა-გლეჯას ეწეოდენ.

ხანკოუში სიწყნარეა

ლონდონი, 16 სექტემბერი. ცენტრალურ ჩინეთიდან მიღებულ სარწმუნო ცნობებით, **ხანკოუში სრული სიწყნარეა.** საკონცესიო ტერიტორიის მოსახლეობას არავითარი შიში არ მოელის. იან-ცზე-კიანგის გაღმა დაბანაკებული ვუ-ჩანის რაზმი ჯერ კიდევ უმაგრდება კანტონის ჯარებს, რომელმაც შესუსტა თავისი იერიშები, ალბად, მის ჯარებზე პროვინცია ხუან-სიში ანტიკანტონურ ჯარების სარდალის — სუნ-ჩუან-ფანის მიერ იერიშების მიტანის ზეგავლენით.

ზემო იან-ცზე-კიანგზე ავიდნენ ამერიკული და სხვა უცხო გემები ყველა იმ უცხოელთა წამოსაყვანათ, რომლებსაც სურთ გამომგზავრება.

მოლაპარაკება კანტონის მთავრობის მიმართ მტრულად განწყობილ ერთ-ერთ გენერალის — იან-სენის მიერ გატაცებულ ინგლისურ გემების უკან დაბრუნების შესახებ, როგორც სჩანს, წარმოებული იქნება ი-ბანში. ინგლისელების მხრივ მოლაპარაკებას აწარმოებს ამირბარი **კამერუნი.** ცნობები მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ ჯერ არ არის მიღებული. გენერალ იან-სენმა განაცხადა, რომ ის მზად არის დააბრუნოს უკან ორივე გემი.

ამხ. სავრასოვის განცხადება

ხარბინი, 15 სექტემბერი. მუკდენის ხელისუფალთა მტაცებლობის შესახებ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში გზის მმართველობის თავმჯდომარემ ამხ. სავრასოვმა განაცხადა:

„მუკდენის ხელისუფლების მიერ გზის სანაოსნო ქონების გატაცება - დასაკუთრება წარმოადგენს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გარშემო დადებულ მუკდენ - საბჭოთა ხელშეკრულების მეორე მუხლის დარღვევას. ამ მუხლით მუკდენის ხელისუფლება ვალდებულია ყველა სადავო სანაოსნო საკითხები განიხილოს ცალკე კომისიაში ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან“.

მუკდენის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის სასწავლო განყოფილების დახურვის შესახებ ამხ. სავრასოვმა განაცხადა:

„აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზამ უკვე გამოიმუშავა თავისი შეხედულებები ამ საკითხის შესახებ და 1924 წლის 11 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ გზის სკოლების ჩინეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა გამოიწვევდა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვიდან ამ სკოლების შესანახ ხარჯების ამოშლას. ამ დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერს რკინის გზის სამმართველოს ჩინელი თავმჯდომარე, ნათქვამია, რომ ამ სკოლების საგზაო უწყებიდან მოხსნა ვერ გატარდება ცხოვრებაში გზათა მმართველობის თანხმობის გარეშე და რომ ამ შემთხვევაში გზათა სამმართველო იძულებული გახდება დასვას საკითხი სკოლების შესანახ ხარჯების შემდეგში გაწევის შესახებ.

გზათა სამოსწავლო განყოფილების არსებობა არ წარმოადგენს ჩინეთის სუვერენიტეტის დარღვევას იმდენად, რამდენად ჩინეთში დაშვებულია კერძო სკოლების არსებობა. **ჩვენ სრულად და ყოველგვარ პირობის გარეშე ვცნობთ ჩინეთის ხელისუფლების ზედამხედველობას გზის ამ სკოლებზე; ამ სკოლების შესანახად, რომელშიც სწავლობენ რკინისგზელთა შვილები, ვხარჯავთ რა წელიწადში 2 მილიონ მანეთამდე,** ჩვენ არ შეგვიძლია დავთანხმდეთ იმაზე, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამ სკოლებისადმი, განისაზღვროს მარტო ფინანსების მიწოდებით. თუ ჩინეთის ხელისუფლება პრინციპიალურად აღიარებს გზების უფლებას იზრუნოს რკინისგზელთა ყოფა-ცხოვრებაზე, მაშინ გზას უფლება აქვს, როგორც კერძო სასწავლებლის დირექტორს, იზრუნოს თავის სკოლებზე, როგორც პატრონმა.

საკითხის ასე დაყენება სრულებით არ ლახავს, ცოტაოდნად მაინც, ჩინეთის სუვერენულ უფლებებს. ამის გამო, გზის სასწავლო ნაწილის ძალადობითი ლიკვიდაცია წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბჭოთა მთავრობის უფლებების დარღვევას. **მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში პასუხისმგებლობა ჩვენ როდი გვედება. ჩვენ გულწრფელად მზად ვიყავით და მზად ვართ კიდეც შევთანხმდეთ ყველა სადავო საკითხების გარშემო. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვითმინოთ მუკდენის ხელისუფალთა ცალმხრივი აქტი“.**

თავდასხმა ამერიკის კონსულზე

ბერლინი, 16 სექტემბ. პეკინიდან იუწყებიან, რომ **ამერიკელ კონსულზე ხარბინში მოახდინეს თავდასხმა ჩინელ ჯარისკაცებმა.**

თავდასხმა იაპონიის კონსულზე

ბერლინი, 16 სექტემბ. **კორეიელმა ანარხისტმა ყუმბარა ესროლა იაპონიის საკონსულოს შანხაიში.** მოკლულია ერთი კაცი.

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 16 სექტემბერი. კომინტერნის აღმასკომი მთელი ქვეყნის მუშებისადმი მიმართვაში აღნიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოების შეიარაღებული ინტერვენციის საფრთხე ჩინეთში უდიდეს სახეს ღებულობს. ტოკიოში სწარმოებს მოლაპარაკება ინგლის-იაპონიის მთავრობათა წარმომადგენლების ინტერნაციონალისტურ მოქმედებათა გაერთიანების შესახებ. სხვა დიდი სახელმწიფოები შეეცდებიან თავის დროზე მიიღონ ზომები ნადავლის გაყოფაში მონაწილეობის მისაღებად. ინტერვენციის სრული განვითარება შესაძლებელია უახლოესი დღეების საკითხი იყოს. შეეხო რა ჩან-ძო-ლინის გამოსვლას, კომინტერნის აღმასკომი აღნიშნავს, რომ ეს მოქმედება არის პირდაპირი პროვოკაცია, რომლის მიზნად შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ჩათრევა სამხედრო მდგომარეობის გართულებაში. ჩან-ძო-ლინის ამ გამოსვლას, ყოველ ეჭვს გარეშე, ხელს უწყობს ინგლისის იმპერიალიზმი. ინტერვენციის უდიდესი გეგმა, რომელიც შედგენილია აშკარად ინგლისის ხელმძღვანელობით, მიმართულია არა მარტო ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც. ინგლისის ინტრიგა შორეულ აღმოსავლეთში დაკავშირებულია იმ ღონისძიებებთან, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასავლეთიდან და სამხრეთიდან. კომუნისტური ინტერნაციონალი, აქცევს რა მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მუშების და გლეხების ყურადღებას იმ დიდ საფრთხისაკენ, რომელიც მოსალოდნელია დიდი სახელმწიფოების ახალი ინტრიგების გამო, მოუწოდებს ყველა მშრომელებს შეაჩერონ იმპერიალისტური მძარცველების ხელი ყოველგვარი საშუალებებით და წინააღუდგენ ახალ ინტერვენციას.

„მარშალის ბრძანება“

ხარბინი, 15 სექტემბერი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოში მიღებულია მუკდენში მყოფ სამმართველოს ჩინელ თავმჯდომარისაგან წერილი, რომელშიაც იტყობინება, რომ თანახმად ჩან-ძო-ლინის მიერ ტელეგრაფით გამოგზავნილ განკარგულებისა, წინადადება ეძლევა სამი აღმოსავლეთ პროვინციის განსაკუთრებულ განყოფილების უფროსს შეუდგეს სამოსწავლო განყოფილების საქმეების ჩაბარებას. ამიტომ სამმართველოს თავმჯდომარე წინადადებას აძლევს რკინის გზის სამმართველოს შეასრულოს მარშალის ბრძანება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თანახმად მუკდენ-საბჭოთა ხელშეკრულებისა, სამმართველოს თავმჯდომარეს არა აქვს უფლება გასცეს რაიმე განკარგულება სამმართველოს თავმჯდომარის ამხანაგის, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის თანხმობისა და ხელის მოწერის გარეშე.

კანტონის გამარჯვება

პეკინი, 15 სექტემბერი. შანხაიდან იუწყებიან, რომ **ცზიან-სის პროვინციაში, ხუნანის პროვინციის მახლობლად, სწარმოებს ბრძოლა.**

კანტონის სარდლობა იუწყება თავისი ჯარების ახალ გამარჯვებებზე ცზიანსიანის აღების შემდეგ. მაგრამ ფიქრობენ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა მომავლის საქმეა. ხანკოუდან ჩრდილოეთით კანტონის ჯარები მიიწევენ პეკინ-ხანკოუს რკინის გზის გასწვრივ და მიაღწიეს უშენკანის სადგურს, ხენანის პროვინციის საზღვარზე.

რეიტერის სააგენტოს ცნობებში წინანდებურად ამტკიცებენ, რომ უჩანი ჯერ კიდევ უ-პეი-ფუს ჯარების ხელშია; **უ-პეი-ფუს ჯარები გამაგრებულია ქალაქის შიგნითა კედლებში და ალყაშემორტყმულია კანტონის ჯარების მიერ,** რომლებიც ემზადებიან საჰაერო სროლისთვის.

ჯარების აჯანყება

პეკინი, 16 სექტემბ. მუ-ჩუნ-ლინის ჯარების აჯანყება კალგანში ჩაქრობილია. მუ-ჩუნ-ლინი და სხვა პირები დააპატიმრეს და გაგზავნეს მუკდენში.

შენიშვნა: როგორც უკვე იყო ცნობა, **მუ-ჩუნ-ლინის კავალერიის რაზმი სექტემბრის დასაწყისში აუჯანყდა ჩან-ძო-ლინს.**

ჩან-ძო-ლინის შვილმა, ჩან-სუ-ელიანმა 9 სექტემბერს პეკინიდან გაგზავნა რაზმი ხუან-ლი-ჩუნის მეთაურობით და უბრძანა ამ უკანასკნელს ალყა შემოერტყა კალგანისთვის და განაეიარაღებია მუ-ჩუნ-ლინის ჯარები.

საერთო მდგომარეობა

პეკინი, 15 სექტემბერი. სამხედრო მდგომარეობა ცენტრალურ ჩინეთში შემდეგ სურათს იძლევა: **ხუ-ბეის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილი გაწმენდილია უ-პეი-ფუს ჯარებიდან, ხუ-ბეის ჩრდილოეთ ნაწილში კანტონის ჯარებმა დაიკავეს გუან-შუი,** პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზზე, ხენანის პროვინციის საზღვრიდან 10 მილის მოშორებით და წინ წაიწიეს შენ-გუანის მთიან გასავლისაკენ, რომელიც წარმოადგენს საზღვარს ხუ-ბეისა და ხენანის პროვინციებს შორის. **ხუ-ბეის პროვინციის დასავლეთი ნაწილიც გაწმენდილია უ-პეი-ფუს ჯარებიდან. უ-პეი-ფუს ბევრი რაზმები, რომლებიც გაფანტული იყვნენ უერთდებიან კანტონის ჯარებს.**

უჩანი ჯერ კიდევ უ-პეი-ფუს ხელშია. უ-პეი-ფუს ერთ-ერთმა გენერალმა —ჩენ-ჩი-ამომ, რომლის ჯარებიც იმყოფებიან კანტონის არმიის მიერ ალყა შემორტყმულ უჩანში და რომლის სიკვდილის შესახებაც გავრცელებული ცნობები უსაფუძვლო აღმოჩნდა, მიმართა კანტონის არმიის სარდლობას თხოვნით ნება დართოს მას ხენანის პროვინციაში დაუბრკოლებლივ გასვლაზე. კანტონის არმიის სარდლობამ უარყო ეს თხოვნა და განაახლა უჩანის წინააღმდეგ შეტევა.

მთელი რაიონი, ხანკოუს და ხანიანის ჩათვლით ქალაქ უჩანისა, **მთლიანად კანტონის ჯარების ხელში იმყოფება.**

კანტონის ჯარებმა დაიწყეს ფართო ფრონტზე შეტევა ცზიან-სის პროვინციის წინააღმდეგ უკანასკნელის ჩრდილოეთ და დასავლეთ საზღვრიდან. ფრონტის ხაზი იწყება ცზიუნ-ძიანიდან ცზიან-სის პროვინციაში და თავდება ხუ-ბეის და ან-ხოუს საზღვართან. ცზიუნ-ძიანი ჯერ კიდევ სუნ-ჩუან-ფანის ხელშია, მაგრამ კანტონის არმიას იმედი აქვს აიღოს ცზიუნ-ძიანი რამდენიმე დღეში. **სია-შუი, ი-ნინი და პინ-იანი უკვე აიღეს კანტონის ჯარებმა.**

სუნ-ჩუან-ფანის ყოფილი მომხრე გენერალი ლაი-ში-გუანი, რომელსაც უჭირავს ცზიან-სის სამხრეთ ნაწილი ქალაქ კან-ჯოუთი, შეუერთდა კანტონის არმიას. როგორც კანტონის ჯარებს, ისე სუნ-ჩუან-ფანს მოსდით მაშველი ძალები.

მოელიან გააფთრებულ ბრძოლას. თუმცა საზავო მოლაპარაკება სამხედრო მოქმედების შესაწყვეტად კიდევ გრძელდება, მაგრამ, საერთო აზრით, ეს მოლაპარაკება მარცხით დამთავრდება.

ბორნემუტი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

როგორია ბორნემუტში ეხლახან დამთავრებული ინგლისის ტრედიუნიონების კონგრესის პოლიტიკური შედეგები? რა შეაქვს ახალი ბორნემუტს პროფესიონალურ და მუშათა მოძრაობაში? რა პროცესებს გამოხატავს ინგლისის პროლეტარიატის მასებში კონგრესის შინაგანი ბრძოლა?

სულ ერთი წელი აშორებს ბორნემუტს სკარბოროს კონგრესიდან. მაგრამ ეს ერთი წელი არაჩვეულებრივია, იგი ინგლისის ნორმალური ცხოვრების ათ წელს უდრის, ესაა წელი კლასიური ბრძოლის არაჩვეულებრივი ინტენსიობისა, წელი მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვისა.

თუ მსჯელობას ვიქონიებთ ბორნემუტში კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლიუციების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ბორნემუტი სკარბოროსთან შედარებით უკან დახევას წარმოადგენს.

ბორნემუტს რომ მხოლოდ სკარბოროს რეზოლიუციები განემეორებია, ესეც იქნებოდა არა ერთი ადგილის ტკეპნა, არამედ უკან დახევა, ვინაიდან ინგლისის მუშათა მოძრაობა ამ წლის განმავლობაში გაიზარდა, ინგლისის მუშათა გამოცდილება მეტად გამდიდრდა. კლასიური წინააღმდეგობანი ინგლისში სწორედ ამ წლის განმავლობაში არაჩვეულებრივად გაშიშვლდნენ. ამ ხნის განმავლობაში მოხდა გენერალური გაფიცვა, მოხდა 12 მაისის გამცემლობა, დაიწყო და გრძელდება მემაღაროეთა გმირული ბრძოლა. ინგლისის კაპიტალი გააფთრებით აწარმოებს შეტევას და ანგრევს პროფკავშირებს, აფურთხებს კონსტიტუციას, მიმართავს რეპრესიებს და სხვ.

ასეთ პირობებში სკარბოროს დონეზე შეჩერება და ძველი აქტიობის შენარჩუნება, მიუხედავათ კლასიური მტერის აქტიობის გაორკეცებისა და გასამკეცებისა, ნიშნავს უკან სვლას და არა წინსვლას.

სკარბოროსთან შედარებით ბორნემუტი უკან დახევაა და ამიტომ ბრიტანეთის პროფმოძრაობის ხელმძღვანელი თავი არ შეიცვალა. თუ პროფმოძრაობის სათავეში კვლავ რჩებიან ბატონი ტომასი და პიუ—გამცემლები, რომლებმაც ინგლისის მუშათა კლასი რეაქციის წინაშე წამოაჩოქეს, თუ პროფმოძრაობის მბრძანებული მაღლობები კვლავ მათ ხელში რჩება, მიუხედავად 12 მაისისა, მიუხედავად დახმარების საბოტაჟისა, მიუხედავად ბოროტი საბოტაჟისა მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხის მიმართ, განა შეიძლება ეს შავი ასოებით ბორნემუტის კონგრესის პასივში არ ჩაიწეროს.

განა გასაგები არ არის ამის შემდეგ ის, რომ შავრაზმული „მორნინგ პოსტ“, რომელიც ასე ტლანძში სვრიდა სკარბოროს კონგრესს, ეხლა ჩქარობს მისცეს ბორნემუტის კონგრესს კეთილსაიმედობის მოწმობა? განა გასაგები არ არის ის, რომ ყვითელი „ფორვერტსი“, რომელიც ამ ერთი წლის წინედ კრინტს არ სძრავდა სკარბოროს კონგრესის შესახებ, ეხლა ბავშვივით ხარობს იმით, რომ კონგრესმა არ აიღო გადამჭრელი კურსი პროფმოძრაობის მთლიანობაზე?

მაგრამ მაინც დაუშვებელი პოლიტიკური გამბედაობა იქნებოდა აქედან იმ დასკვნის გამოტანა, რომ ინგლისის მუშათა კლასი ამ წელს გადიხარა მარჯვნივ. სინამდვილეში წინააღმდეგი მოხდა. ინგლისის თავისებური მდგომარეობა ეხლა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ პროფკავშირულ ხელმძღვანელობის მომხდარი გამემარჯვენება შეეფარდება ინგლისის მუშათა მასების გამემარცხენებას. ბორნემუტი—ეს არის მიჯნა ბელადთა მოძრაობის მარჯვნივ, ხოლო მასების მოძრაობის მარცხნივ გადახრისა. მასსების ბრძოლის თვალსაზრისით ბორნემუტი არის ნაბიჯი წინ. თუ სკარბოროს კონგრესზე წინააღმდეგობა მასსებსა და ბელადებს შორის გარკვევით არ აშკარავდებოდა, თუ მაშინ ბელადები თავის სურვილის წინააღმდეგ, მასების ზედდაწოლით, მშიშრად მაინც მოძრაობდენ მარცხნივ, ბორნემუტის კონგრესზე ეს წინააღმდეგობა უკვე ნათლად გამოაშკარავდა.

ინგლისის პროფმოძრაობის და უმცირესობათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას ასე სასტიკად არას დროს არ გაულაშქრია პროფკავშირულ ბიუროკრატიის წინააღმდეგ, როგორც ბორნემუტის კონგრესზე. მიუხედავათ კონგრესის „მომწყობთა“ ყოველგვარი ცდისა, მიუხედავათ წინა საარჩევნო ხრიკებისა, მიუხედავათ ბელადების იეზუიტურ დახელოვნებისა გამწვავებულ მდგომარეობის მიჩქმალვისა და მტკივნეულ საკითხების მიფუჩეჩებაში (მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა), მიუხედავათ ოპოზიციის წარმომადგენლების ტაქტიკური და პოლიტიკური შეცდომებისა, კონგრესი გადაიქცა შინაგანი ბრძოლის ასპარეზად. ბორნემუტის კონგრესმა გვიჩვენა, რომ ინგლისის პროფკავშირების შიგნით მემარცხენე რევოლიუციონური ფრთა შეუჩერებლივ იზრდება, მტკიცდება და იწმინდება.

ის წინააღმდეგობა, ის „მაკრატელი“, რომელიც ამ ერთი წლის წინად არსებობდა მთელ პროფმოძრაობასა მთლიანად და მუშათა პარტიას შორის (სკარბორო, ლივერპული), ეხლა გადავიდა ინგლისის პროფმოძრაობის შიგნით. ამით ღირს იმ დამახასიათებელი ფაქტის აღნიშვნა, რომ ცენტრალურ ელემენტების როლი ბორნემუტის კონგრესზე გაცილებით მცირე იყო, ვიდრე სკარბოროში. ეს ახალი მომენტები, ახალი ძვრა თავისით გამოხატავენ უკმაყოფილებას და დიფერენციაციას ინგლისის მუშათა კლასში მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვის ზეგავლენით.

მუშათა მოძრაობის ახლო მომავალი ინგლისში და, უმეტესად, თვით ინგლისის კაპიტალიზმის ბედი დამოკიდებულია იმისაგან, წავა თუ არა წინ, ან თუ წავა რა ტემპით, ინგლისის მუშების უკმაყოფილება და მოახერხებენ თუ არა რეფორმისტული ბელადები, რომელთაც ჯერჯერობით ხელში უჭირავთ პროფმოძრაობის ორგანიზაციული, მბრძანებელი მწვერვალები, შეაჩერონ ამ უკმაყოფილების გარეთ გამოხეთქვა.

ინგლისის ბურჟუაზია „ტაიმსი“-ს პირით გამოსთქვამს იმედს, რომ ბ-ნი პიუ და ტომასები მოახერხებენ მასების და მემარცხენების პროცესის შეჩერებას, „მეოცნებეთა და უკმაყოფილოთა მოჭკუიანებას“ და ტრედიუნიონთა მომავალ კონგრესების გადაქცევას წყნარ, „საქმიან“ „მუშათა ინდუსტრიალურ პარლამენტებად“, რომლებისთვისაც უცხო იქნება ყოველგვარი პოლიტიკა და სერიოზული კლასიური ბრძოლა.

საეჭვოა, რომ „ტაიმსი“-ს ეს იმედი გამართლდეს. ინგლისის ბურჟუაზიის მთელი უბედურება იმაშია, რომ თვითვე მას ყოველთვე ფეხქვეშ ეცლება ნიადაგი. ინგლისის სამეურნეო მდგომარეობა უარესდება, მემაღაროეთა გაფიცვამ დასტოვა თვისი კვალი. მისგან მიყენებული ზარალი აურაცხელია. მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის მდივანმა ზარალი პირველ ივლისამდე (გაფიცვის მარტო პირველ ორ თვეში) გამოიანგარიშა 400 მილიონ გირვანქა სტერლინგად (ამ თანხით შესაძლებელია 93 თვის განმავლობაში ინგლისის ყველა მემაღაროეთა შენახვა). დაუშვათ, რომ ეს ანგარიში გადიდებულია და ცალმხრივი. მაგრამ აი ეხლა ისეთი კომპეტენტური აზრი, როგორც „მანჩესტერ გარდიენ“-ის ფინანსიური განყოფილების რედაქტორი, ზამთრისთვის უწინასწარმეტყველებს ინგლისს ფულის სერიოზულ კრიზისს, რომელიც სერიოზულ გართულებებს გამოიწვევს შინაგან ფინანსიურ მდგომარეობაში.

არაა სახარბიელო ინგლისის კაპიტალიზმის დღევანდელი მდგომარეობა. არც მისი მომავალია სახარბიელო. ინგლისის მუშათა კლასის პრესპექტივაა—კაპიტალის იერიშები და ცხოვრების პირობების დაქვეითება. ინგლისის პროფესიონალურმა რეფორმისტებმა წელს გვიჩვენეს, თუ როგორ იცავენ ისინი მუშათა კლასის ინტერესებს და უფლებებს.

პროფკავშირის ლიდერები კიდევ შეეცდებიან შეაფერხონ ინგლისის მუშათა კლასიური ბრძოლა. მაგრამ ინგლისის მუშები ის როდი-ღა არიან, წინედ რო იყვნენ. ამ წელს მათ ბევრი რამ შეისწავლეს. აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ინგლისის მუშათა კლასი, რომელიც თანდათან უფრო მემარცხენდება, დაანგრევს ყველა იმ ზღუდეებს, რომლებსაც უგებენ, და მომავალშიც დაუგებენ, ბრძოლის გზაზე პროფკავშირების ოფიცრალური განდგომილი ბელადები.

(გადმოცემულია ტელეგრაფით)
მოსკოვი, 16 სექტემბერი.

საბჭოთა პრესა

ცოცხალი კავშირი ადგილებთან

სამეურნეო-კულტურული მშენებლობა სოფლად თანდათან ფართოვდება. გლეხობის საზოგადოებრივი აქტივობა იზრდება და ის სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ ორგანოებს. უკანასკნელთა მუშაობა უფრო რთული და მრავალმხრივი ხდება. გლეხური მასსის ჩაბმა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ მუშაობაში, სოფლის ორგანიზაციების გამოცოცხლება და მათი აპარატების გაჯანსაღება — ეს ამოცანები კარგა ხანია რაც წამოჭრილია ჩვენს წინაშე. თავისთავად ცხადია, რომ მარტო ადგილობრივი მუშაკები თავს ვერ გაართმევენ ამას, თუ ზევით მდგომ ორგანოებმა მათ შესაფერი დახმარება არ აღმოუჩინეს. აქ პირველ რიგში დგას ხელმძღვანელობის საკითხი. რა გზით უნდა ხორციელდებოდეს ეს ხელმძღვანელობა? ინსტრუქციების და ცირკულიარების გზავნას, როგორც ეს გამოცდილებამ დაამტკიცა, ძალიან ცოტა ნაყოფი გამოაქვს. საჭიროა ცოცხალი კავშირის გაბმა ადგილებთან. უმთავრესად ეს მოსახერხებელია ინსტრუქტორების საშუალებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საინსტრუქტორო მუშაობაში მრავალ ნაკლულოვანებას აქვს ადგილი. ამხ. ლ. ლეონიდოვი გაზ. „ბედნოტა“-ში ეხება ამ ნაკლულოვანებებს:

„პირველი ნაკლი—ესაა მრავალ ინსტრუქტორთა ზერელე მუშაობა. ჩადის ინსტრუქტორი რომელიმე ადგილას, დაყოფს 1—2 დღეს, აღბეჭდავს ყოველივეს, რაც ზედაპირზე მოსჩანს, გაეცნობა საკანცელარიო საქმეებს, გამოესაუბრება სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს — და მორჩა. რა თქმა უნდა, ასეთი საინსტრუქტორო მუშაობა ბევრს არაფერს იძლევა. საინსტრუქტორო მუშაობა პირველ ყოვლისა არ უნდა იყოს მარტო რევიზია, გამოკვლევა, „აღბეჭდვა“. ინსტრუქტორი არა იმდენად რევიზორია, რამდენად ხელმძღვანელ ორგანოს წარმომადგენელი, რომელმაც არა მარტო უნდა დაინახოს, თუ რა ნაკლულევანებებია ადგილობრივად, არამედ იქვე მიუთითოს და უჩვენოს, თუ როგორ უნდა გამოასწორონ ეს ნაკლულევანებანი.

მეორე ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ზევიდან სხვადასხვა ორგანიზაციები ერთმანეთთან სრულიად შეუთანხმებლად აგზავნიან ინსტრუქტორებს. და იქმნება ისეთი მდგომარეობა. როცა თემაღმასკომის თავმჯდომარემ ან თემკომის მდივანმა ნახევარი სამუშაო დღე უნდა დაკარგოს, რომ პასუხი გასცეს, ცნობები მიაწოდოს **სხვადასხვა** ორგანიზაციების **სხვადასხვა** ინსტრუქტორებს, რომელნიც **სხვადასხვა** დროს ჩადიან.

მესამე ნაკლი — ეს ისაა, რომ არ წარმოებს **საინსტრუქტორო მუშაობა ინსტრუქტორებისათვის.** ძალიან ხშირად ინსტრუქტორები მიემგზავრებიან სოფლად ისე, რომ თავის ორგანიზაციებიდან **კონკრეტული დავალებანი** არა აქვთ. სახელდობრ, რა უნდა გაკეთდეს, რა უნდა იქნეს მიღწეული ადგილობრივ,—ეს ხშირად სრულებით არ იცის ინსტრუქტორმა, რომელიც სოფელში მიდის. და გამოდის, რომ ინსტრუქტორი ჩადის რათა ნახოს მუშაობა „საერთოდ“, თვალი გადაავლოს იქმებს,—და საქმე ამით თავდება. ინსტრუქტორების გამგზავნ ორგანიზაციებმა უნდა იცოდენ, **რისთვის** მიდიან ინსტრუქტორები, და მისცენ მათ სწორი მითითებანი თვითეული მოგზაურობის მიზნების და ამოცანების შესახებ.

მაგრამ ესეც ცოტაა. ინსტრუქტორების გამგზავნ ორგანიზაციებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, თუ რა **შედეგი მოჰყვება** ინსტრუქტორის გამგზავრებას, თუ რა **გამოიცვალა** ადგილობრივ მისი ყოფნის შემდეგ“.

ამგვარად, საქმიანი საინსტრუქტორო მუშაობა და არა ზერელე რევიზია, ინსტრუქტორების გაგზავნის საკითხში სხვადასხვა ორგანიზაციების შეძლებისდაგვარად შეთანხმება, ხელმძღვანელობის გაწევა ინსტრუქტორებისათვის და მათთვის თვითეულ ცალკე შემთხვევაში კონკრეტულ დავალებათა მიცემა, ინსტრუქტორების მუშაობის შედეგების შემოწმება,—აი რაა საჭირო ადგილებთან ცოცხალი კავშირის გასაბმელად, მათზე ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად და ამით სოფლად მუშაობის გასაჯანსაღებლად. ამასთან საჭიროა ყურადღება მიექცეს თვით ინსტრუქტორთა შერჩევის საკითხს, რომ ისინი მართლა იდგენ დანიშნულების სიმაღლეზე და თავი გაართვან იმ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომლებისათვის არიან მოწოდებული.

ერთა ლიგის სესიაზე

არამუდმივი ადგილები

ლონდონი, 16 სექტემბერი. დილით ერთა ლიგის კრებაზე აირჩიეს ერთა ლიგის საბჭოს არამუდმივი წევრები. პირველ კენჭის ყრის დროს არჩეულ იქნა შემდეგი 9 სახელმწიფო: **კოლუმბია** —46 ხმა (49-დან), **პოლონეთი** — 45, **ჩილი** — 43, **სალვადორი** — 42, **ბელგია** —41, **რუმინეთი** — 41, **ჰოლანდია**—37, **ჩინეთი** — 29 და **ჩეხო-სლოვაკია**—29.

შემდეგ მისდევენ: სპარსეთი—20 ხმა, პორტუგალია — 16, ფინეთი — 14, ირლანდია — 10, ურუგვაი — 9, კანადა და დანციგი — 2—2 ხმა.

გრძელდება კენჭის ყრა წევრობის ხანგრძლივობის საკითხზე.

„ტაიმსი“-ს კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბრიტანეთის დელეგაციას განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს სპარსეთს, რომ ერთა ლიგაში აზიის ერთ-ერთ სახელმწიფოს ჰქონდეს ადგილი.

ლოკარნოს გარშემო

პარიზი, 16 სექტემბერი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ-სლავიამ მესამე კომისიაში შეიტანა წინადადება გავრცელდეს ახალ სახელმწიფოებზე და, კერძოდ, ბალკანეთის სახელმწიფოებზე, რომლებიც შედიან ერთა ლიგაში, ლოკარნოს მსგავსი ხელშეკრულებანი.

არჩევნები არა მუდმივ ადგილებზე

ბერლინი, 16 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმზე მოხდა 9 არამუდმივი წევრის არჩევა ერთა ლიგის საბჭოში. ხმის მიცემაში მონაწილეობას იღებდა 49 სახელმწიფოს წარმომადგენელი. **სამი წლის ვადით აირჩიეს; პოლონეთი, კოლუმბია, ჰოლანდია და ჩინეთი. ერთი წლით — სერბია, ჩეხო-სლოვაკია, და სალვადორი.** პოლონეთს მიეცა უფლება ხელმეორედ არჩეულ იქნეს მეორე სამ წელშიაც. **ექვსი არამუდმივი წევრიდან** (ბრაზილია, ესპანია, შვეცია, ურუგვაი, ბელგია და ჩეხო-სლოვაკია) **ერთა ლიგის საბჭოში ხელახლად აირჩიეს ბელგია და ჩეხო-სლოვაკია.** ბრაზილიამ და ესპანიამ თავის დროზე განაცხადეს, რომ ერთა ლიგის საბჭოდან გამოდიან. ვინაიდან შვეციამ არ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მის მაგივრად აირჩიეს ჰოლანდია. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ერთა ლიგის საბჭოს არა მუდმივ წევრების შემადგენლობაში შევიდა მცირე ანტანტის ორი სახელმწიფო ჩეხო-სლოვაკია და რუმინია.

◆

ინგლისის მუშების ბრძოლა

ვალიუტის კრიზისის საფრთხე

ლონდონი, 15 სექტემბერი. „**მანჩესტერ გარდიენის**“ ფინანსიური განყოფილების რედაქტორი ფიქრობს, რომ **თუ სამთამადნო მუშათა გაფიცვა ზამთრამდე გაგრძელდა, ინგლისის ვალიუტის ბაზარზე ეს გამოიწვევს დიდ კრიზისს,** რაიც მეტად სერიოზულ გავლენას მოახდენს ინგლისის შინაგან ფინანსიურ მდგომარეობაზე.

ბრძოლა გამარჯვებამდე

ლონდონი, 15 სეტემბერი. სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციამ უარჰყო მოლაპარაკების გამართვა მემაღაროეთა წარმომადგენლებთან მთავრობის მონაწილეობით და მოუწოდებს მემაღაროებს, რომ განაგრძონ ბრძოლა მაღაროს მეპატრონეთა წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.

მაღაროს მეპატრონეთა ტაქტიკა

ლონდონი, 16 სექტემბერი. ზოგიერთი რაიონების მაღაროს მეპატრონეთა ტაქტიკას კუკმა უწოდა—მემაღაროეთა მოსყიდვის ცდა. კუკის აზრით, შესაძლებელია, ზოგიერთი მემაღაროე გაბრიყვდეს მაღაროს მეპატრონეთა დანაპირებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, არც ერთ ოლქში ეს გარემოება არ შექმნის საბაბს მოლაპარაკების განახლებისათვის.

◆

კომპარტიის მიტინგები

პარიზი, 15 სექტემბერი. 18 სექტემბერს საფრანგეთის კომპარტია მთელ საფრანგეთში დაიწყებს კამპანიის წარმოებას შემდეგი ლოზუნგით: **„სამუშაო ხელფასის მომატება, მოძრავი ხელფასის დაწესება, რვა საათის სამუშაო დღის დაცვა, გაუქმება საერთო-სამოქალაქო გადასახადებისა, რომლებიც პუანკარეს მთავრობამ შემოიღო, დეპუტატთა პალატის დათხოვნა.**

18, 19 და 20 სექტემბერს რვა ქალაქში მოეწყობა მიტინგები. კამპანია პარიზში მიტინგის გამართვით უნდა დაიწყოს.

მაგრამ კომუნისტების ცდამ, რომ ამ მიზნისათვის მიეღოთ პარიზის მუნიციპალიტეტის ერთი შენობათაგანი, შედეგს ვერ მიაღწია პრეფექტურის განკარგულების გამო.

◆

ფაშისტების მუქარა

ლონდონი, 16 სექტემბერი. „**დეილი მეილის**“ რომაული კორესპონდენტი იუწყება, რომ თანახმად სიკვდილით დასჯის კანონპროექტისა, რომელსაც ამჟამად იხილავს იტალიის იუსტიციის სამინისტრო, სასჯელს სისრულეში მოიყვანებენ დახვრეტით. ფიქრობენ, რომ იმ ბოროტმოქმედების პროცესი, რომლებიც სიკვდილით დასჯის კანონს ექვემდებარება, იწარმოებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

◆

იტალიის კომპარტიის მოწოდება

რომი, 16 სექტემბერი. **იტალიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება ფულის შეგროვების შესახებ ინგლისის მემაღაროების სასარგებლოდ.** ცენტრალური კომიტეტი წინადადებით მიმართავს პარტიის ყველა წევრებს შეიტანონ გაფიცულთა დახმარების ფონდში ნახევარი დღის ხელფასი.

◆

სესხი საფრანგეთს და ბელგიას

ლონდონი, 16 სექტემბერი. გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ბელგიელი ფინანსისტი ლევენშტეინი, რომელიც ფიქრობს მოუწყოს საფრანგეთს და ბელგიას 40 მილიონი გირ. სტერლინგის სესხი, გაემგზავრა ლონდონში, რათა უახლოეს დღეებში გააცნოს თავის გეგმა ექსპერტებს.

ომი მაროკოში

პარიზი, 15 სექტემბერი. მაროკოდან მიღებულ უკანასკნელი ცნობების თანახმად, **რიფებმა მთელ ფრონტზე შეუტიეს ესპანელებს.**

საფრანგეთის საჰაერო დაზვერვამ გამოარკვია, რომ **ესპანეთის რაზმი,** რომელიც ლამობდა საფრანგეთის ხაზისკენ გასვლას, **გარშემორტყმულია რიფების მიერ;** რაზმმა დახარჯა სამხედრო მარაგი.

ტეტუანიდან გაგზავნილი რაზმები ჯერ არ მისულან დანიშნულების ადგილზე.

◆

შვეციის მენშევიკები

ბერლინი, 16 სექტემბერი. **შვეიცარიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის პრეზიდიუმმა დაადგინა შევიდეს მეორე ინტერნაციონალში.** საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს პარტიის ყრილობა.

◆

ინგლისის ინტრიგები

ლონდონი, 15 სექტემბერი. საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების მცოდნე პირმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ჟენევიდან, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შეკითხვაზე: როგორია შედეგი ბალტიის მხარის სახელმწიფოთა მინისტრების თათბირისა, რომელიც, ხმების მიხედვით, ჟენევაში მოხდა,—განაცხადა:

„მე მგონია, ინგლისის თვალსაზრისმა გაიმარჯვა და საეჭვოა, რომ ბალტიის სახელმწიფოები დასთანხმდენ აწარმოონ სეპარატიული მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულობის დასადებად.

ეს პოლიტიკა, ალბად, პოლონეთმა უკარნახა ბალტიის სახელმწიფოებს“.

◆

მუსოლინიზე თავდასხმის შემდეგ

პარიზი, 16 სექტემბერი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იტალიის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა იმ ინციდენტის გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდათ საფრანგეთის საკონსულოების მიმართ ლივორნოში და ტრიესტში. ტრიესტში ერთმა მოქალაქემ საფრანგეთის დროშის გვერდით ასწია იტალიის დროშა. ის იტალიელი დაპატიმრებულია.

ღამის ცნობები

ჩან-ძო-ლინს კომუნისტური პროპაგანდის ეშინია

ხარბინი, 16 სექტემბერი. მუკდენიდან მიღებული ცნობით, ჩან-ძო-ლინმა კომუნისტური პროპაგანდის შიშის გამო აკრძალა სახალხო არმიის ყოფილი ჯარის კაცების მიღება მუკდენის ჯარში.

ინგლისის კრეისერები ჩინეთის წყლებში

ლონდონი, 16 სექტემბერი. ინგლისიდან გაგზავნეს ჩინეთის წყლებში ორი მსუბუქი კრეისერი.

ბესარაბიის საკითხი წინანდელ მდგომარეობაშია

რომი, 16 სექტემბერი. გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია" განიხილავს რა იტალია-რუმინეთის ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ, სწერს: „იტალია - რუმინეთის ხელშეკრულება არ ეხება ბესარაბიის საკითხს, რომელიც დარჩა წინანდელ მდგომარეობაში".

იტალია - რუმინიის ხელშეკრულება

პარიზი, 16 სექტემბერი. მუსოლინისა და ავერესკუს ქონდათ ხანგრძლივი თათბირი იტალიისა და რუმინიის შორის ხელშეკრულების პირობების გამორკვევის შესახებ. ხელშეკრულებას დღეს მოაწერენ ხელს.

პუანკარე — ბენარის თათბირზე

პარიზი, 16 სექტემბერი. საფრანგეთის წარმომადგენელს რომში ბენარს, დღეს ექნება თათბირი პუანკარესთან.

შტრეზემანი აღტაცებულია

პარიზი, 16 სექტემბერი. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს შტრეზემანმა განაცხადა, რომ ის აღტაცებულია ერთა ლიგის საბჭოში არჩევნების შედეგების გამო.

ბოლდუინი თათბირობს

ლონდონი, 16 სექტემბერი. დღეს დილით ბოლდუინს, რომელიც ექს-ლე-ბენიდან დაბრუნდა, ხანგრძლივი თათბირი ქონდა სანახშირო კომისიის წევრებთან.

დღისით შესდგა კაბინეტის პლენარული სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სანახშირო მრეწველობაში მომხდარი კონფლიქტის საკითხი. სხდომამ დაადასტურა სანახშირო კომისიის მოხსენება.

გერმანული გაზეთები პარიზში

ბერლინი, 16 სექტემბერი. პირველად ომის შემდეგ პარიზში ორმა გერმანულმა გაზეთმა დაიწყო გამოსვლა.

პოლიტიკური მოღვაწეების დევნა

პარიზი, 16 სექტემბერი. როგორც რომიდან იუწყებიან, სპეციალურმა კომისიამ დაიწყო გამოძიება იმ მიზნით, რომ დაუწყოს დევნა საფრანგეთში გაქცეულ ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებს.

საფრანგეთ - რუმინეთის ხელშეკრულება

მოსკოვი, 16 სექტემბერი. ამასწინად გამოქვეყნებულ საფრანგეთ - რუმინეთის ხელშეკრულების გამო ბესარაბიელთა საზოგადოების—„ხელები შორს ბესარაბიიდან"—თავმჯდომარის მოადგილემ პოლოდოვსკიმ განაცხადა: ჩვენი საზოგადოება საფრანგეთ-რუმინიას შორის დადებულ ხელშეკრულებას იხილავს, როგორც სამტრო აქტს ბესარაბიის სამ მილიონიანი მოსახლეობის მიმართ და ბესარაბიის საკითხის ბესარაბიის დაუკითხავად გადაწყვეტას წინასწარ დამარცხებულად თვლის. საშინელი ტერორის პოლიტიკა საშუალებას არ აძლევს ბესარაბიის ხალხს ლეგალური გზით გამოთქვას თავისი დამოკიდებულება მის გარშემო მომხდარი ამბებისადმი. უკმაყოფილება ან გამოიხატება აჯანყებებში, ან და გროვდება, რომ შემდეგში თავი იჩინოს უფრო ძლიერი ფორმით. დადგება დრო, როცა ყველა ის ხელშეკრულებები ბესარაბიის შესახებ, რომელიც დადებულია მის დაუკითხავად, მხოლოდ უმნიშვნელო ქაღალდად გადაიქცევა.

„დონუგოლის" კონკურსი

როსტოვ-დონი, 16 სექტემბერი. „დონუგოლი" აწყობს კონკურსს „დონბასის" საუკეთესო მართველობაზე. დანიშნულია სამი პრემია: 250,000 მ., 150.000 მან. და 100,000 მ. პრემია მიეცემათ იმ მაღაროს სამმართველოებს, რომელნიც მიაღწევენ დიდი შრომის ნაყოფიერებას, წარმოების რაციონალიზაციას, შეასრულებენ პროგრამის უდიდეს ნაწილს და მიაღწევენ საუკეთესო შედეგებს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში. პრემიები მოხმარდება მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

1904 წელში დაბადებულთა გაწვევა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 1904 წელში დაბადებულთა გაწვევის პირველი ორი დღე წარმატებით ჩატარდა. ყველა გაწვეულები დანიშნულ დროზე ცხადდებიან.

ასანთის ფაბრიკა „რევპუტი"

გომელი, 16 სექტემბერი. აღადგინეს და სავსებით მოაწყვეს პოლესის ასანთის ფაბრიკა იქნება საუკეთესო მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამერიკა

ლონდონი, 16 სექტემბერი. საბჭოთა კავშირიდან შერვუდ ედდის მეთაურობით დაბრუნებულ მისიის განცხადებასთან დაკავშირებით, კულიჯის რეზიდენციიდან საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ მოდის სხვადასხვა საწინააღმდეგო ცნობები. ამ ცნობებს პრესის წარმომადგენლები სხვადასხვანაირად განმარტავენ.

„ასსოშიეტედ პრესის" სააგენტო იუწყება: თეთრი სახლის (კულიჯის რეზიდენცია) წრეებში ნათქვამი იყო, რომ მთავრობა არ აძლევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ედდის მისიას. არ არის არავითარი ნიშანი იმის, რომ კულიჯმა თავის პოზიცია შესცვალა.

„იუნაიტედ პრესის" სააგენტოს ცნობების თანახმად, **კულიჯი მომხრეა იცნოს საბჭოთა კავშირი** იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი იცნობს კერენსკის მთავრობის მიერ შეერთებული შტატებიდან აღებულ ვალს.

ოსმალეთი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. აღმოსავლეთის შემსწავლელ სამეცნიერო ასოციაციამ მიიღო თავის კორესპონდენტებისაგან ოსმალეთიდან მთელი რიგი ცნობებისა, რომლებშიაც აღნიშნულია ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც იჩენს ოსმალეთი საბჭოთა აღმოსავლეთისადმი.

თურქოლოგიურ ყრილობის მონაწილენი დღემდე ღებულობენ მიპატიჟებას ოსმალეთის სხვადასხვა ნაწილებიდან წაიკითხონ მოხსენებები ყრილობის შესახებ. საინტერესოა აგრეთვე ოსმალეთის ჟურნალებში და გაზეთებში მოთავსებული წერილები აზერბეიჯანის თეატრის შესახებ.

კულტურული კავშირი უცხოეთთან

პრაღა, 15 სექტემბერი. **ჩეხო-სლოვაკიის პირველმა კულტურულმა დელეგაციამ**, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირი, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩეხურ ენაზე **გამოუშვა წიგნი „საბჭოთა კავშირი"-ს სახელწოდებით:**

წიგნი შესდგება 350 გვერდიდან და აქვს უფრო წერილობითი ხასიათი. მასში მოთავსებულია შემდეგი წერილები: პროფესორ **მოტეზიუსის** „საბჭოთა საზოგადოება", ეკონომისტ **პრახასკას** „საბჭოთა კონსტიტუცია", **ბარტეშეკის** „ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა საბჭოთა კავშირში", რეჟისორ **ჰარტის** „რუსული თეატრი რევოლიუციამდე და მის შემდეგ", რეჟისორ **გონზელის** 4 წერილი „ახალი რუსული თეატრის შესახებ", **ღეიგეს** „საბჭოთა კავშირის თანამედროვე ქანდაკობა", პროფესორ **ნეიდლის** „სამეცნიერო აკადემიის ზეიმი ლენინგრადში 1925 წლის 4 სექტემბერს", მგოსან **იაროსლავ სეიფერტის** „ლენინის ქალაქი" და „სიმღერა მოსკოვზე", მგოსან **გორას** „ლენინგრადი" და „აზია".

ამას გარდა, წიგნში მოთავსებულია შენიშვნები: „რევოლიუციის მუზეუმი მოსკოვში", „საბჭოთა ფილმები", „იხრობინის სახელობის თეატრალური მუზეუმი მოსკოვში", „მოსკოვის სკოლა", „მუშკორი და გლეხკორი" და, დაბოლოს, დელეგაციის დღიური.

მიუხედავათ იმისა, რომ ეს წიგნი დიდი ხანი არის, რაც გამოიცა, მან უკვე საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხო-სლოვაკიის კულტურულ ძალებში. ასე, მაგალითად, პრახასკას წერილი—„საბჭოთა კონსტიტუცია" გამოსთქვამენ აზრს, რომ ცალკე წიგნად იქნეს ის გამოცემული მის მიერ განსაკუთრებული ინტერესის მოპყრობის გამო. გარდის წერილმა—„რუსული თეატრი რევოლიუციამდე და მის შემდეგ" პრესაში მწვავე დისკუსია გამოიწვია ძველი და ახალ მიმდინარეობის მომხრეთა შორის, ხოლო გონზელის 4 წერილმა „ახალ რუსულ თეატრის შესახებ" გამოიწვია საზოგადოება „განთავისუფლებული თეატრი"-ს დაარსება, წერილების ავტორის—გონზელის მეთაურობით.

წიგნი „საბჭოთა კავშირი" გამოსცა საბჭოთა კავშირთან კულტურულ - ეკონომიური დაახლოვების საზოგადოებამ, პროფ. მატეზიუსის რედაქციით. თვით საზოგადოების სახელწოდებიდან ნათელია, თუ რა მიზნები აქვს მას დასახული, ხოლო ამ მიზნებს ის ახორციელებს ყოველთვიურ გაზეთის—„ახალი რუსეთის" რუსულ და ჩეხურ ენაზე გამოცემით; ამასთან ერთად გაზეთის რუსულ ტექსტში იბეჭდება ცნობები ჩეხო-სლოვაკიის შესახებ და ჩეხურ ტექსტში—საბჭოთა კავშირის შესახებ. ამას გარდა საზოგადოება აკეთებს მოხსენებებს საბჭოთა კავშირის შესახებ და სტამბავს ჩეხურ ენაზე რუსულიდან თარგმნილ ცალკე წიგნებს.

ზემოაღნიშნული წიგნი წარმოადგენს ამ საზოგადოების მეორე მსხვილ შრომას.

კოუსის განცხადება

მოსკოვი, 16 სექტემბერი. ხვალ ინგლისში მიემგზავრება ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტის მდივანი კოუსი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„ინგლისში დაბრუნების შემდეგ, მე და ჩემი ამხანაგები შევეცდებით, რომ ინგლის-რუსეთის საპარლამენტო კომიტეტმა მეტი აქტიობა გამოიჩინოს ინგლისისა და რუსეთის დაახლოების საქმეში. ეს სავსებით დროული იქნება, ვინაიდან საბჭოთა კავშირის გულუხვი დახმარების გამო ინგლისელი მემაღაროენი დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირისადმი. კომიტეტმა თავისი მოქმედებით ნიადაგი უნდა გამოაცალოს იმათ, რომელნიც თავიანთ პოლიტიკურ კარიერას საბჭოთა კავშირის შესახებ შეთხზულ ამბებზე აშენებენ.

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება

ბერლინი, 16 სექტემბერი. შტრეზემანმა ინგლისის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება ოდნავადაც არ არის მიმართული ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ.

არჩევნები კანადის პარლამენტში

კონსერვატორების დამარცხება კანადაში

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. საპარლამენტო არჩევნები კანადაში კონსერვატორების დამარცხებით დასრულდა. ლიბერალებმა მიიღეს 118 ადგილი, კონსერვატორებმა — 90, ლიბერალ პროგრესისტებმა — 11. კონსერვატორული მთავრობის პრემიერი მეიგენი და კიდევ ხუთი კონსერვატიული მინისტრი პარლამენტში ვერ გავიდენ.

შენიშვნა: კანადის ეხლანდელი არჩევნების შედეგები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ინგლისის მიერ დანიშნულ კანადის გენერალ გუბერნატორის ძალა-უფლების შეზღუდვის საკითხთან. ლიბერალებმა ფართოდ გამოიყენეს ეს საკითხი საარჩევნო კამპანიაში, რომელიც ჩატარდა კანადის დამოუკიდებლობის ლოზუნგით. ამის გამო, ლიბერალების გამარჯვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლის-კანადის დამოკიდებულების საკითხში.

კანადის ახალი პარლამენტის შემადგენლობა

ლონდონი, 16 სექტემბერი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ კანადის ახალი პარლამენტი შემდეგი შემადგენლობისაა: ლიბერალები—119, კონსერვატორები—91, პროგრესისტები—17, ლიბერალ - პროგრესისტები—13, მუშათა პარტია—3.

ლონდონი, 16 სექტემბერი. მემაღაროეთა წარმომადგენლებმა ოფიციალური წინადადება მიიღეს ბოლდუინისაგან, რომ ხვალ ეწვიონ მას მოლაპარაკებისათვის. ხვალვე ბოლდუინს თათბირი ექნება მაღაროს მეპატრონეთა ასოციაციის წარმომადგენლებთან.

სამეცნიერო აკადემიის ექსპედიცია

ულან-ბატორი, 16 სექტემბერი. 14 სექტემბერს მონღოლეთიდან საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა სამეცნიერო აკადემიის მონღოლეთში მომუშავე ექსპედიცია პოდნიოვის, კუპლესკოის და კოპპეს შემადგენლობით. ექსპედიციას თან მოაქვს კოლექციები.

აღმოსავლეთის ცხოვრება

გეჯასის რკინის გზა

სამუსლიმანო კონგრესმა მექქაში დიდი ყურადღება დაუთმო გეჯასის რკინის გზას—ამ უდიდეს სარკინისგზო ხაზს, რომელიც გეჯასს აკავშირებს სირიასთან და სპრის მთელ რიგ მუსლიმანურ სახელმწიფოებს არაბეთში. ამ გზას 30 წლის ისტორია აქვს. გეჯასის რკინის გზის გაყვანის პროექტი ეკუთვნოდა ოსმალეთის სულთანს აბდულ ჰამიდს. მისი გაყვანის განზრახვა გამოწვეული იყო მექქაში და მედინაში სალოცავად მიმავალ მუსლიმანებისათვის მოგზაურობის გაადვილების საჭიროებით. სანამ გეჯასის რკინის გზას დაიყვანდენ, დამასკიდან მექქაში ქარავანით ჩასვლას უნდებოდა 50 დღე. უკან დასაბრუნებლათ საჭირო დროის, გზაში დასვენების და სხვ. ჩათვლით, შორეულ კუთხეებიდან სალოცავად წასულს გზაში საშუალოდ ერთი წელიწადი აგვიანდებოდა.

გზას 1898 წელს ჩაუყარეს საძირკველი, ფაქტიური მუშაობა კი მის გასაყვანად მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დაიწყო. მუშაობის დაწყების დროისათვის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მუსლიმანებს შორის გზის გაყვანის ხარჯების დასაფარავად შეგროვებული იყო 5.012.398 ეგვიპტური გირვანქა ოქროთი (ეგვიპტური გირვანქა=9 მან. 64 კაპ.). მაგრამ ეს მნიშვნელოვანი თანხა საკმაო არ აღმოჩნდა გზის დასამთავრებლად, რადგან რკინის გზის ხაზი დიდ მანძილზე იყო გასაყვანი. შემდეგში გზის გასაყვან საშუალებების წყაროს წარმოადგენდნენ: გადასახადები, ოსმალეთის მთავრობის მიერ დათმობილი სარკინისგზო ქონება, და უკანასკნელ ხანებში—გზის საკუთარი შემოსავალი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. რკინის გზის გაყვანაში თავიდანვე დიდ მონაწილეობას იღებდენ ოსმალეთის ჯარები. მუშაობა ერთბაშად დაიწყო ორივე მხრიდან—დამასკიდან და მედინიდან.

მსოფლიო ომმა, რასაკვირველია, ძალიან გააძნელა მუშაობის წარმოება. ოკუპაციის შემდეგ გზა სამ ნაწილად იქნა გაყოფილი: პალესტინის, სირიისა და გეჯასის ხაზი. პირველი ორი რაიონი ხელთ იგდეს პალესტინისა და სირიის ახლად შექმნილმა მთავრობებმა, ფაქტიურად—ინგლისელებმა და ფრანგებმა. მასალების განაწილება სრულიად უსისტემოდ ხდებოდა: თითოეულმა მთავრობამ ხელთ იგდო ის მასალა, რომელიც მის საზღვართან იყო დაგროვებული. მხოლოდ ჰეჯასის მთავრობის მიერ მიღებული ენერგიული ღონისძიებების წყალობით და მას შემდეგ, რაც უკანასკნელი დასთანხმდა გადაეცა თავისი ხაზი დამასკში არსებულ „გეჯასის რკინის გზის მმართველობის" კონტროლს ქვეშ, განახლებული იქნა მუშაობა გზის დასამთავრებლად. 1919 წ. დაიწყო საცდელი მოძრაობა გეჯასის რკინის გზაზე. გზა საბოლოოდ დამთავრებული იქნა მხოლოდ 1924 წ. მთავარი ხაზის სიგრძე უდრის 1307 კილომეტრს, მისი შტოების კი—652 კილომეტრს. ამრიგად გზის მთელი სიგრძე 1959 კილომეტრს უდრის.

ასეთია მოკლეთ გზის ისტორია.

მაგრამ გზამ არ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებდენ მუსლიმანები. სწორედ ამიტომ დაიკავა გეჯასის რკინის-გზის საკითხმა ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი სამუსლიმანო კონგრესის დღის წესრიგში. ოსმალეთის იმპერიის დამარცხებისა და მისი ცალკე ნაწილების დაპყრობას იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ, მოჰყვა ის, რომ გეჯასის რკინის-გზა, რომელიც წმინდა სარწმუნოებრივი მიზნებით იყო გაყვანილი (გზა ოსმალეთის საეკლესიო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში იმყოფებოდა), მოსულ დამპყრობლების აშკარა ექსპლოატაციის საგნად გადაიქცა.

1920 წ., როცა ფრანგები შევიდენ დამასკში, მათ გეჯასის რკინისგზა საექსპლოატაციოთ ფრანგების კომპანიას გადასცეს. ამ აქტმა უდიდესი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია მუსლიმანებს შორის, მაგრამ ფრანგები თავისას განაგრძობდენ. მოგზაურობისათვის შემოღებული იქნა სხვადასხვა გადასახადები, რამაც ძლიერ დააბრკოლა მოგზაურობა გეჯასის რკინისგზით. მუსლიმანთა პროტესტმა აიძულა ლოზანის კონფერენცია (1923 წ.) ყურადღება მიექცია ამ მდგომარეობისათვის.

კონფერენციამ განსაკუთრებულ დადგენილებაში აღიარა გეჯასის რკინისგზის სარწმუნოებრივი ხასიათი. გარდა ამისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ცალკე საერთო დეკლარაცია, (1923 წ. იანვარში), რომლის ძალით მედინაში უნდა დაარსებულიყო მუსლიმანთა საგანგებო კომისია, რომლის ხელში უნდა გადასულიყო გზის გამგებლობა და ამ გზაზე მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხების გადაჭრა.

მაგრამ ყველაფერი ეს ქაღალდზე დარჩა.

პალესტინის დიდმა მუფტიმ სეიდ ემინელ-ხუსეინმა გეჯასის რკინისგზის შესახებ კონგრესზე შემდეგი რეზოლიუცია შეიტანა: 1) დაევალოს კონგრესის აღმასრულებელ კომიტეტს გეჯასის მთავრობასთან შეთანხმებით გამართოს მოლაპარაკება პალესტინისა და სირიის მთავრობებთან და სთხოვოს უკანასკნელთ გაანთავისუფლონ თავის კონტროლისაგან მათ ტერ-რიაზე მდებარე ხაზები, 2) თუ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, საკითხი გადატანილ იქნეს ერთა ლიგაში, 3) თუ აქაც ვერავითარი შედეგი ვერ იქნა მიღებული, საქმე გასაჩივრებული იქნას ჰააგის ტრიბუნალში, 4) მას შემდეგ, როცა გეჯასის რკინისგზის ყველა ხაზები განთავისუფლებული იქნება სათანადო მთავრობების კონტროლისაგან, დაარსებულ იქნეს მუსლიმანთა სპეციალური კომიტეტი, რომლის ხელში გადავა გზის გამგებლობა.

ელ-ხუსეინის წინადადებას ერთხმად გამოეხმაურენ ყველა დელეგატები, რომლებიც აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მუსლიმანებმა ებრძოლონ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოების მტრულ განზრახვებს. ინდოეთის მუსლიმანთა დელეგატი შევკატ-ალი მოუწოდებდა კონგრესის ყველა წევრებს — გეჯასის, ნეჯდის, იავის, ეგვიპტის, სირიის, პალესტინის და საბჭოთა კავშირის მუსლიმანთა დელეგატებს, თავ-თავიანთ სამშობლოში დაბრუნების დროს შესდგომოდენ ენერგიულ კამპანიას გეჯასის რკინიგზის განთავისუფლების სასარგებლოდ.

ელ-ხუსეინის რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

იგი გადაეცემა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ინგლისის მემაღაროეთა მადლობა

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დეპეშა: „თქვენი პირველი დახმარება მიღებულია. ინგლისის მემაღაროები უძღვნიან რუსეთის მუშებს თავის გულწრფელ მადლობას. „კუკი".

შენიშვნა: ეს დეპეშა პასუხია საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიერ სამუშაო ხელფასის ერთპროცენტიან ანარიცხების ანგარიშში 3 მილიონი მანეთის გადაგზავნაზე.

კუპერის გამგზავრება

მოსკოვი, 16 სექტემბერი. მოსკოვიდან თავისი თანამშრომლებით გაემგზავრა ამერიკელთა ფირმის მეთაური პოლკოვნიკი კუპპერი, რომელიც „დნეპროსტროის" პროექტის ექსპერტიზას ახდენდა. გამგზავრების წინ კუპერმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

„მე დიდის კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო ის დიდი დახმარება, რომელიც აღმომიჩინეს აქ ჩემი საექსპერტიზო მუშაობის დროს. ძალიან მოხარული ვარ, რომ სავსებით შემიძლია პროექტის დადასტურება. მე დარწმუნებული ვარ, რომ „დნეპროსტროის" აგება დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა კავშირის ეკონომიკას."

აღმოსავლეთის ბიბლიოგრაფია

მოსკოვი, 16 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებული აღმოსავლეთის შემსწავლელი სამეცნიერო ასოციაცია მოკლე დროში შეუდგება აღმოსავლეთის საბიბლიოგრაფიო მაჩვენებლის ბეჭდვას, რომელშიაც აღნიშნული იქნება მთელი ლიტერატურა, რომელიც შეეხება აღმოსავლეთს და გამოვიდა რუსულ ენაზე, დაწყებული 1917 წ.-დან თვითეული შრომის შესახებ მაჩვენებელში იქნება მოკლე რეცენზია, მაჩვენებელი შეიცავს 3.000-დე სახელწოდებას. აღმოსავლეთის შესახებ არსებული ლიტერატურა პირველად იქნება შეკრებილი და სისტემაში მოყვანილი ამ მაჩვენებელში.

სამხედრო - საჰაერო აკადემიის ჰაეროსტატი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. სამხედრო - საჰაერო აკადემიის ჰაეროსტატი, რომელსაც მართავს მფრინავი **კარელინი**, დაეშვა ჩრდილო-დვინსკის გუბერნიაში. ჰაეროსტატმა ჰაერში დაჰყო 15 საათი და პირდაპირი ხაზით გაიარა 800 კილომეტრი, ხოლო მიმართულებით 1.200 კილომეტრი.

საბჭოთა პარაფინი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. ნავთის სინდიკატის მმართველობა ეხლა ზრუნავს ნავთის სინდიკატის ასორტიმენტის პარაფინით შევსების საკითხებით. ნავთის სინდიკატის რაიონულ კანტორებს წინადადება მიეცათ ამ მიზნით დაწვრილებით შეისწავლონ ბაზრის მდგომარეობა **იმ შესაძლებლობათა გამოსარკვევათ, რომელნიც შესძლებენ საბჭოთა პარაფინით მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას,** რათა მომავალში შემცირებულ იქნას, ხოლო შემდეგ სრულებით შეწყვეტილ იქნას პარაფინის უცხოეთიდან შემოტანა.

პარაფინის ბაზარზე გამოშვება, განზრახულია 1926—27 წლის მეორე ნახევრისთვის.

ავიაქიმის მესამე ჰაეროსტატი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. 16 სექტემბერს ავიაქიმმა მიიღო დეპეშა 13 სექტემბერს კომის ოლქში მესამე ჰაეროსტატის ჩამოშვების შესახებ.

ნავთის გამომკვლევი ს-ბა

მოსკოვი, 16 სექტემ. „სამრეწველო საგეგმო კომისიის" სექციის სხდომაზე განხილული იყო საკითხი ნავთის გამომკვლევ საზოგადოების დაარსების შესახებ. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ გამოირკვა ორი ძირითადი შეხედულება (სტრიჟევის და გუბკინის), რომელიც წარდგენილ იქნა სამრეწველო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში დასამტკიცებლად.

სტრიჟევის ძირითადი იდეა მდგომარეობს შემდეგში: გამომკვლევ, მუშაობის წარმოება ნავთის ტრესტების მიწის ფონდებზე უნდა გადაეცეს თვითონ ნავთის ტრესტებს. კვლევა-ძიების საწარმოებლად მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსდება ნავთის კვლევა-ძიების კომიტეტი, რომელიც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მიიღებს თანხებს.

პროფესორ გუბკინის აზრით, საბჭოთა კავშირში ნავთის კვლევა-ძიების მუშაობათა საწარმოებლათ უნდა შეიქმნას ნავთის პროდუქტების საზოგადოება, სადაც პაის შემტანელთა სახით ჩაბმულ იქნებიან ნავთის ტრესტებიც.

ბაზრობის დახურვა

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 სექტემ. **15 სექტემბერს საღამოს 6 საათზე მოხდა ნიჟეგოროდის ბაზრობის დახურვა და საბაზრო დროშის საზეიმო დაშვება. ბაზრობის ბრუნვა 140 მილ. მანეთამდე ადის.**

შემოსავალი

მოსკოვი, 16 სექტემ. წინასწარი ცნობებით, სახელმწიფოებრივი შემოსავალი საერთო - საკავშირო ბიუჯეტით 10 თვის განმავლობაში უდრიდა 2.274.529.000 მანეთს ანუ 73 პროც-ს საკავშირო ცაკ-ის მიერ დამტკიცებული წლიური ბიუჯეტისას.

მივლინებების ხარჯები

მოსკოვი, 16 სექტემ. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად შეიტანა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების დებულება. შრომის სახალხო კომისარიატის პროექტის მიხედვით მივლინებულ პირებს დღე ღამის განმავლობაში უნდა მიეცეს ჯამაგირის ერთი მეოცედითდღე, მაქსიმუმ 10 მანეთამდე განსაზღვრით და განსაკუთრებული ხარჯებისთვის, ეტლის და ბინისთვის, აგრეთვე 10 მანეთამდე.

საკავშირო პროფსაბჭომ დაამუშავა ეს საკითხი და მივლინებულთათვის დღე-ღამის ხარჯების ანაზღაურება განსაზღვრა ჯამაგირის ერთი მეოცედით ნაწილით, მაგრამ არა უმეტეს 8 მანეთისა. მივლინებების შესახებ ამ ახალი დებულების გატარება იძლევა მომჭირნეობას, არა ნაკლებ 20—30 პროც-ისა იმ თანხებთან შედარებით, რომელიც იხარჯება დაწესებულებების და წარმოებების მიერ მივლინებებისთვის.

თვითმფრინავ „დორნიე მერკური"-ს გამოცდა

მოსკოვი, 16 სექტემ. თვითმფრინავ „დორნიე მერკურით" ბერლინიდან მოფრინდა დორნიეს ავიო-კონსტრუქტორი და სავიაციო ფირმის „დორნიე მილიაცის" დირექტორი. მათი მოსვლის მიზანია ახალი თვითმფრინავის „დორნიე მერკურის" გამოცდა ბერლინ - მოსკოვ-ხარკოვის-მინერალური წყლების და თბილისის ხაზით კავკასიონის მთებზე გადაფრენით.

რემედასის მოწოდება

შვებულ წითელარმიელებისადმი

მოსკოვი, 16 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის რემედასის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში შვებულ წითელარმიელებისადმი ნათქვამია: „წითელი ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, შენ, ყოველგვარი ზომებით უნდა მოეხმარო რემედასის მუშაობას. უამბე გლეხებსა და მუშებს შენი ძმების მძიმე მდგომარეობის შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებში. შეასწავლე მას, რომ საბჭოთა კავშირისა და მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ინტერესები საერთოა. აუხსენი ყველას, თუ რატომ უნდა იყოს თითეული მუშა და გლეხი რემედასის წევრი.

პური მუშათა რაიონებისათვის

მოსკოვი, 16 სექტემბ. მელითონეთა კავშირის ცკამ ცირკულიარით წინადადება დაუგზავნა ურალის, უკრაინის, ლენინგრადის, ტულის და ნიჟნი ნოვგოროდის პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშებისთვის პურის მიწოდების საკითხს, რადგან მუშებზე პურის პროდუქტების მიწოდების დროებით შეჩერება საბაზრო ფასების დიდ რყევას იწვევს და აბათილებს მთელ მუშაობას რეალური სამუშაო ხელფასის დასაცავად.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

თევზაობა

ბაქო, 16 სექტემბერი. დაიწყო თევზაობა კასპიის ზღვის ნაპირებზე. აზერბეიჯანის სასოფლო ბანკმა მეთევზეებს გაუხსნა 60.000 მან. მოკლევადიანი სესხი და აგრეთვე „აზერბალიკტიფაკ" აძლევს 50.000 მან. საგარანტიო ბარათს თევზის საჭერი იარაღების შესაძენად.

წითელი მეთაურების გამოშვება

ბაქო, 16 სექტემბერი. **დღეს მოხდა აზერბეიჯანის სამხედრო სკოლიდან და აზდივიზიის პოლიტსკოლიდან წითელი მეთაურების საზეიმო გამოშვება. სულ გამოშვებულია 117 წითელი მეთაური და 23 პოლიტხელი.** გამოშვების აღსანიშნავად გაიმართა ბაქოს გარნიზონის ჯარების აღლუმი.

მიღებულია მისალმება კავკასიის წითელდროშიან არმიის სარდალის **ლევანდოვსკისაგან** და პოლიტსამმართველოს უფროსის **რატნეკისაგან.**

117 წითელ მეთაურებს შორის 103 თურქია, დანარჩენი უზბეკები და ლეკები.

პარტიულ შემადგენლობით 44 % აზერბეიჯანის კომპარტიის წევრები და კანდიდატებია, 41 % ახკომკავშირის წევრები, დანარჩენი—უპარტიოები.

სოციალური შემადგენლობა: მუშები—33 %, სოფლის მოჯამაგირენი—15 %, გლეხები—31 %.

ბეწვეულის დამზადება

ბაქო, 16 სექტემბერი. 1926-27 წ. „აზერტტიფაკი", „კუსტარმიგი" და აზერბეიჯანის სახელმწიფო ვაჭრობის კომიტეტი ამზადებს აზერბეიჯანში 17.000 ცალ სხვადასხვა ბეწვეულს 85.000 მან. ღირებულს.

მთელი ბეწვეული გაიტანება უცხოეთში.

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები

II *)

ახალი სამრეწველო აღმშენებლობა და ელექტროფიკაცია

სანამ გადავალთ იმ საერთო ხაზის საკითხზე, რომელიც დაისახა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ხუთ წლიან სამრეწვ. აღმშენებლობის დარგში და იმ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რომლებიც გადაიდგა მიმდინარე საოპერაციო წელში ამ გეგმის განსახორციელებლად, აუცილებელია რამოდენიმე სიტყვით მაინც გავაშუქოთ ჩვენი მრეწველობის საერთო პერსპექტივების საკითხი საზოგადოდ.

ძირითადი საკითხი, რომელსაც უპირველეს ყოვლისა უნდა გაეცეს პასუხი მდგომარეობს შემდეგში. რა გვარ მრეწველობაზე, **მძიმე თუ მსუბუქ ინდუსტრიაზე უნდა აიღონ კურსი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელმა ორგანოებმა.**

ცხადია, რომ ამ ძირითად პრობლემის გადაწყვეტის დროს უნდა გამოვიდეთ არა კეთილი სურვილებიდან, არამედ ჩვენი ქვეყნის ამ რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებიდან, რომელსაც განსაზღვრავენ ნედლეულის მარაგი, ამ ნედლეულის ხასიათი და აგრეთვე ენერგეტიული რესურსები.

საქართველო მეტად მდიდარია მრავალი სასარგებლო მადნეულით, რომელთა სხვადასხვაგვარობა უნებლიეთ გვცემთ თვალში. არა ნაკლებ მდიდარი ვართ ენერგიის მარაგით **(განსაკუთრებით „თეთრი ნახშირით")**, და სრულიად ბუნებრივია დაშვება იმისა, რომ **საქართველოს მრეწველობის ძირითადი დარგი უნდა იყოს სწორედ სამთო, სამთო-საქარხნო და ქიმიური.**

მეტალურგიული მრეწველობის განსავითარებლად აუცილებელია რკინის მადანის მარაგი და მასთან იმ რაოდენობით, რომელიც მისი სამრეწველო გამოყენების საშუალებას მოგვცემს. რკინის მადანის მარაგი საქართველოში მრავალ ადგილას არის, რკინის მადნის უმთავრესი ადგილი არის ჩათახში; მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა რაოდენობისაა ეს მარაგი, რამდენად სასარგებლოა მათი სამრეწველო ექსპლოატაცია, შეიძლება გადაწყვეტილ იქმნას მხოლოდ იმ გეოლოგიურ გამოკვლევათა შედეგებით, რომელიც სწარმოებს ამჟამად და იწარმოებს მომავალ წელშიაც.

მეტალურგიის განვითარების მეორე პირობად უნდა ჩაითვალოს მეტალურგიულ მიზნებისათვის გამოსადეგი ტყვარჩელის კოკსის სამრეწველო მასშტაბით მიღების შესაძლებლობა. ეს პირობა ძირითადია, ვინაიდან ტყვარჩელის კოკსის საშუალებით თუჯის მეტალურგია საქართველოში შეიძლება აშენდეს დაშკესანის (აზერბეიჯანი) რკინის მადანზე და ელექტროდნობაზე მაშინაც კი, თუ ჩვენ არ გვექნება მადანის საკუთარი მარაგი. მაგრამ ტყვარჩელის კოკსის საკითხი, ისე როგორც ტყვარჩელის ქვანახშირის ადგილები ჯერ-ჯერობით მხოლოდ გეოლოგიურ გამოკვლევათა სტადიაშია.

იგივე უნდა ითქვას სპილენძისა, ტყვიისა და თუთიის შესახებ.

ყველაზე უფრო გამოკვლეულ ადგილად ითვლებიან დევდორაკის სპილენძის ადგილები, რომელთა მარაგი გეოლოგთა წინასწარი გამოანგარიშებით უდრის 6.000.000 ფუთ ლითონის სპილენძს.

სპილენძის დიდი მარაგია კახეთში, მაგრამ ეს ადგილები ალბად ღარიბია მადნით, რომელთა დამუშავება უახლოეს ხანში არაა ხელსაყრელი; ბოლნისის რაიონის, შორაპნის, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრების სპილენძი კი ჯერ სუსტად არის გამოკვლეული და მომავალი გამოკვლევის ობიექტი იქნება.

ამგვარად, მეტალურგიული მრეწველობის განვითარება ჯერ კიდევ გამოურკვეველია და მათ გამოსარკვევად საჭიროა მთელი რიგი გეოლოგიურ გამოკვლევათა და წინასწარ მუშაობათა.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი ამჟამად მძიმე ინდუსტრიაზე კურსის აღებაზე. ამიტომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი, სამრეწველო აღმშენებლობის საპერსპექტივო გეგმის შემუშავების დროს უმთავრესად უნდა დამყარებოდა მსუბუქი ინდუსტრიის დარგებს, მძიმე ინდუსტრიის დარგში კი მხოლოდ სამთო-ქიმიურს; ხოლო სამთო მრეწველობისა (ქვის ნახშირის, ნავთის) და მეტალურგიის დარგში უახლოეს ხანში იგი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ გეოლოგიურ - გამოკვლევითი ხასიათის ამოცანებით.

ამასთან ერთად, ახალი აღმშენებლობის კონკრეტულ ობიექტების ამორჩევის დროს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყურადღება უნდა შეჩერებულიყო მსუბუქ მრეწველობის სწორედ იმ დარგებზე, რომელიც ნედლეულის ყველაზე უფრო იმედიანი წყარო იქნება, მეტად სწრაფ ფინანსიურ ეფექტს გვპირდება და ამავე დროს ყველაზე უფრო ღრმად ეხება ჩვენი მოსახლეობის ინტერესებს.

ასეთი დარგებია უწინარეს ყოვლისა: 1) ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, 2) საფეიქრო მრეწველობა (მატყლის და აბრეშუმის მრეწველობა), რომელიც გადაამუშავებს ისეთ მნიშვნელოვან ნედლეულის რესურსებს, როგორიცაა მატყლი და აბრეშუმის პარკი და 3) სამთო ქიმიური და ქიმიური: ბარიტის ლითოგრაფიული ქვის, ქვიცარცის, ელექტროქიმიური წარმოებათა და სხვ. დამუშავება.

ახალი სამრეწველო აღმშენებლობის ეს პროგრამა, რომელიც შეიცავს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგებს, ამავე დროს თავის განსახორციელებლად მოითხოვს შედარებით ნაკლებ ხარჯებს იმის გამო, რომ ნედლეულის მარაგი ულევს და დასამუშავებლად ადვილია.

ამავე დროს, იგი მუშაობაში აბამს მუშათა მნიშვნელოვან კადრს, ღრმად ეხება გლეხობის ინტერესებს, უზრუნველყოფს მისთვის მუდმივ სამუშაოს, და სასოფლო მეურნეობას წინსვლისა და განვითარების სტიმულსაც აძლევს.

ამასთან ერთად, ვინაიდან იგი განუყრელადაა დაკავშირებული მრეწველობის ზრდასთან, არ შეიძლება უდიდესი ყურადღება არ მიექცეს იმ საკითხს, რომ აღორძინების გზაზე შემგარი მრეწველობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას იაფი მოძრავი ძალით, და ამასთან დაკავშირებით, უნდა დასახულიყო ფართო პროგრამა, „თეთრი ნახშირის" უდიდესი მარაგის გამოყენებისა, ე. ი. ჰიდროელექტრო აღმშენებლობისა.

ამ საერთო შენიშვნების შემდეგ საჭიროა მოკლედ განვიხილოთ უახლოეს სამრეწველო აღმშენებლობის ის კონკრეტული ობიექტები, რომელნიც შეტანილია მიმდინარე 1926—27 წ. და მიმდინარე 1925—26 წლის მუშაობათა პროგრამაში.

ახალი აღმშენებლობა 1926—27 წ. გეგმის მიხედვით

1) ქაღალდის ფაბრიკა

ქაღალდის წარმოება - მრეწველობის სრულიად ახალი დარგია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის; ქაღალდის ფაბრიკის აგების შესახებ მსჯელობის დროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს მოუხდა განხილვა მთელი რიგი საკითხებისა, რომელნიც, უმთავრესად, დაკავშირებული არიან ნედლეულის რესურსებთან, ვინაიდან მას არ ქონდა შესაძლებლობა, რომ ამ საკითხის დამუშავებაში დამყარებოდა წარსულში მიღებულ გამოცდილებას და ცნობებს.

ფაბრიკის აგების რაიონის საკითხი უნდა გადასწყდეს იმის მიხედვით, თუ სად და რაგვარი ნედლეულის მარაგი შეიძლება გვქონდეს და რაგვარი ჯიშის მერქანს დაუდებთ საფუძვლად წარმოებას.

წარმოების თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით, მერქანის მასისა და ცელულოზის დასამუშავებლად ყველაზე უფრო გამოსადეგია წიწვიან ჯიშიდან: ნაძვი და ფიჭვი და ფოთლოვანიდან: ვერხვი და ალვისხე.

ფოთლოვანი ჯიშები უმთავრესად გავრცელებულია საქართველოს დასავლეთ ნაწილში (პროფ. ზაკტრეგერის ცნობის მიხედვით). მათი გამოყენება შეიძლება უმთავრესად მერქანის მასის დასამზადებლად. ამ ჯიშის ხეები ფოთიდან მხოლოდ 300.000 კუბ. ფ. გააქვთ წელიწადში, რის გამოც ამჟამად მათ არ აქვთ დამოუკიდებელი სამრეწველო მნიშვნელობა და მხოლოდ მომავალში შეუძლიათ მიიღონ ასეთი მნიშვნელობა, როცა ამ რაიონში განვითარდება ამ ჯიშის ხეების დარგვა, რის შესაძლებლობაც დიდი არის.

წიწვიან ჯიშიდან ქაღალდის მრეწველობის მიზნებისათვის უეჭველია, რომ უპირატესობა ფიჭვს ეკუთვნის, ვინაიდან მისი მერქანი უფრო რბილი და ფხვიერია, ვიდრე ნაძვისა და არ შეიცავს ფისის ნივთიერებას.

ამასთან ნაძვი იხმარება როგორც საამშენებლო მასალა და საკმაოდ დიდად ფასობს, რაიც მეტად აძნელებს მის გამოყენებას ქაღალდის წარმოებისათვის, სოჭი კი ითვლება ნაკლებ გამოსადეგ საამშენებლო მასალად. მას ჩვეულებრივ უჭირავს მთის ფერდობების ზემო ნაწილები, რაიც ხელს უწყობს ამ ხეების საუკეთესოდ დაცვას.

თუ დავემყარებით ამ საერთო მოსაზრებებს ტყის (ქაღალდის დასამუშავებლად გამოსადეგი) ქონებისა და თვისების შესახებ, მაშინ ქაღალდის ფაბრიკის აგების შესაფერ რაიონად უნდა ცნობილ იქმნას მდ. ენგურიც, ბზიბისა და კოდორის მიდამოები. ყველა ამ სამი რაიონის ტოპოგრაფია დაახლოვებით ერთგვარია. ტყის მასივები მდებარეობენ ციცაბო მთების ფერდობებზე, რომლებიც დასერილია ღელეებით, ამასთან მდ. ბზიბი მდებარეობს თითქმის მიუვალ და უმოსახლო მიდამოებში. მდინარე კოდორი 8 თვის განმავლობაში მეტად წყალ-მცირეა, მაშინ როდესაც მდ. ენგური ყოველთვის შეიძლება ტყის მასალის ზიდვა. თუ ტყის სივრცეს ვიანგარიშებთ 66.000 დეს. და მდინარის და მისი შენაკადების სიგრძეს კი 85 ვერ., ამ შემთხვევაში ტყის ჭრის მანძილი მდინარედან უდრის 3.6 ვერსს, მაშინ როდესაც სხვა რაიონებში საშუალო სიდიდე გაცილებით მეტია, გარდა ამისა ის ადგილები ნაკლებ მისადგომია და გზების გაყვანა დიდ ხარჯებს მოითხოვს. ვინაიდან ენგურის რაიონში ტყის დამუშავება რამდენიმე წელიწადია სულ სწარმოებს და ნაწილი გზებისა უკვე არსებობს, მდინარით ტყის მასალის ჩამოტანა კი, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, შესაძლებელი არის, ამიტომ ამ რაიონს სატრანსპორტო მხრივ უპირატესობა უნდა მიეცეს სხვა ადგილებთან შედარებით.

ქაღალდის ფაბრიკისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ენგურზე მაშინ, როცა გაყვანილ იქნება ზუგდიდ-ჯვარის რკინის გზის ხაზი, რომელიც შავი-ზღვის რკინის გზის ხაზის განშტოებას წარმოადგენს და რომელიც უახლოეს წლებში აიგება.

ვემყარებით რა ამ მოსაზრებებს და ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ აქ გავრცელებულია გამოსადეგი ხეების ჯიშები, ყველაზე უფრო შესაფერ ადგილად ქაღალდის ფაბრიკის აგებისათვის მდინარე ენგურის მიდამო უნდა ვცნოთ.

ფაბრიკისათვის საჭიროა 2.500.000 კუბ. ფუტი ტყის ნედლეული; ვინაიდან ამ რაოდენობის მასალის დამზადების დროს ნაწილი გამოუსადეგი იქნება წარმოებისათვის, ამიტომ დამზადების რაოდენობა უნდა გადიდებულ იქმნას 3.000.000 კუბ. ფუტამდე.

ამ რაიონის ტყის ზრდა, საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის დაწვრილებითი გამოკვლევის ცნობების მიხედვით, არამც თუ ქაღალდის წარმოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გარანტიას იძლევა, არამედ რჩება განსაზღვრული მარაგი მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

არა ნაკლებ არსებითია წარმოების რაოდენობის და ქაღალდის შეშუტის საკითხი.

ამიერ-კავკასიისა და მისი რაიონების ბაზრების დაწვრილებითი შესწავლით, წლიური წარმოების რაოდენობა უდრის 16.000 ტონას ანუ 1.000.000 მილ. ფუთ ქაღალდს; რაც შეეხება შეშუტს, წმინდა საწარმოო მოსაზრებათა მიხედვით სასურველია შეშუტის შემცირება გაზეთის ქაღალდის ხარჯზე.

ფაბრიკის საწარმოო ნაწილის პროექტი შემდეგ ამოცანებს ისახავს:

ქარხნების წლიური დამუშავება შეადგენს 16.000 ტონას (1.000.000 ფუთი).

ამასთან ერთად წარმოება მთლიანად მუშაობს საკუთარ ნაწარმოებ ნახევარ ფაბრიკატებზე.

მხედველობაშია მიღებული ნარჩენის გამოყენება გამოსახვევ ქაღალდათ.

ქარხნის მომარაგება მის ასამოქმედებლათ საჭირო ენერგიით შესაძლებელია რამდენიმე საშუალებით: ა) საკუთარი თბობადი სადგურის აგებით, რომელსაც ექნება 4.250 კლვ. ძალა, გადამუშავებული ორთქლი გამოყენებული იქნება წარმოების ტეხნიკურ საჭიროებებისათვის; ამასთან კლვ-საათი პროექტის ანგარიშით დაჯდება 1,86 კაპ.; ბ) სრულიად ამუშავებულ აბაშის ჰიდრო-ელსადგურის ენერგიის გადაცემის გზით, გადაცემის ხაზის დაახლოვებით 300.000 მან. ღირებულებისა, ხოლო შეწყობილი მუშაობა საკუთარ ორთქლის სადგურის და აბაშის ჰიდრო-ელსადგურისა მოგვცემს კლვ-საათის ღირებულებას 1,74 კ. რაოდენობით და, ბოლოს, გ) ქუთაისის ელსადგურიდან ენერგიის მიწოდების გზით ამ შემთხვევაში ენერგიის მისაწოდებელი ხაზი (ამასთან ერთად აუცილებელია ა.-კ. რკინის-გზებისათვის) დაჯდება 2.000.000 მანეთი., ენერგიის ღირებულება იქნება 1,2 კაპ., და, ამიტომ, ქარხნის მიერ საკუთარი სადგურის აგება ზედმეტი ხდება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ქაღალდის სამრეწველო საბჭოში წინასწარ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, მთელი ფაბრიკის ღირებულება, მუშების საცხოვრებლის ჩართვით, გამოანგარიშებულია 7.600 ათასი მანეთად.

საამშენებლო მუშაობის შეჩერება ჩვენ დაგვჭირდება რამდენიმე ხნით.

ფაბრიკის აგებას ჩვენ უშუალოდ შეუდგებით მაშინ, როცა მივიღებთ გაგზავნილ ფიჭვის მასალის ქარხნული წესით გამოცდის საბოლოო შედეგს, ეს ცდები სწარმოებს ლენინგრადში საქარხნო და ლაბორატორიული მასშტაბით ქაღალდის ბიუროს სპეციალისტების მიერ.

წინასწარ სატრანსპორტო მოწყობილობათა სქემა დაახლოვებით ასეთია: დამზადებული ხე-ტყის გამოსატანად შეიძლებოდა ფერდობებზე საურმე გზის გაყვანა მცირე დაქანებებით, საიდანაც შემდეგ შეიძლებოდა ხე-ტყის მასალის მდინარისაკენ მიზიდვა. მდინარე უნდა გაიწმინდოს ქვა-ლოდისაგან. ყოველ სამ ვერსზე მდინარის ნაპირას ორივე მხრივ საჭიროა მოეწყოს ხე-ტყის მასალის მდინარეში ჩასაშვები ადგილები. საურმე გზების სიგრძე დაახლოვებით იქნება 170 ვერსი, ხე-ტყის მასალების ჩასაშვები გზებისა—60 ვერსი, თვითეულ 1½ სიგრძისა, მდინარე უნდა გაიწმინდოს 85 ვერსის მანძილზე. საურმე გზის თვითეული ვერსის ღირებულება — 500 მან., ხე-ტყის მასალების ჩასაშვები გზების თვითეული ვერსი და მდინარის გაწმენდა—5000 მან., სულ კი ნავარაუდევია დაახლოვებით 800.000 მან.

მაგრამ საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის, რომ პირველ ამუშავებისათვის ფაბრიკას არ დასჭირდება ამისთვის განსაკუთრებულ ღონისძიებების მიღება, რადგან ამაში მას დაეხმარება ადგილობრივი მოსახლეობა და ის თანდათან განახორციელებს დასახულ პროგრამას იმ პუნქტებში, სადაც არსებული ტრანსპორტი მეტად შემაფერხებელია.

ფაბრიკაში იმუშავებს 773 მუშა და 90 მოსამსახურე; საერთო თვიური ხელფასის მინიმუმი იქნება 39.134 მან., მაქსიმუმი—44.723 მან.

წლიურად დამუშავებულ ქაღალდის ღირებულება იქნება 1.407.770 მან.

საბრუნავი თანხად საჭიროა 1.519.960 მან.

დასრულებულია ფაბრიკის საერთო პროექტი, და მისი დამტკიცებისა და სათანადო თანხების გაღების შემდეგ შეუდგებით სამუშაო ნახაზების დამუშავებას.

მიმდინარე საბიუჯეტო წლისთვის მოსამზადებელ და დაწყებითი სამუშაოებისათვის გამოთხოვილია 1.500.000 მანეთი.

2. ბზიბის ხე-ტყის ქარხანა

(აფხაზეთი)

ბზიბის აგარაკის გამოყენებისა და რაციონალური ექსპლოატაციისათვის საჭიროა დიდძალი თანხები, რომლის გაღებაც სახელმწიფოს ამჟამად არ შეუძლია.

ამავე დროს ამ სატყეო რაიონის განსაკუთრებული სიმდიდრე, მაგალითად, ძვირფასი ჯიშის ხის (ბზა) არსებობა ბზიბის რაიონს აძლევს მსხვილ საკონცესიო ობიექტის ხასიათს.

ამჟამად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ არსებულ წარმოებათა გამოყენება-რაციონალიზაციაზე და მათ დამატებით მოწყობაზე.

ბზიბის აგარაკის მთელი მოედანი უდრის 118.015 დესეტინას.

ამ აგარაკის ექსპლოატაციას ყოველწლიურად შეუძლია მოგვცეს (თუ არ მივათვლით განსაკუთრებულად ძვირფას ხის ჯიშებს):

წიწვნარი 3 მილ. კუბ. ფუტი.
წიფლნარი—1 " " "
წაბლნარი—0,1 " " "
შეშა —12 ათ. კუბ. საჟ.

ქარხნის აშენება განზრახულია მე-3 ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობასთან (ყოფ. იგუმენო) შავი ზღვის პირად მდ. ბზიბის შესართავთან; ამასთან ერთად ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ყოფ. ბალობევსკის ქარხნის მოწყობილობა.

ამ ადგილს აქვს შემდეგი უპირატესობანი: ზღვისა და პიცუნდის მარჯვე ნავთსაყუდის სიახლოვე, მოედნის წყლით დაუფარებლობა, პატარა ჰიდრო-ელსადგურის, შარა გზის და მომავალ შავი ზღვის რკინის გზის სიახლოვე.

ტყიდან ხე-ტყის ქარხანამდე ადვილად მიწოდების საკითხს სწყვეტს მდინარის ვარგისობა ხე-ტყის დასაცურებლად.

ქარხნის აშენება განზრახულია ახალი, შვედური სისტემით, გადაწყვეტილია მთელი წარმოების მექანიზაცია. ქარხანამ უნდა დაამზადოს დაახლოებით 1.500.000 ფ. შეშა.

საბრუნავი თანხა გამოანგარიშებულია 480.000 მანეთში.

კაპიტალური ხარჯი შეადგენს 700.000 მანეთს, რაც 5 წელში დაიფარება.

ქარხანა ამუშავებული იქნება 1927 წლის 1-ლ ოქტომბერს.

* * *

კახეთის, კერძოთ ახმეტის რაიონის წიფლნარის დასამუშავებლად შედგენილია შენების პროცესში მყოფ ბორჯომის სატკეჩე ქარხნის მაგვარი ქარხნის წინასწარი პროექტი, დანიური ტკეჩის დასამზადებლად, მაგრამ ქარხნის აშენებას სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი შეუდგება მხოლოდ ბორჯომის ქარხნის ამუშავების შემდეგ, რადგან სურს ერთგვარი გამოცდილება მიიღოს ამ საქმეში. ამიტომ 1926—27 წლის სამრეწველო გეგმა'ა და საკონტროლო ციფრებში ეს ქარხანა არ იქნება შეტანილი.

3. ცემენტის ქარხანა

ქარხნის აგება განზრახულია კავთისხევში, გორის მაზრაში, რკინის გზის თბილის - ბათომის მაგისტრალთან, რომელიც უშუალოდ უკავშირდება თბილისისა და ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურს.

თავის დროზე ტყიბულში ცემენტის ქარხნის ასაგებად წამოყენებული ვარიანტი იხსნება ორი ძირითადი მოტივით. ჯერ ერთი დამუშავების დროს მიღებული ნარჩენი მასალა არის სხვადასხვანაირი და შემთხვევითი და ამიტომ ვერ გასწევს თიხის მაგიერობას. გარდა ამისა ეს ნარჩენი მასალა არ იკმარებს ცემენტის წარმოებისთვის. მეორე მხრით ტყიბულში საჭირო იქნება ცემენტის ქარხნისთვის ელექტრონის ძალა, რაც საგრძნობლად გააძვირებს ქარხნის აშენებას.

ნედლი მასალის ანალიზმა, რომელიც მოახდინა პრეიფერის ფირმამ გერმანიაში და სმიტმა კოპენგაგენში მოგვცა კავთის-ხევისთვის საუცხოვო შედეგები და დაადასტურა მაღალი ღირსების ცემენტის დამუშავების შესაძლებლობა.

გამოსაწვავად გამოვიყენებთ ტყიბულის ქვანახშირს, ენერგიას მივიღებთ ზემო-ავჭალიდან, ამ შემთხვევაში არ იქნება საჭირო ახალი გადასაცემი ხაზის გაყვანა, ვინაიდან ასეთი გაყავს ამ.-კავკ. რკინის გზას და გაივლის ქარხნის ახლოს, ეს გარემოება საგრძნობლად გააიაფებს ამ უკანასკნელის აშენებას.

წარმოების სიდიდე განსაზღვრულია 700.000 ბოჭკით, ანუ 7 მილიონი ფუთით.

ამიერ-კავკასიის ბაზრის მოთხოვნილება უდრიდა 1.200.000 ბოჭკა ცემენტს. საკავშირო უმაღლეს სამეურნეო საბჭოს საპერსპექტივო გეგმის მიხედვით ამ.-კავკ. ფედერაციის მოთხოვნილება განისაზღვრება 1.500.000 ბოჭკა ცემენტით (1929—30 წ.) აქედან საქართველოს წილად ხვდება (ამ.-კავკ. რკინის გზის გამოკლებით) არა ნაკლებ 500.000 ბოჭკისა. გარდა ამ.-კავკ. რკინის გზის დიდი მოთხოვნილებისა, ცემენტის საკმაოდ დიდი რაოდენობა დასჭირდება ჰიდროსადგურის და ნავთსადგურის აღმშენებლობას. ქარხნის 700.000 ბოჭკის ცემენტის ნაყოფიერების დროს, რესპუბლიკის გარეთ შეიძლება გატანილ იქნეს 500 ათასი ფუთი.

წარმოების საერთო ღირებულება გამოანგარიშებულია **2.600.000 მან.** ერთი ბოჭკა ცემენტის თვითღირებულება არ გადააჭარბებს 2 მან. 73 კაპ.

900.000 მან. საბრუნავ თანხასთან ერთად გამოთხოვნილ საშუალებათა საერთო რაოდენობა უდრის 3.500.000 მან.

1926-27 წ. გამოთხოვნილია 400.000 მან. იმ მიზნით, რომ შეუდგეთ მთავარი კორპუსის აგებას და შეუკვეთოთ მოწყობილობა.

4. ქვიცარცი

ახალქალაქის უზარმაზარ ქვიცარცის მადნების დამუშავება მოითხოვს ამ საქმისადმი ფართო მიდგომას და დიდ კაპიტალს, ამიტომ ადგილობრივ ბაზრის დასაკმაყოფილებლად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ფიქრობს მადნის დამუშავება დაიწყოს საკუთარი ძალებით. მაგრამ რაც შეეხება მსხვილ წარმოებას საექსპორტო მიზნებისათვის საჭირო იქნება სპეციალური კონცესია.

ქვიცარცას ფასის 1 მ. 40 კ.-დან 75 კ.-დე დაწევის მიზნით განზრახულია 78.250 მან. დახარჯვა—ცეცხლ საშრობის მოსაწყობად, ფარდულის ასაგებად, ტრანსპორტის მექანიზაციისათვის, გზის შესაკეთებლად და სხვა.

5. ლითოგრაფიული ქვა

ლითოგრაფიული ქვის დამუშავება ამჟამად სწარმოებს ხელით და ერთი ქვის დამზადება ჯდება 16—18 მან., მანქანით ხეხვა კი დაჯდება 11 მან. და წარმოებაც ამ შემთხვევაში საგრძნობლად შეიძლება გაიზარდოს.

საქართველოს მიერ ლითოგრაფიული ქვის მოხმარება უდრის 100 ცალს, კავშირის დანარჩენ რესპუბლიკების—500—600 ცალს.

ლითოგრაფიული ქვის ღირსების გამოსარკვევად მოხდენილ იქნა ცდები პოლიგრაფტრესტის ლითოგრაფიაში, სადაც გამოგზავნილი ნიმუშები რამდენიმე თვის განმავლობაში იყო მუშაობაში უცხოეთის ქვებთან ერთად და სავსებით გასწიეს ამ უკანასკნელთა მაგიერობა ლითოგრაფიის ყოველგვარ სამუშაოში.

თუ მივიღებთ მხედველობაში ქვის ღირსებას, მაშინ მისი გასაღება უზრუნველყოფილია.

ჯერ პირველად განზრახულია 100—50 ცალი ქვის დამუშავება, და შემდეგ წარმოების თანდათან გაფართოება.

ალგეთის ქვის დამუშავების ადგილზე შენობათა მოწყობა-აშენებისთვის საჭირო თანხა გამოანგარიშებულია 65.000 მან., საიდანაც მომავალ წლისათვის გამოთხოვილია 45.000 მან.

(შემდეგი იქნება)

ინჟ. ბ. ჟიჟინაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 210.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარულად ს. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებასთან დაკავშირებით და ყველა საგამომცემლო ორგანიზაციათა ნაღდ ანგარიშზე გადასვლის გამო—ს. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტმა შესწყვიტა საოლქო და სამაზრო კომიტეტებისათვის ლიტერატურის უფასოთ მიწოდება გამონაკლის შემთხვევებში კამპანიების ჩატარების დროს.

ამიტომ მომავალში საოლქო და სამაზრო კომიტეტებმა უშუალოდ უნდა დაიკავოს კავშირი საგამომცემლო ორგანიზაციებთან—როგორც საქართველოში—ისე ს. ს. ს. რ-ში ლიტერატურის შესაძენათ.

ადგილობრივ პარტ-ორგანიზაციების ფართე ინფორმაციისათვის ახლად გამოსულ გამოცემათა შესახებ, საგამომცემლო ორგანიზაციები პერიოდულად აქვეყნებენ გაზეთებში გამოცემულ წიგნების სიას. („კომუნისტში“, „მუშაში“, „რაბოჩაია პრავდა“-ში, „ზარია ვოსტოკა“-ში). ს. ს. ს. რ-ის გამომცემლობანი ანალოგიურ განცხადებებს აქვეყნებს მოსკოვის გაზეთებში („პრავდა“-ში, „იზვესტია“-ში, და სხვ.) და სპეციალურ ბიულეტენებში.

ადგილობრივ პარტორგანიზაციებს მართებს თვალ-ყური ადევნოს ასეთ განცხადებებს და ყოველ ცალკე შემთხვევაში უშუალოდ შეიძინონ საჭირო წიგნები.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი **კახიანი.**
ბეჭდვითი განყ. გამგე **მუშიშვილი.**

ყურადღება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას

სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი. საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა ივლისის პლენუმმა კვლავ აღნიშნა ეს გარემოება რეზოლიუციაში, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა ხელახალი არჩევნების შესახებ. „თანამედროვე პირობებში—ვკითხულობთ რეზოლიუციაში, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, ბრძოლა მრავალრიცხოვან ბურჟუაზიულ-ჩინოვნიკურ ნაშთებთან და მათ გავლენასთან, ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ნამდვილ გაუმჯობესებისა და გადახალისებისათვის—ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ცენტრალური ამოცანა უნდა იყოს“.

უმაღლეს პარტიულ ორგანიზაციის ეს დადგენილება ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის თვითეულ წევრს განსაკუთრებით ფხიზლად მოეკიდოს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებასა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ამ მხრივ დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ ჩვენი პარტიის იმ უჯრედებს, რომელნიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანოებთან არიან.

უნდა იქნეს აღიარებული, რომ ბრძოლას აპარატის გაუმჯობესებისათვის არ ექცევა ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება დაწესებულებებთან არსებულ უჯრედების მხრივ. თავის ყოველდღიური საქმიან მუშაობაში უჯრედები ნაკლებ ადგილს უთმობენ დაწესებულების აპარატის გაუმჯობესებას და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს. ამ მუშაობის მთელი სიმძიმე უმეტეს შემთხვევაში პარტიის იმ წევრებთ აწევთ, რომლებიც ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში სდგანან. ცხადია, როგორი გამობრძმედილი და გამოცდილიც არ უნდა იყოს დაწესებულების ხელმძღვანელი-კომუნისტი ის ვერ გაართმევს თავს ამ საქმეს მარტო საკუთარი ძალის ამარა. ამიტომ არ არის იშვიათი მოვლენები, როდესაც კომუნისტი—პასუხისმგებელი მუშაკი ვარდება მის გარშემო მყოფ ბიუროკრატიულ ელემენტების გავლენის ქვეშ.

ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს მთელი პარტიული მასა, როდესაც ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ერთი ამხანაგის მხრების მაგიერ მრავალთა ბეჭებს დააწვება.

პარტუჯრედები ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ საქმეს. მათ უნდა დასვან დღის წესრიგში და ხანგამოშვებით განიხილონ საკითხი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების შესახებ იმ კონკრეტიულ პირობებთან შეფარდებით, რომელიც ამა თუ იმ დაწესებულება წარმოებაში არსებობს.

საბჭოთა უჯრედების სხდომაზე უნდა დაისვას, ხოლმე, დაწესებულებათა ხელმძღვანელ კომუნისტ-ამხანაგების მოხსენებები დაწესებულების აპარატის მდგომარეობის, ნაკლის და მის გაჯანსაღებისათვის მიღებულ ღონისძიებათა შესახებ. ეს მოხსენებები, ერთის მხრით, გააცხოველებს უჯრედების მუშაობას და დაუახლოვებენ მათ დაწესებულებათათვის საჭირბოროტო ადგილობრივ საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ ფართო პარტიულ მასას ჩააბამს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რასაკვირველია, ამ გზით უფრო იოლია და შესაძლებელი ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება და გაუმჯობესება.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ პარტიის მიერ გადაუდებელ ამოცანადაა დასახული. პარტიის თვითეული წევრი და კანდიდატი უნდა ჩაებას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტაში.

ანრანი.

ტყავეულის ქარხანა №8

№ 8 ტყავეულის ქარხნის უჯრედის ბიუროს გადარჩევა, წევრთა უაღრესი აქტივობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა.

სამშაბათს 14 სექტემბერს შესდგა პარტიულ უჯრედის რიგ-გარეშე კრება. დღის წესრიგში დასმული იყო 4 საკითხი:

1. უჯრედის ბიუროს ანგარიში.
2. საქარხნო კომიტეტის ფრაქციის თანამოხსენება.
3. ახ. ლენ. კომკავშირის უჯრედის თანამოხსენება.
4. ახალი ბიუროს არჩევნები.

ამ საკითხების გარშემო შემოვიდა სულ 66 შეკითხვა. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ამხანაგმა., რომელთაც აღნიშნეს უჯრედის ბიუროს მუშაობის ღირსება-ნაკლულევანებანი.

უჯრედის ბიუროს გადარჩევისას ირიცხებოდა 95 წევრი და კანდიდატი.

უჯრედის ზრდა სავსებით მოწესრიგებულია. ავადმყოფური მოვლენების, როგორიც არის ინტრიგა, კინკლაობა და სხვ. უჯრედში ადგილი არა აქვს. აღსანიშნავია პარტიის წევრების მხრივ, სერიოზული ყურადღება შრომის ნაყოფიერების აწევის, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების სამუშაო დღეების გაცდენისადმი.

ამასთანავე უჯრედმა მიუთითა მთელ რიგ ნაკლულევანებათ, რომელთა რიცხვს ეკუთვნის პარტიის ყველა წევრებს შორის პარტიულ ვალდებულებათა არა თანაბარი განაწილება. პარტიის 37 წევრს არავითარი პარტიული ვალდებულება არა აქვთ დაკისრებული და არ არიან ჩაბმული პარტმუშაობაში.

შესამჩნევია აგრეთვე უჯრედის წევრებთა უმრავლესობის პასიურობა. ჰქონდა აგრეთვე ადგილი უყურადღებობას პარტიულ ვალდებულებისადმი.

სუსტი იყო მუშაობა საწარმოო თათბირებში, უჯრედის შიგნით პარტიულ აქტივის არა საკმარისი კადრი იყო და სხვ.

კრების მიერ უჯრედის ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლათ იქნა ცნობილი. ახალ შემადგენლობაში შევიდნენ 9 წევრი და 2 კანდიდატი.

ხ. ა.

პარტქრონიკა

საკავშირო კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტში

— ა.-კ. საოლქო კომიტეტმა საჭიროთ სცნო ყველა მასალების შეგროვება-სისტემატიზაცია ამიერ-კავკასიაში ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიიდან, ყველა რესპუბლიკების ც. კომიტეტებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ თითო-თითო ამხანაგი და გაგზავნონ ისინიც კავშირში ამ მუშაობის საწარმოებლად.

— ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა პროფორგანოებში მომუშავე ახკომკავშირის მუშაკთა ა.-კ. თბილისის დღის შემდეგი წესრიგი: მოხსენება პროფორგანოების შემდგომ ამოცანებზე; მოხსენებები ადგილებიდან; მოხსენება მუშა-ახალგაზრდობის პროფტეხნიკურ განათლებაზე; მოხსენება კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელახლა დადებისა მომავალ კამპანიაზე, მოხსენება ახალგაზრდათა შორის კულტგანმანათლებელ მუშაობაზე და სხ. თათბირი მოწვეული იქნება 10 ოქტომბერს.

— ა.-კ. საოლქო კომიტეტმა დაადგინა მის შეფობის ქვეშ მყოფ საესკადრო ნალმოსანს „შაუმიანს“ მიართვას წითელი დროშა.

— ა.-კ. საოლქო კომიტეტის სამდივნომ დაადგინა ა. წ. 1-ლ ოქტომბრისათვის მოიწვიოს რესპუბლიკების ც. კომიტეტების და მსხვილ სამაზრო კომიტეტების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების ა.-კ. თათბირი. დღის წესრიგი: ძირითადი ნაკლულოვანებები საკავშირო კომკავშირის ა.-კ. ორგანიზაციის სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაში; პოლიტგანათლების საკითხი ქალაქად და სოფლად; ანტი-რელიგიური პროპაგანდა; მასალების დამტკიცება საგიტ.-საპროპ. მუშაობის სხვადასხვა დარგებში.

— ა.-კ. საოლქო კომიტეტის საგიტ.-საპრ. განყოფილების გამგეს დაევალა წერილობით მიმართოს ადგილებს, რათა უკანასკნელები მოემზადონ ამ თათბირისათვის.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

რატომაა მოსაწყენი საწარმოო თათბირები

რატომ არის ზოგჯერ საწარმოო თათბირები მოსაწყენი, რატომ ხდება, რომ ზოგჯერ საწარმოო თათბირზე მუშები მაინცა და მაინც დიდი ხალისით არ მიდიან და ვინც მიდის, ისიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებს სჯა-ბაასში?

ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანია საწარმოო თათბირის უხეიროდ მოწყობა, კერძოთ ძირითად მოხსენების მოუმზადებლობა და შეუფერებლობა იმ მუშაობისათვის, რომელსაც მიზნად ისახავს საწარმოო თათბირი. რაში გამოიხატება ეს შეუფერებლობა?

საზოგადო სურათი საწარმოო თათბირებზე ასეთია: ადმინისტრაცია გამოდის ვრცელი მოხსენებით წარმოების თუ დაწესებულების სადღეისო სამეურნეო ვითარების შესახებ. მოხსენება გრძელდება მთელი საათი და ხშირად ბევრათ უფრო მეტიც. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან მოხსენებას მთელი წარმოების შესახებ, თუ კი მართლა ის საქმიანი და ფაქტიური მასალით დასაბუთებული მოხსენებაა, დრო და მოცალება უნდა.

კრება ისმენს მოხსენებას და მის (მოხსენების) დასასრულს აუდიტორია საკმაოდ იქანცება.

გარდა ამისა საერთო მოხსენებაში იჩრდილება ის წვრილმანი დაბრკოლებები, რომელიც შეიძლება მხედველობაში აქვს ზოგიერთ დამსწრეთაგანს და რომელზედაც მას სურს მითითება.

ამრიგად თათბირი დგება, ასე ვთქვათ, ფართო პრინციპიალურ ნიადაგზე. მოხსენების ირგვლივ ხშირად იმართება ზოგადი ხასიათის კამათი, წარმოებისა თუ დაწესებულების კონკრეტი, საჭირბოროტო საკითხები კი გვერდზე რჩება.

საწარმოო თათბირების პირდაპირი დანიშნულება კი სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ შემჩნეული და გამოსწორებულ იქნას ყოველი წვრილმანი დაბრკოლებები და მათთან ერთად, რასაკვირველია, უფრო დიდი მნიშვნელობის ტკივილებიც.

რა არის საჭირო, რომ ამგვარ მდგომარეობას საწარმოო თათბირებზე ბოლო მოეღოს? აქ აუცილებელია ყურადღების მიქცევა ძირითად მოხსენების მომზადებაზე და ამ მოხსენების ხასიათზე.

მთავარი პირობა ამ მოხსენების დროს არის შემდეგი: მოხსენება არ უნდა ისახავდეს მიზნათ მთელი წარმოების მდგომარეობის დახასიათებას. უნდა გამოყოფილ იქნას წარმოება-დაწესებულების საიმდღესიო საჭირბოროტო ერთი ან რამდენიმე საკითხი და ეს საკითხები უნდა გადაიქცნენ საწარმოო თათბირის მსჯელობის მთავარ საგნად.

უდავოა, რომ ასეთ შემთხვევაში მასის აქტივობაც გაიზრდება და წარმოებაც გაცილებით მეტ სარგებლობას ნახავს, ვიდრე ამას ბევრ დღევანდელ საწარმოო თათბირიდან ნახულობს იგი.

ა. გლანელი.

მეველის ხელობა გაიხსნა

(ყვარელი, თელ. მ.)

ამ დღეებში გადმოცეს ერთი საგულისხმო ამბავი, რომელიც არაა მნიშვნელობას მოკლებული და არც შემთხვევითია ჩვენი სოფლის ცხოვრებაში.

ს. ყვარელის კოოპერატივის გამგეობის წევრს, ი. ბუშელაშვილს დასდგება ვალათ ოცდა ჩვიდმეტი თუმანი (370 მან.), ამას გარდა მას წინანდელი მართებია კოოპერატივის კიდევ ათ თუმნამდე. პასუხს კი არავინ სთხოვს. საქმე მით გაუთავებიათ, რომ ბუშელაშვილისათვის შეუტანიებიათ განცხადება თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და მასაც პირობა მიუცია, რომ აღნიშნული ვალს გადიხდის. როდის—ეს არაა ნათქვამი.

ნუ თუ ეს საკმარისია? ნუ თუ ამისთანა გამფლანგველები არ უნდა ისჯებოდნენ? მაშინ ყველას შეუძლიან გაფლანგოს და ბოლოს სთქვას: „შემომხარჯვია და მალე გადვიხდიო“. ამ საშუალებით ჩვენ კოოპერატივს წინ ვერ წავწევთ.

ამ გარემოებას ემატება მეორე. სარევიზიო კომისიის წევრსაც აგერ ორი წელია მართებს კოოპერატივის ათი თუმანი და აბა რა სულელი იქნება, რომ ბუშელაშვილი პასუხისგებაში მიაცემინოს.

აქ აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ქალაქად ებრძვიან და სოფლად ჯერ ვერ ამოუფხვრიათ: თუ ერთი საქმე გააფუჭა ან ბოროტმოქმედება ჩაიდინა, მას იქიდან ხსნიან და მეორე ადგილზე (უფრო თბილ ადგილზე) ნიშნავენ. ბუშელაშვილი იყო თემაღმასკომის თავმჯდომარე. 1924 წელში მან ბევრი უწესოება ჩაიდინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუშელაშვილის წინააღმდეგ ამხ. შ. ელიავას და მათიკაშვილს მოუხდათ ზომების მიღება.

ამის შემდეგ მას ირჩევენ კოოპერატივის გამგეობაში, სადაც მან ძველებური ხელობა გაიხსნა.

კუდის გორელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

პროფკავშირები და მომჭირნეობა

მოსკოვში გაზეთ „პრავდა“-ს მუშა-კორესპონდენტების კლუბში, ამხ. ვლადიმიროვი, საკავშირო პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილების გამგე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით პროფკავშირების როლის შესახებ მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში. გაზეთ „პრავდა“-ს მოჰყავს ამ მოხსენების მთავარი ადგილები:

მომხსენებლის სიტყვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის საწარმოო თათბირების გაცხოველებას.

„საწარმოო თათბირებმა, ამბობს ამხ. ვლადიმიროვი, მოკლე ხნის განმავლობაში უკვე მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. მათ გასწმინდეს ჩვენი მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის გზა. საერთო თეორეტიულ მსჯელობიდან ისინი გადავიდნენ პრაქტიკულ მუშაობის გზაზე. მათ წამოაყენეს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მრავალი დაზგის მუშები. შემდეგში ეს მუშაობა კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ.

რაც შეეხება თვით პროფკავშირებს, აქ ამხ. ვლადიმიროვი ამბობს:

პროფკავშირების აპარატში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი მომჭირნეობის განსახორციელებლად. არსებული შტატები დიდია, გაფლანგვები ხშირია, ფაბკომისა და ქარხკომის აპარატი უნდა შემოკლდეს და სხ.

სამუშაო დროის გაცდენის შესახებ, რამაც მასიური ხასიათი მიიღო უკანასკნელ ხანებში, მომხსენებელი ამბობს:

„ადმინისტრაცია, მიუხედავათ იმ უფლებებისა, რომელიც მას მინიჭებული აქვს, ხშირად არ ღებულობს სათანადო ზომებს ამ სენის აღმოსაფხვრელად. **ეს იმით აიხსნება, რომ ადმინისტრაცია დარწმუნებული არაა, დაუჭერს თუ არა მას ამ შემთხვევაში მხარს ქარხკომი და პარტიული ორგანიზაცია.** ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, შემცდარია. ადმინისტრაცია უნდა დარწმუნებული იყვეს, რომ ის შესაფერის დახმარებას ჰპოვებს პროფკავშირისა და პარტიულ ორგანიზაციის მხრივ“.

დამცველთა კოლეგიის წევრთა შესახებ

დამცველთა კოლეგიის წევრი სასამართლოს მარჯვენა ხელია, რომლის დახმარებით სასამართლოს საშუალება ეძლევა უფრო დაწვრილებით და გარკვევით გაეცნოს საქმეს და ამოსწუროს ყველა ის საკითხები, რომელიც საჭიროა და დაკავშირებულია საქმესთან; ამნაირად დამცველთა კოლეგიის წევრს დიდი სარგებლობა მოაქვს სასამართლოსათვის. სამწუხაროდ, მშრომელ ფართო მასებმა ჯერ კიდევ კარგად არ იციან თუ რანაირ როლს თამაშობს დამცველთა კოლეგიის კორპორაცია.

ისინი სრულიად უფასოდ გამოდიან სახელმწიფო დამცველთა როლში ამა თუ იმ საქმეზე. უფასოდ უწერენ განმარტებას და განცხადებას მშრომელთ, კითხულობენ ლექციებს, იკვლევენ საქმეებს და ფართო იურიდიულ რჩევა-დახმარებას უწევენ მშრომელთა მასებს.

ყველა ეს დამცველთა კოლეგიის წევრების მიერ კეთდება სრულიად უფასოდ.

ეს იმ დროს, როდესაც მათი არსებობის წყარო არის ფასიანი საქმეების წარმოება. ამიტომ მუშებმა და გლეხებმა უნდა მიმართონ ხოლმე დამცველთა კოლეგიის წევრებს, როდესაც მათ სჭირდებათ დამცველი სასამართლოში სხვადასხვა საქმეებისათვის. მშრომელმა მასებმა უნდა იცოდნენ, რომ მხოლოდ დამცველი გაუწევს მათ სწორს და სასარგებლო დახმარებას. დამცველთა კოლეგიის წევრთა კორპორაცია თავის საქმეს ასრულებს უმაღლეს სასამართლო ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ და მის წინაშე არის პასუხისმგებელი თავისი მუშაობით და მოლვაწეობით.ბევრმა ეს არ იცის და ხშირად ვარდება ეგრედ-წოდებულ „აბლაკატების“ ხელში, რომლებიც არ ითვლებიან დამცველ კოლეგიის წევრებად; ასეთი პირები ტყავს აძრობენ გლეხებს და მუშებს.

ყოველ მუშას, ყოველ გლეხს საქართველოს ყველა პროვინციებში შეგნებული უნდა ჰქონდეს დამცველთა კოლეგიის მნიშვნელობა სასამართლოში ახალ მეთოდებით მუშაობის საქმეში.

საბჭოთა სასამართლოს წყობილებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დამცველთა კოლეგიის წევრს, რომელსაც დაკისრებული აქვს დიდი მოვალეობა და იგი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასამართლოს არსებულ კანონების სხვადასხვა შემთხვევების დროს სწორ შეფასებას, რომ ასეთი დახმარებით განმტკიცდეს რევოლიუციონური კანონიერება.

ნ. კორინთელი.

წითელ ჯარში

წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობის სათადარიგოთ შვებულ პირთა სამუშაოზე მიღება

მოსკოვი, 16 სექტ. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა საკავშირო სახკომსაბჭოსთან დაარსოს წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობის სათადარიგო შვებულ, უვადო შვებულებაში გაშვებულ და აღრიცხვიდან მოხსნილ პირთათვის სათანამდებო ადგილების მიმცემი ცენტრალური კომისია. კომისიის თავმჯდომარეთ ირიცხება სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარისა და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ყველა სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებები ვალდებული არიან მიიღონ სამსახურში წითელი არმიის საკომანდო შემადგენლობის დათხოვნილი პირები კომისიის სათანადო დასკვნის მიხედვით ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში, არსებულ საშტატო ადგილების 3 პროც. შევსებამდე, მიუხედავათ ამ დადგენილების გამოქვეყნების მომენტისათვის აღნიშნულ წარმოება დაწესებულებათა სამსახურში მყოფ ყოფილ სამხედრო მსახურთა რიცხვისა.

საკომანდო შემადგენლობის ყველა დათხოვილი პირები იმ დღიდან, რა დღიდანაც მიიღეს კომპენსაცია დათხოვნის დროს, სამსახურში დანიშვნის ან პენსიის მიღების მომენტამდე სარგებლობენ სოციალური დაზღვევის წესით, ყველა სახის დახმარების მიღების უფლებით ყველა დაზღვეულებთან ერთად, მიუხედავათ მათი დაქირავებული შრომითი და სამხედრო სამსახურში ნამყოფობის სტაჟისა.

1904 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის

გაწვევაზე გამოცხადება

გაწვევა ამა თუ იმ რაიონში ცხადდება ადგილობრივ ტერიტორიალურ სამმართველოების და სამაზრო სამხედრო კომისარიატების ბრძანებით. გასაწვევ სიებში შეტანილი მოქალაქეები ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სწორედ იმ ვადაზე, რომელიც აღნიშნულია ბრძანებაში.

გაწვევაზე გამოცხადებისაგან არავინ არ თავისუფლდება, გარდა იმ პირებისა, რომელთაც მიეცათ რაიმე შეღავათი.

მოქალაქეები, რომელთაც არ შეუძლიათ გაწვევაზე გამოცხადება საპატიო მიზეზის გამო, წარადგენენ გამწვევ კომისიებში სათანადო საბუთებს, რომლებიც ადასტურებენ გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზებს.

გაწვევაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების საპატიო მიზეზათ ითვლება: ა) ავადმყოფობა, რაიც ხელს უშლის მოქალაქის პირად გამოცხადებას, ხოლო ეს გარემოება დადასტურებულ უნდა იქნეს სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმის მიერ. ბ) პატიმრობა სასამართლოს განაჩენით ან საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებით. გ) სტიქიური ხასიათის დაბრკოლება (წყალდიდობა, გზების გაფუჭება და სხვა), მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე წარმოადგენს თემის ან რაიონის აღმასრულებელ კომიტეტის მოწმობას იმის შესახებ, რომ მართლაც შეუძლებელი ყოფილა დაბრკოლების დაძლევა.

კვნის მიხედვით ამა თუ იმ წარმოება-დაწესე-

სხვა შემთხვევაში არავითარი მიზეზი გამოუცხადებლობის არ იქნება მიღებული მხედველობაში და ამ მოქალაქეებს მოეთხოვება პასუხი კანონის მიხედვით.

ჩვენი საქმიანობა

(მე-6-ე ქართ. ლეგიონი)

ყველა ცვალებადელნი, რომელნიც იყვნენ მიწერილნი ჩვენ ლეგიონზე, გამოცხადდნენ შეკრებაზე უკლებლივ.

1-ლ სექტემბრიდან ყველა ასეულებში დაიწყო ნორმალური მეცადინეობა, როგორც სამწყობრო, ისე პოლიტიკურ დარგში.

მოწყობილია ლენინის კუთხეები, სადაც საკმაოდ არის წიგნები, გაზეთები და სხვა სახელმძღვანელო მასალა.

ლეგიონის ბიბლიოთეკამ საკმაო რიცხვი წიგნისა წამოიღო ბანაკად. იგი დიდ დახმარებას უწევს ცვალებადელებს.

წერა-კითხვის უცოდინარნი გამოყოფილნი არიან ცალკე ჯგუფებად.

ცვალებადელნი ხალისიანად მუშაობენ, დაუზარებლივ ასრულებენ ყოველივე დავალებას.

პოლიტსაათს კარგათ ითვისებენ ყველანი, დაინტერესებულნი არიან ცოდნის შეძენით; ხელმძღვანელებს აძლევენ მრავალ შეკითხვებს საკითხის გამოსარკვევად.

სამწყობრო მეცადინეობაც სასურველად მიმდინარეობს. უკვე გაიცნეს შაშხანა თოფი და სროლის წესები. მალე დაიწყება სროლის წარმოება მინდვრათ.

ე.

საუბარი აკადემიკოს ი. ი. კარპინსკისთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში აკადემიკოსმა კარპინსკიმ განაცხადა შემდეგი:

ჩემი ჩამოსვლის მიზანი ამიერ-კავკასიაში არის ძველ სიძველეთა და ქანდაკებათა დაწვრილებითი შესწავლა. აქ, ამიერ-კავკასიაში, ბევრია ისეთი ძველი ხელთნაწერები და ქანდაკებანი, რომელთა შესწავლა ამჟამად ჩვენი მეცნიერებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.

მე დიდათ მაინტერესებს ძველი კულტურის ყველა სახეების შესწავლა.

დიდ ყურადღებას მივაქცევ ამ მხრივ აზერბეიჯანს, რადგან აღმოსავლური კილო-კავების შესწავლა ჩემთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.

მე აქ დავათვალიერე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის უწყებაში არსებული კავკასიის ისტორიულ - არქეოლოგიური ინსტიტუტი, სადაც გავეცანი ინსტიტუტის მომავალი მუშაობის გეგმას და სამეურნეო ხასიათის საკითხებს.

დავათვალიერე აგრეთვე სამხატვრო გალერეია, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა ძველი მხატვრობისა და ქანდაკების დარგში.

ჩემი დაკვირვებით თბილისს გამოცოცხლება ეტყობა, მეცნიერების ყოველ დარგებში, რაიც ძლიერ მახარებს.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიას განზრახული აქვს ამ ახლო ხანში საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში მოაწყოს სამეცნიერო ბაზები. ერთ ასეთ ბაზათ თბილისში იქნება კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი.

როგორც ვიცით, სამეცნიერო აკადემიის 200 წლის იუბილეს გამო აკადემიას მიენიჭა სრულიად საკავშირო სამეცნიერო აკადემიის სახელწოდება. ამის გამო აკადემიამ შეიმუშავა ახალი წესდება და უმაღლეს ინსტანციაში წარადგინა დასამტკიცებლად.

ეს წესდება ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან განსაკუთრებულ კომისიის დაარსებას სამეცნიერო მუშაობის საკავშირო მასშტაბით გასაერთიანებლად.

ყოველივე ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას უფრო მტკიცე კავშირი დავიჭიროთ ქართველ მეცნიერებთან, რომ ამით წინ წავსწიოთ მეცნიერების საქმე.

ექსპორტი

საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ამიერ - კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, დაამუშავა და კავშირის ცენტრალურ ორგანოებს წარუდგინა საექსპორტო გეგმა მომავალი წლისათვის.

ამიერ - კავკასიის საქონლის ექსპორტში უმთავრეს როლს თამაშობს გაზიდვა დასავლეთის ქვეყნებში, სადაც სამთამადნო მრეწველობის პროდუქტების გარდა (ნავთის პროდუქტები და მარგანეცი) მიდის აგრეთვე სასოფლო მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული წარმოების პროდუქტებიც (თამბაქო, სიმინდი, აბრეშუმის პროდუქტები, თევზი, ხიზალალა, ჯაგარი, ბეწვეული, ხალიჩები, ტყის მასალა და სხ.),

ამიერ - კავკასიის მთელი ექსპორტი დასავლეთში 1924—25 წელში შეადგენდა 55.379.000 მან. (ამაში შედის ნავთის პროდუქტები და მარგანეცი), აღმოსავლეთში იქნა გატანილი 6.601.000 მან. საქონელი.

მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში დასავლეთში იქნა გატანილი 49.845.000 მან. საქონელი, აღმოსავლეთში — 6.922.000 მან. მიმდინარე წლის მთელი საექსპორტო გეგმა შედგენილი იყო 61 მილ. მანეთისა. სასოფლო-სამეურნეო ნაწილი გეგმისა შედგენილი იყო 9.506.000 მან. საქონლის გატანის ვარაუდით. 10 თვის განმავლობაში გატანილ იქნა სას.-სამეურნეო საქონელი—9.506.000 მან. (72%). ექსპორტის კონტიგენტის უდიდესი ნაწილი შესრულებელი იქნება გეგმის მიხედვით ბოლომდე.

ექსპორტის უდიდესი ნაწილი შესრულებულია სახ. საგეგმო კომისიების მიერ—5.721.000 მან., ე. ი. 60,2%: კოოპერაციამ გაიტანა 2.093.000 მანეთისა, ანუ 22%, შერეულმა საზოგადოებებმა — 11.7% და კერძო პირებმა მხოლოდ 581.000 მან. ე. ი. 6,1%.

საექსპორტო გეგმა მომავალი წლისათვის ითვალისწინებს 14.844.000 მან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანას დასავლეთში; მარტო ამ.-კავკ. სახვაჭრობა გაიტანს 8.121.000 მან. ანუ საერთო ექსპორტის 59,6%—6.

მომავალ წელში მოსალოდნელია 474.400 მან. მოგება.

სასოფლო - სამეურნეო საქონელთა შორის ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობის საექსპორტო საქონელია, აბრეშუმის პარკი, ტყის მასალა, თამბაქო, ხალიჩები.

ტყის მასალის გაზიდვა წლიდან წლამდე იზრდება 1922—23 წ. გატანილ იქნა 125.000 მან., 1923—24 წ. — 101.000 მან., 1924—25 წ.—152.000 მან. და მიმდინარე წლის 10 თვის განმავლობაში გატანილ იქნება — 720.000 მან.

მომავალი წლის გეგმის მიხედვით გატანილ იქნება 835.000 მან. ტყის მასალა. ტყის მასალიდან საზღვარგარედ გატანა: დასავლეთში—2 მილ. ფირფიცარი, კაკლის მორები 1000 ტონა, ბზა—300 ტონა და სხ.

თამბაქო გატანილ იქნება 1.530 ტონა. მიმდინარე წელში გატანილია მხოლოდ 100 ტონა, წარსულ წელში კი 848 ტონა.

ქრონიკა

ორშაბათი დასასვენებელი დღეა

შრომის სახალხო კომისარიატის განმარტებით, ორშაბათი, 20 სექტემბერი, ბაქოს 26 კომუნარის დღე, გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ.

პროფ. გეტსის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი მეცნიერი, გეოლოგი **რ. რ. გეტსი.** პროფ. გეტსის სახელი ცნობილია სამეცნიერო შრომებში, როგორც ევგენიკისა და ბოტანიკის მკვლევარი, მისი წიგნი „მემკვიდრეობა და ევგენიკა“ თარგმნილია რუსულ ენაზე. გეტსი აღფრთოვანებულია რუსბიოლოგთა მუშაობით და საბჭოთა კავშირის ფაუნისა და ფლორის სხვადასხვა სახეობით. ის ყოფილა მურმანსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ყაზანში, სამარაში, სარატოვში და კავკავში.

ბოტანიკურ ბაღის დათვალიერების შემდეგ პროფესორი გეტსი გაემგზავრა ბათომს.

„ინდო“

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა ინდო-ევროპიულ სატელეგრაფო ხაზზე გაფიცულებს გადუგზავნა სექტემბრის პირველ ნახევრის ერთდროული დახმარება.

ექსპედიცია მყინვარწვერზე

მყინვარწვერიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა მგზავრების განყოფილების ექსპედიციის ერთი ნაწილი. ნაწილი კი დარჩა წვერზე მეორედ ასასვლელად.

მეორედ ასვლის დროს ჩამოტანილ იქნება თვითჩამწერი იარაღები და ამ იარაღების ჩანაწერი

მეორედ ასვლა განზრახული იყო 16 სექტემბრისათვის.

საექიმო ექსპედიცია

გუშინ ონიდან, **ექიმ ასლანიშვილისაგან** რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა: „დღე ნახევარში გავიარეთ სამხრეთ-ოსეთი. 15 სექტემბერს გადმოვიარეთ მამისონის უღელტეხილი; წყნარი და მზიანი ამინდი იყო. არდონსა და მამისონის მყინვარები, რომლებიც მუდმივ თოვლით არიან დაფარული, დიადია. საღამოს ვიყავით შოვში. ამხ. შამშე ლეჟავასთან ერთად დავათვალიერეთ შოვი. დიდებულ სურათს წარმოადგენს შოვი, თავისი სანატორიუმის ახალი შენობებით, ჰიდრო სადგურით 16 ნაირი მინერალური წყაროთი და თავისი ფიჭვნარით. დღეს ჩამოვედით ონში. მოვდივართ შემერით, საჩხერითა და ჭიათურით.

ღამით მთებში მოვიდა თოვლი.

წყლის ფული

თბილისის წყალსადენის სამმართველოს ცნობით, უკანასკნელ დროს ძლიერ მოიმატა სხვადასხვა დაწესებულებებზე წყლის ფულის დავალიანებამ.

თბილისის აღმასკომმა განკარგულება მოახდინა დაკეტოს წყალი ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუტანიათ ძველი და ახალი დავალიანება.

თბილისის აღმასკომში

— **მეფუტკრეობა.** სკების დასამზადებელ სახელოსნოსათვის საადგილ-მამულო განყოფილება რუსეთში იძენს ახალ დაზგებს და ხელსაწყოებს.

— **აგრო-პუნქტებთან** მაზრაში ეწყობა აგრონომიული კაბინეტები და იარაღ-მანქანების საწყობები.

— **გამოფენები.** მაზრაში აღმასკომი აწყობს საჩვენებელ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს.

— **ყრილობა.** მომავალ წლის დასაწყისში თბილისში მოწვეული იქნება მაზრის აგრონომთა ყრილობა.

— **მიწის მოწყობა.** მიწის მოწყობა მომავალ წლიდან პირველ რიგში იწარმოებს სხვადასხვა ეროვნებათა მოსახლე თემებში.

— **ტრამვაი.** დამტკიცებული იქნა გეგმა მთავარ საავადმყოფოდან (პლეხ. გამზ.) მარქსის ქუჩამდე და ტოლსტოის ქუჩიდან რიყის ქუჩამდე ტრამვაის მეორე ახალი ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

სახელმწიფო ვაჭრობა

— **ჯაგარი.** ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველოს ლონდონის განყოფილებამ 1—15 სექტემბრამდე გაასაღა ამიერ-კავკასიაში დამზადებული 2.316 ფ. ჯაგარი.

— **სამკურნალო ბალახეულობა.** სამმართველომ აგვისტოს განმავლობაში დაამზადა 197.61 კილოგრამი სამკურნალო ბალახი (ბელადონა).

— **შაქარი.** სამმართველომ აგვისტოს მეორე ნახევარში ოსმალეთში გაიტანა 295.000 მან. შაქარი.

— **ნაწლავები.** სამმართველომ დაამზადა 30000 მ. ცხვრის ნაწლავები საზღვარგარეთ გასატანათ.

განათლება

— **ჯამაგირების მომატება.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს მასწავლებლებს გაუდიდოს ჯამაგირები 12—15 პროცენტით.

— **ქართული ენის და საქმის წარმოების** პრაქტიკულ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან. მსმენელების ჩაწერა დაიწყო 15 სექტემბრიდან (რუსთაველის გამზირი № 33).

სხვადასხვა

— **ხორბალი მებამბეებს.** ბამბის მეურნეთათვის დასარიგებლად მიმდინარე წელს ა.-კ. შემოტანილი იქნება 1.500.000 ფუთი ხორბალი. აქედან საქართველოს მიეცემა 130.000 ფ.

— **ბამბის მოსავალი.** აფხაზეთში წელს ბამბა დათესილია 1.500 დესეტინაზე, მოსავალს მოელიან 30.000 ფ.

— **კულტურული მეურნეობისათვის** მთელ რესპუბლიკაში გამოყოფილია საერთო მიწის 1,2 პროცენტი.

— ა.-კ. ცალკე რესპუბლიკების მიწად-მოქ. სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ მიწათ-მოწყობის ერთიანი გეგმა.

ხელოვნება

— **„გაფლანგვა“.** ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება ჩვენება ახალი სურათის: „გაფლანგვა“.

— **„მანდრენ“.** კინო ეთერში დაიწყო „მანდრენ“-ის მე-3 და მე-4 სერიის ჩვენება.

— **ახალი ოპერა.** კომპოზიტორი მეღვინეთუხუცესი სწერს ოპერას „უკვდავება“—ლუკაშვილის ამავე პიესაზე.

— **ინტერნაციონალური კონცერტი ქუთაისში.** კვირას, 19 სექტემბერს, სახელმწიფო აკადემიური გუნდი სიმებიანი ორკესტრის კომპოზიტორ ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გამართავს ქუთაისის აკადემიურ თეატრში დიდ საჯარო ინტერნაციონალურ კონცერტს. იგივე კონცერტი განმეორდება დღისით ადგილობრივი პროფკავშირების წევრებისათვის. ქართულ სიმღერების გარდა შესრულებული იქნება: რუსული, სომხური, ოსური, ჩერქეზული, პოლონური, აზერბეიჯანული და ოსმალური ხალხური კილოები.

— **კლუბის წევრთა რაოდენობა.** ამჟამად ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბი ერთიანებს 1000-მდე კლუბის წევრს.

შემთხვევები

ქურდობის სიმულიაცია

მოქ. აგაბაბოვი წინეთ კომერციულ საქმეებს ეწეოდა. — უკანასკნელ ხანებში ხელგაშლილ ცხოვრებას მიჰყო ხელი და ჯიბე დაუცარიელდა. დიდხანს ფიქრობდა აგაბაბოვი როგორ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან და ბოლოს კი ასეთ საშუალებას მიმართა: სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ მას პლეხანოვის პროსპექტზე № 109-ში, აქვს სავაჭრო, რომელიც მისი დუქანში არ ყოფნის დროს გაქარცვეს.

მან მილიციაში განცხადება შეიტანა არა მისი ნამდვილი გვარით არამედ მატოიანცის სახელით.

ს. ს. მილიციაში გამოირკვა, რომ აგაბაბოვმა მწვავე მატერიალური ხვედრის „შესამსუბუქებლად“ მიმართა ქურდობის სიმულიაციას.

გუშინ აგაბაბოვი დაპატიმრებული იქნა.

„ავადმყოფი“ სარქისოვი

ერვან **სარქისოვი** ემუდარებოდა ყველა ნაცნობ - მეგობრებს მიეღოთ ის სამსახურში, როგორც „პატიოსანი“ და „ენერგიული“ მუშაკი.

დაწესებულებებში ნაცნობებთან ყოფნის დროს, სარქისოვი იხელთებდა თუ არა თავისუფალ დროს, მაშივნე მოიპარავდა რასაც კი წააწყდებოდა და გაუდგებოდა გზას. სარქისოვი დადიოდა აგრეთვე ექიმების ბინაზე ვითომდა „საექიმოდ“, სინამდვილეში კი—თავისი პროფესიის განხორციელებას ეწეოდა. ერთ-ერთ ასეთ ბოროტმოქმედების დროს სარქისოვი დაპატიმრებული იქნა. საქმე გადაეცა სახალხო სასამართლოს.

ჯიბგირი ქალები

მელანია **შაზუროვა,** მარიამ **გორბატოვა** და ელენე **ხერგეენკო** თბილისის „ძმა-ბიჭებში“ ცნობილი არიან, როგორც „ღამის პეპლები“. ბოლო ხანებში „საქმიანმა კამპანიამ“ ხელი მიჰყო აგრეთვე ჯიბგირობასა. ისე დახელოვდნენ, რომ მუშაობას დღე და ღამით აწარმოებდნენ.

გუშინ ს. ს. მილიციის თანამშრომლების მიერ ზედით ჩამოთვლილი **ჯიბგირი ქალები** დაპატიმრებულ იქნენ

„საქმიანი კამპანია“

მოქ. **მიკირტიჩიანცი,** შალიკო **შავშიშვილი** და თამარა **გონჩაროვა** მიიპატიჟებდნენ სუფრაზე ნაცნობ-მეგობრებს და აგრეთვე კერძო პირებსაც და შეზარხოშების შემდეგ ტანსაცმელს ხდიდენ და ფულებსაც პარავდენ. ასეთ საქმიანობას ისინი სისტემატიურად სჩადიოდენ.

გუშინ ს. ს. მილიციის თანამშრომლების მიერ მიკირტიჩიანცი, შავშიაშვილი და გონჩაროვა დაპატიმრებული იქნენ.

— **დაჭრა.** სასადილო „სინათლეს“ პატრონმა (სადგურის ქ. №19) ახობაძემ დანით სასიკვდილოთ დაიჭრა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **მოწამვლა.** 15 სექტემბერს ხუდადოვის ქ. № 56, ღამის 11 საათზე სახლში დაბრუნებისას თამარა მჭედლიძეს წყალის მაგიერ დაულევია მარგანეცის სიმჟავე. მოწამლული გადაიგზავნა საავადმყოფოში.

— **მუშკოოპის მაღაზიის სალაროში** № 30 (რუსთაველის გამზ. № 40) 15 სექტემბერს მოიპარეს 180 მან.

— **ტრამვაის რონოდაზე** ივანე რადუნსკის ამოაცალეს ოქროს საათი თავის ძეწკვით 300 მ. ღირებული.

— **ტუფლების მოყვარული.** 15 სექტემბერს შეიპყრეს მარუსია სტეფანოვა, რომელმაც ლიდია უკლებას (აბანოს ქ. მოჰპარა ლაქის ტუფლები.

— **აგარაკზე ყოფნის დროს** გაქურდეს კონ. გაგნიძის ბინა (ჭავჭავაძის ქ. № 7).

— **ქურდი ქალი.** 15 დააპატიმრეს მარიკ ანტონიანცი ტერეზა მირზოევის ბინის (ელის. ქ. № 61) გაქურდვისათვის.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით (პლ. გამზ. № 19) გაქურდეს ლიდია ქორქაშვილის ბინა. წაიღეს 150 მ. ნივთები.

— **სახელოსნოს გაქურდვა.** 15 სექტემბერს მონუმენტის ქუჩა № 1 გაქურდეს მოსე ვაისბანის სახელოსნო.

— **ფანჯრიდან შესვლის** საშუალებით 15 სექტემბერს ზაველდენის შეს. № 3 ღამით გაქურდეს იაკობ მასსის ბინა.

— **ქურდობა.** 15 სექტემბერს, იზმაილოვის ქუჩა № 1 ზინაიდა ჩიხლაძის ბინიდან მისი აგარაკზე ყოფნის დროს მოიპარეს 300 მან. ნივთები.

— ამავე დღის მინკვიცევის ქ. № 18 გაქურდეს ბიქტორი ჩერკოვსკის ბინა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წერკუმსი

ახალსენაკი, 16 სექტემბერი. წერკუმსის ახალსენაკის განყოფილების რევიზიამ გამოაშკარავა ამ განყოფილების სუსტი მუშაობა: არაა გამორკვეული, თუ რამდენი უჯრედია ადგილობრივ, არაა გამორკვეული ამ უჯრედების ფონდი, არ იციან რამდენი წევრი ჰყავს საზოგადოებას. გამგეობა იშვიათად იკრიბება. მთელი წლის განმავლობაში წერკუმსმა შესძლო მხოლოდ ერთი სკოლის გახსნა.

ნათესების მდგომარეობა

ახალსენაკი, 16 სექტემბერი 15 სექტემბრისთვის. სამაზრო სტატისტიკურ ბიუროს ცნობების თანახმად, ნათესების მდგომარეობა ხუთ ნიშნიან სისტემის მიხედვით შემდეგ სახით წარმოგვიდგება: სიმინდი—2 ნიშანი, ყურძენი—3, ბაღები—2,5. ბამბა—2,5 თამბაქო — 2,4.

ხშირმა წვიმებმა გააუარესა ყველა კულტურის მდგომარეობა.

საექიმო პუნქტი

ლიუქსემბურგი, 16 სექტემბერი. გაიხსნა ახალი საექიმო პუნქტი აშალასერალის ბამბის საწმენდი ქარხნის მახლობლად.

აგურხანა

სიღნაღი, 16 სექტემბერი. სამაზრო აღმასკომი სიღნაღში ხსნის აგურის ქარხანას ორი ღუმელით. თვითეული ღუმელი ერთგზის გამოუშვებს 30.000 სრული ზომის აგურს.

სამაზრო ბიუჯეტი

სიღნაღი, 16 სექტემბერი. აღმასკომმა დაამტკიცა 1926—27 წ. სამაზრო ბიუჯეტი 441.101 მან. რაოდენობით.

აჭარისტანი

ზღვის ნაპირის დაზიანება

ბათომი, 16 სექტემბერი. მდინარე ჭოროხის შესართავის რაიონში ქარიშხალმა კვლავ ჩამოანგრია ზღვის ნაპირი 2.000 საჟენის მანძილზე. ზოგიერთ ადგილებში ნაპირის ჩამონგრევა მისწვდა კულტურულ რაიონებს.

დავალიანება

ბათომი, 16 სექტემბერი. სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ზოგიერთი დაწესებულებების დამზღვევ სალაროებისადმი დავალიანება უკანასკნელ პერიოდში უდრის 40.000 მან.

სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა დაწესებულებებს უახლოეს ვადაში გაისტუმრონ ვალი.

ჩემი ურმული

წავიდა, გამოგვესალმა,
მზით მოელვარე ზაფხული
მოვიმკე ნახნავ-ნათესი,
რაც მქონდა მე ჭირნახული.
გავლეწე ჩავაბინავე,
სურსათი მაქვს შენახული,
ახლა გუთანსაც ვამზადებ,
ურემით მომაქვს დაფქული.
შემდეგ შეშა-ფიჩხს მოვიტან,
მიზნად მაქვს ეს დასახული
ნელ-ნელა წელში ვმაგრდები,
მტრისაგან გადალახული.
შარშან ყამირი გავტეხე,
ნაფეტვრები მაქვს დახნული,
მხოლოდ მეტ ავიდრებისგან
არა მაქვს ჯერ დაფარცხული.
კვლავაც მოვხნავ და დავთესავ,
მერე დავფარცხავ მიწასა,
ცეცხლით, მაზხალით შევუტევ
უსამართლობას ცისასა.
მომცეს ალალი ნაშრომი,
მაშოროს არამ სხვისასა,
გული მოუკვდით იმათა,
ვინც ურცხვათ ივსებს ქისასა.
მალე დავკრეფავ ვენახსა,
ყურძენსა, შავ-მაყვალსა,
შემოდგომაზე ქორწილს ვიქმ,
დიდი შვილ დიდი ძისასა.
რო ჩავამაჭრებ ტკბილ ღვინოს,
საფერავ რქა-წითელისასა,
გადავკრამ სადღეგრძელოსა,
საქონლის ზარაქისასა.
ჰარი, ჰარული, ჰარალო,
ვაჰ, იმ დროის დედას მტრისასა,
თვალი დაუდგეს იმათა,
ვინც არმათა სჭამს სხვისასა.

გლეხი გოო კანანელი.

წერილები

დაუპატიჟებლად ნუ გვეახლებით

ჟაგნის (ქუთ. მაზ.) გლეხობის საერთო კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ მომავალი საეკლესიო დღესასწაული ეგრედ წოდებული „ღვთის მშობლობა“ აღარ იდღესასწაულონ. იმ თანხით, რომელიც ამ უქმეზე უნდა დახარჯულიყო, გადაწყვეტილია კოოპერატივის შენობის აგება. ამიტომ ჟაგნელი გლეხები სთხოვენ ნაცნობ - მეგობრებს და ნათესავებს ამ დღეს ჟაგანს ნურავინ ეწვევა სადღესასწავლოთ და ამით ნურც თავისთავს ჩააყენებენ უხერხულ მდგომარეობაში და ნურც მასპინძელს.

თემაღმასკომის კულტკომისია

ანანურელი ექიმბაში

(ს. შალიკიანთ კარი, ანანურის თ., დუშ. მ.)

გორიცა ესტატიშვილი მდიდარი აფთიაქის პატრონი კაცია. მას მთელი ანანურის თემი იცნობს. ავადმყოფები მოუთმენლად მოელიან ესტატიშვილის სასწაულმოქმედ წამლებს. მთავარი ისაა, რომ ესტატიშვილის წამალი იაფიცაა და ბევრიც. თუ გინდა ლიტრობით გამოგატანს გორიცა უმურის, თვალნაცემის, ჯადოს და ზაფრის წამალს. ფულსაც ბევრს არ გადაგახდევინებს. უფულოთაც დასთმობს, თუ კი ნატურით მიართმევ გასამრჯელოს. პური, ქათამი, გოჭი, კვერცხი და ყველი. ყველაფერს დაგჯერდებათ ესტატიშვილი. ის მეძვირე კაცი არაა, მას გლეხკაცობა „ებრალება“.

წამალი კი გორიცას არც ისე იაფი უჯდება. აბა სად უნდა იშოვნოს კაცმა სოფლის პირობაში: ნაცარი, ნიორი, მწარე ბალახეულობა, შარდი, წითელი თიხა, ცხოველების განავალი და ასე გასინჯეთ, გოგირდიც კი. გორიცას აფთიაქი კი სავსეა ასეთი რჩეული „მედიკამენტებით“.

გარდა ამისა გორიცას სხვა წამალიც აქვს, რომელიც ბაზრის აფთიაქს არც კი დაესიზმრება. ესაა ლოცვანი. ავადმყოფობისაგან ბოროტი სულის განსადევნად. გორიცა ჩვეულებრივ ექიმივით ხელცარიელი არ დადის ავადმყოფთან. მას აფთიაქიც თანვე დააქვს. იქვე უკეთებს დიაგნოზს და იქვე სწამლობს. რეცეპტი, პროვიზორთან სირბილი და დავიდარაბა თქვენ არ გჭირდებათ. ექიმის ხარჯში წამლის ფულიც შედის.

ამასწინად გორიცა ესტატიშვილი მიიწვიეს ავადმყოფთან ს. კადორეთში. სანამ ავადმყოფთან წასასვლელად ფეხს გადადგამდა გორიცამ გასამრჯელოთ მოითხოვა ფქვილი, 15 მანეთი ფული და ისე მოეკიდა საქმეს.

მივიდა ავადმყოფთან. თვალებში ჩააშტერდა და ავტორიტეტულად განაცხადა: „ჯადო ქარი შეჰყრია“-ო. ამოიღო უბიდან რაღაც გაქონილი, „ადამის ჟამის“ ტყავის წიგნი და დაიწყო ბუტბუტი. რამდენიმე დღე ამ ლოცვა-კურთხევაში გაატარა. ავადმყოფი უარ და უარ მიდიოდა, სნეულება თანდათან რთულდებოდა.

მაშინ გორიცამ სხვა, უფრო რადიკალურ საშუალებას მიმართა. მოუკიდა გოგირდის ქაღალდს ცეცხლი და მისი სუნი ავადმყოფ ქალს შეუბოლა ცხვირში. ამან კიდევ უფრო გაართულა ავადმყოფის მდგომარეობა. გორიცა მაინც არ სცხრებოდა. მას მზათა აქვს თავის მართლების საბუთი. ეს გახლავთ ლომისის სალოცავი, რომელიც მთიელების ხალხისათვის ყველაზე ძლიერი ხატია. გორიცაც ეუბნება ავადმყოფის ჭირისუფალს: „ლომისი წყრება, მე რომ ავადმყოფს ვწამლობ, საჭიროა მას შევევედროთ ავადმყოფიო“.

ჭირისუფალიც არ იშურებს არაფერს: მიჰყავს ლომისის შესაწირათ ცხვარი, ხარი, ძროხა და სხვა. ხშირად გლეხი აღუთქვამს ლომისს თუ კი რამ გაჩნდა და თავისი აღთქმა სისრულეში მოჰყავს, იმისდა მიუხედავათ მორჩება თუ მოკვდება ავადმყოფი. თუ მოკვდა, გლეხი ფიქრობს, ლომისი მეტ რისხვას დამატეხს თავზეო, თუ მორჩა,—ესაა ლომისმა შეიწყნარა ჩემი ლოცვა და დაპირება უნდა შევასრულოო.

გორიცას კი რა ენაღვლება, ოღონდ ნაცარი და საქონლის განავალი ბლომათ იყოს შალიკიანთ კარში. დანარჩენი ოსტატობა კი მას ჰკითხეთ.

ს. რ—ლი.

წერილებიდან

ს. კურზუ (სენ. მ.)

ნადირმა აგვიკლო. არასოდეს ჩვენს თემს არ ახსოვს ნადირის ასეთი თავხედობა, როგორც ეს წელს არის. ყანები სულ განადგურებულია დათვისაგან. მგელიც ხელს არ აკლებს საქონელს. გლეხებს იარაღი არა აქვთ. ითხოვენ მონადირეთა კავშირის შველას.

გ. ოხხომურისპირელი.

ორბელის თ. (ლეჩხ. მ.)

ქალთა თვითმოქმედება. აქ შესდგა მოხალისე ქალების ჯგუფი. 12 სექტემბერს ამ ჯგუფმა მთელი დღე იმუშავა გზის შეკეთებაზე. გლეხები კმაყოფილი არიან ქალების ამგვარი თვითმოქმედებით.

სიო.

ს. გეჯეთი (სენ. მ.)

პატიოსანი მასწავლებელი. ადგილობრივ 7 წლედის გამგე, შალვა ჯიმშელეიშვილმა იპოვნა გზაზე ცხვირსახოცში გახვეული 240 მან. მან ეს ფული მაშინვე მილიციას მიუტანა. აღმოჩნდა, რომ ფული დაჰკარგოდა გლეხ დიმ. ბერიძეს, რომელმაც თავისი ფული უკლებლივ დაიბრუნა.

დიდიჭყონელი.

სოფლის ქრონიკა

— **სასამართლო.** ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა მაზრაში გამოჰყოს 3 სასამართლო რაიონი.

— **ცეცხლი.** ახალქალაქში არსდება ცეცხლის მქრობელი რაზმი.

— **სათიბზე** საიჯარო გადასახადი ახალქალაქის მაზრაში დაკლებულია 2 მანეთამდე დესეტინაზე.

— **სიღნაღის** აღმასკომმა წყალსადენის საჭიროებისათვის გადასდო 7.760 მან.

— **აბანოების** კეთილმოსაწყობათ სიღნაღის აღმასკომმა გადადო 1930 მან.

— **წყალსადენის** გამოსაყვანათ შორაპანში გადაიდო 30.000 მან.

მუშათა ცხოვრება

შაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს სრულ 4 საათზე შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საგანგებო კრება. ყველა მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

ვაწყობთ ექსკურსიას „ზაჰეს“-ში

15 სექტემბერს რედაქციის ბინაზე შესდგა გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა მორიგი საერთო კრება.

დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა საკითხი: მუშკორთა ექსკურსიის მოწყობის შესახებ. რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი მოეწყოს ექსკურსია „ზაჰესი“-ს დასათვალიერებლად კვირას 19 სექტემბერს.

აღნიშნულ დღის მუშკორები უნდა გამოცხადდნენ თბილისის სადგურზე დილის 6 საათზე, ვინაიდან მატარებელი გადის დილის 7 საათზე და 5 წუთზე.

საჭიროა ყველა მუშკორებმა მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ექსკურსიაში.

მუშკორი ჯავახიშვილი.

ერთი ჩვენსკენაც მოიხედეთ

ლენინის უბანში ხუდადოვის და რუსთაველის ქუჩების შესართავში, სადაც წყალსადენი სდგას, იმის ზემოდ, როგორც მარჯვენი, ისე მარცხენა მხარეებზე არც ერთი ქუჩა და შესახვევები არ არის შესწორებული და მოკირწყლული. ეს გარემოება ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს და მოსახლეობას ძლიერ აწუხებს. მათ შორის უმრავლესობას წარმოადგენენ რკ.-გზის მთავარ სახელოსნოს მუშები, რომლებსაც უხდებათ დილის 5 საათზე ადგომა და სამუშაოზე წასვლა. ზაფხულობით კიდევ არა გვიშავს, ჩვენ იღბალზე ადრე თენდება და მით საშუალება გვეძლევა ადვილად მივიდეთ სამუშაოზე; მაგრამ შემოდგომიდან დაწყებული ვიდრე გაზაფხულამდის, პირდაპირ აუტანელ ტანჯვას განვიცდით. დილით ბნელაში გვიხდება სიარული ამ მოუწყობელ ქუჩებზე, რომლებიც ისეა ნიაღვრების გამო გაფუჭებული, რომ უხიფათოთ ან დაუსვრელად გავლა შეუძლებელია.

ამის შესახებ ბევრს ვსწერთ, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი ზომები არ არის მიღებული.

გას. წლის შემოდგომაზე დაიწყეს ხუდადოვის ქუჩის მოკირწყვლა და გასწორება, რამაც იმედი დაგვისახა, რომ ჩვენი ქუჩებიც გაკეთდებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, არამც თუ ჩვენი ქუჩების გაკეთება, იმის გაკეთებაც შეწყდა, სადაც დაიწყეს მუშაობა. ფული კი ბევრი დაიხარჯა. დავრჩით ისე უწინდებურად მოლოდინში, მეტადრე მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლება გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს ყველა ქალაქის განაპირა უბნების კეთილ მოსაწყობად და განსაკუთრებით ლენინის უბნისას. ჩვენ კუთხეს ამ მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა.

აქაური.

ოთახი თავზე გვენგრევა

მე-12-ე უბანში, ელისაბედის ქ. № 234, ეკლესიის ეზოში არის საბჭოთა სახლები. ამ სახლებში ცხოვრობენ საბჭოთა მუშები, რომელნიც დიდ გაჭირვებას განიცდიან უყურადღებობის გამო. ოთახი № 8 ძლიერ დაზიანებულია. მას დანგრეული აქვს ჭერი. შიგ ცხოვრება შეუძლებელია. ცხოვრობს აქ ოთხი სული (საბჭოთა მუშები) კავშირის წევრები. იყო შემთხვევა, რომ ჩამოინგრა მესამედი ნაწილი ჭერის და კინაღამ მსხვერპლი მოხდა.

ზაფხულობით გარედ წვებოდნენ. ეხლა აცივდა და გარედ წოლა შეუძლებელია. შიგ ცხოვრებაც სახიფათოა. მოსალოდნელია უბედური შემთხვევა.

საჭიროა მიაქციოს ქ. საბინაო განყოფილებამ ჯეროვანი ყურადღება ამას და იხსნას მუშები გაჭირვებისაგან.

ხალისი.

ვისი ბოროტი ხელი შვრება ამას?

ბევრია ისეთი პირები, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე იმაზე ფიქრობენ, როგორმე ხელი შეუშალონ მუშურ-გლეხურ მშენებლობას, ზიანი მიაყენონ საზოგადოებრივ კუთვნილებას და თუ მოსახერხებელი იქნება, დაიტაცონ კიდეც. ამ გარემოებას ნაკლები ყურადღება ექცევა სათანადო ორგანოებისაგან და ამის გამო ბევრი რამ ფერხდება. ავილოთ, მაგალითად, ქალაქის კეთილმომწყობი განყოფილება. ვინც დაჰკვირვებია მის გაცხოველებულ მუშაობას, ის დარწმუნდება, თუ რამდენი შრომა და ფული დახარჯულა ქალაქის დანგრეულ და გაპარტახებულ ადგილების გასამშვენიერებლად მოკლე ხნის განმავლობაში და რა უამრავი ადგილებია კიდევ გასალამაზებელ-გასამშვენიერებელი.

ალბათ ბევრი გულშემატკივარი შეამჩნევდა, რომ ზოგიერთ ქუჩებზე ახლად შეკეთებული სახლის კიდლები ნახშირითა და ლურსმნის წვერითაა დაჯღაბნილი.ამას ხელმეორედ შეკეთება ესაჭიროება. ეს იწვევს ზედმეტ ხარჯებს და მთელი მასზე დახარჯული შრომა უნაყოფოდ იკარგება.

თუ რანაირი უგუნური მოქალაქენი გვყავს კიდევ ზოგიერთ უბნებში, აი ამის მაგალითი: ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკასთან ჩამოდის პატარა მდინარე **ვერა,** რომელზედაც გადებულია ხის ხიდი ვერის პარკთან ბორანზე გადასასვლელად. ეს ხიდი გაკეთებულია ვერის შესახვევის ქუჩის ბოლოში, სადაც კეთილმომწყობმა განყოფილებამ ახალი შარაგზა გააკეთა და გლეხებს ურმებით მიეცა საშუალება სწორი და მშვენიერი გზით ქალაქში შეიდინენ სურსათ-სანოვაგით. ამ რამოდენიმე წლის წინათ აქ ხიდის ნატამალიც არ იყო, მაგრამ ქალაქის საბჭოს მეცადინეობით ეს ხიდი აღდგენილ იქნა და მას გაუკეთეს სრულიად ახალი მოაჯირი, რომელიც სამვერშოკიანი ლურსმნებით იყო ხიდზე მიჭედილი. ეხლა კი ნახევარზე მეტი ახალთ-ახალი მოაჯირები ვიღაც ბოროტ ადამიანებს ამოუძვრიათ და წაუღიათ, რის გამო ღამღამობით ამ ხიდზე გასვლა მეტად საშიშია და სახიფათოა.

ამას ყურადღება უნდა მიექცეს და მიღებულ იქნეს ზომები. თუ ასე გაგრძელდა, ბევრის აშენებას ვერ შესძლებს ჩვენი ღარიბი ჯიბე.

კარგი იქნებოდა, რომ ამ ხიდის მოაჯირების გაკეთებას ქალაქის აღმასკომი დააკისრებს მათ, ვინც ცხოვრობს მის ახლო-მახლო, რომ შემდეგში ასეთი ნგრევა-განადგურება აღარ განმეორდეს.

საბჭოს წევრი უ. ჯ.

ირონია აქ რა შუაშია?!

ა.-წ. 26 ივნისს უბედური შემთხვევით გარდაიცვალა „ტელახ“-ის მუშა-მონტიორი ა. ბურჭულაძე უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქვრივ-ობლების მონდობილობით მივმართე ამავე დაწესებულების გამგეს (22 ივლისს) შემდეგი განცხადებით: „ვინაიდან თ. რ. სამმართველოში მომუშავე ა. ბ-ძე გარდაიცვალა და ამ გარდაცვალებით გამოწვეულმა ხარჯებმა ქვრივ-ობლები ჩააგდო ვალებში (150 მან.) გთხოვთ მცირე ნაწილის გასტუმრებით მაინც გაუწიოთ დახმარება“.

26 ივლისს განცხადება ვაგზავნეს აღმასკომში დასკვნისათვის. 4 სექტემბრამდე ამ განცხადებამ იტრიალა აღმასკომის სხვადასხვა განყოფილებებში და 4 სექტემბერს დაუბრუნდა ისევ „ტელახ“-ს აღნიშნული განცხადება შემდეგი მიწერით: „ამ. იურიდიულ ნაწილის შეთანხმებით მოურიგდით დაზარალებულ ოჯახსო“.

მდგომარეობა არ ითმენდა, ამიტომ 11 სექტემბერს მევაკითხე ამბავს, მაგრამ ჩემი განცხადება საქმ. თა მართველს მოუმწყვდევია ფართო „პაპკა“-ში (ეს „პაპკა“ უნდა იყოს დაზარალებულ ოჯახ ბის მიერ მიცემული განცხადებებისათვის რომლებზე პასუხის გაცემაც საძნელო საქმეა). გამგეს არც ენახა ქაღალდი რეზოლიუციის დასადებად.

საქ. მართ. განცხადებით ჩემს განცხადების პასუხს ხუთმეტი დღე კიდევ უნდა ველოდე. რომ შევეკითხე საქმის მწარ. **ს. ჩიგოგიძეს** თუ რატომ აგვიანებენ პასუხს მან ირონიით მომიგო: „ბურჭულაძის საქმის მეტი არაფერი გვაწუხებს“. უკვე ორი თვე სრულდება.

თუ დაწესებულებას არ სურს ქვრივ-ობლების დახმარება, შეუძლია უარის თქმა, თორემ ირონია აქ რა შუაშია?

ე. სიხარულიძე.

„პროფმუშაკი“ ასეთი უნდა

ახალციხის მაზრაში ქობლიანის წყალზე სწარმოებს ხე-ტყის დამზადება—„ჩაცურება“. აქ მომუშავენი არიან ადგილობრივი გლეხები. მათი ზედამხედველი პროფკავშირის წარმომადგენილი მოქ. გაჯიევი ძალიან ცუდათ გვეპყრობა ზოგჯერ უდიერი სიტყვებით ისტუმრებს ხოლმე გლეხს. ამ თვის 1-ლ რიცხვებში მან 20—40 მუშას აუტანელი შეურაცყოფა მიაყენა. ზოგს ძაღლი და ზოგს ძაღლიშვილი უწოდა.

გაჯიევის თავხედობა-უდიერობას საზღვარი აღარ აქვს. მუშები მოითხოვენ მის მოშორებას.

გულშემატკივარი.

მუშათა ქრონიკა

— **დაკმაყოფილება.** თბილისის საუბნო კომიტეტის ღია სხდომამ—სადგურ თელავში დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქნენ სად. ის თანამშრომლები, რომელთაც უხდებათ ზედმეტი მუშაობა სათანადო ჯილდოთი.

— **მოთხოვნა.** სად. თელავში—თბილისის საუბნო კომიტეტის ღია სხდომამ საჭიროდ აღიარა საბარგო და მსუბუქ ავტომობილების მოთხოვნა სადგურში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

— **სპეც-საპონი დარაჯებს.** სად. თელავში—თბილისის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის ღია ახდომამ საჭიროდ აღიარა დარაჯებისათვის სპეც-საპნის მიცემა.

— **შემფასკომის დაარსება.** იმავე ადგილკომმა საჭიროდ სცნო გორის ნავთსადენთან „შ. ს. კ.“ დაარსება.

კონფლიქტები

შრომის სახალხო კომისარიატის სტატისტიკურმა ქვე-განყოფილებამ შეადგინა ვრცელი ანგარიში შრომის კონფლიქტების შესახებ მიმდინარე წლის პირველ ნახევრის განმავლობაში.

ანგარიშიდან ნათლად სჩანს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საგრძნობლად გაზრდილა კონფლიქტების რიცხვი და აგრეთვე მომჩივანთა რაოდენობაც. ამასთან დაკავშირებით გამოცოცხლდა საარბიტრაჟო ორგანიზაციების მუშაობა.

1923 წელში საარბიტრაჟო ორგანოებს გაურჩევიათ 133 კონფლიქტი, რომლებიც შეეხებოდა 5.091 კაცს; 1924 წელის 9 თვეში 62 კონფლიქტი (შეეხებოდა 7.133 კაცს); 1925—26 წლის პირველ ექვსი თვის განმავლობაში კი გარჩეულა 137 კონფლიქტი, რომლებიც შეეხებოდა 19.728 მუშა-მოსამსახურეს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს თითო თვეზე მოდიოდა თითქმის 7 კონფლიქტი, წელს კი 29.

ბავშვთა მოძრაობა

განათლების კომისარიატის ბავშვთა დაცვის განყოფილების ცნობით, 1 აგვისტოსათვის 1926 წ. კოლექტორში იმყოფებოდა 86 ბავშვი, 56 ვაჟი და 30 ქალი.

აგვისტოს განმავლობაში მიღებული იქნა 4 ვაჟი.

ამჟამად სულ კოლექტორში იმყოფება 90 კაცი, აქედან 60 ვაჟი და 30 ქალი.

პროფკავშირებში

სამთამადნო მუშათა კავშირში

კავშირის ც. გამგეობის უკანასკნელმა პლენუმმა მოისმინა მოხსენება ც. გამგეობის მუშაობაზე.

მეორე პლენუმის შემდეგ უმთავრესად ჩაატარა შემდეგი სამუშაოები. მოხდა მაღაროების მუშათა კომიტეტების გადაჯგუფება, ზოგიერთი სამუშევრების დახურვის გამო. მოხდა შესაფერი მოლაპარაკება კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებათ როგორც „ქართულ მარგანეცთან“, ისე ტყიბულის მუშებზე სახელმწიფო სათბობის განყოფილებასთან.

რამოდენიმე უწესრიგობას ჰქონდა ადგილი კავშირის ფინანსიურ დარგში, მაგრამ ახლა ასეთიც მოწესრიგებულია და შეიძლება ითქვას, რომ კავშირი ფინანსიურად არ შესუსტებულა.

კულტურულ დარგში მუშაობა გამოცოცხლდა. მოწესრიგებულია საკლუბო და წითელი კუთხეების მუშაობა, გარდა ამისა კარუტის მაღაროებში მოეწყო საზაფხულო მუშათა კინო.

პლენუმმა გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და საჭიროდ აღიარა გააგრძელოს პროფუჯრედების გადახალისება, რომლის დროსაც მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროფაქტივის წამოყენებას ადგილკომებში და კომისიებში. ამასთანავე გამოირკვეს ახალ სამთო წარმოებების მუშათა მდგომარეობა და ჩამოყალიბდეს იქ პროფუჯრედები.

კულტურულ განათლების დარგში საჭიროდ იქნა ცნობილი კვალიფიციურ მუშა-ხელისათვის პროფტეხნიკური კურსების მოწყობა და მუშაობის გაძლიერება ფიზკულტურის დარგში როგორც ჭიათურაში, აგრეთვე ქარხანა-მაღაროებში.

პროფკორი მიშა.

პროფმუშაობის ქრონიკა

გორის პროფბიუროში

პროფწრეების მუშაობა. პროფბიურო უკვე შეუდგა მზადებას პროფწრეების სამუშაოდ. ა.-წ. 1 ოქტომბრიდან დაწყებულ იქნება წრეების ნორმალური მეცადინეობა.

— **საჭილაოს ხე-ტყის ქარხანასთან კლუბის მოწყობის შესახებ.** ცეგამ დაადგინა: მოწვეულ იქნეს ტეხნიკი პროექტის შესადგენად და გაიგზავნოს იგი ადგილზე, ხარჯები გადაიდოს კავშირის კულტფონდიდან. გამგეობამ მიავლინა ქართულ მუშფაკში შემდეგი ფიზიკურად მომუშავე პირები: **საბანიძე ვასილი, იმერლიშვილი ალექსანდრე, ბოინაგროვი ივანე და გურგენიძე ვლადიმერ,** რუსულ მუშფაკში: **ლოსიევი და დარბინიანცი.**

ლეჩხუმის სამპროფბიუროში

მუშაობა შრომის დაცვის დარგში. პროფბიუროს გაფართოებულმა სხდომამ მოისმინა შრომის დაცვის კომისიების შესახებ მოხსენება და მისცა მათ საჭირო დირექტივები. კომისიებს დაევალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის დაცვას მოჯამაგირეთა და შეგირდთა შორის.

საკავშირო კლუბი. პროფბიუროს სხდომამ დაადგინა გადაკეთებულ იქნეს აღმასკომისაგან მიღებული შენობა მუშათა კლუბად, რისთვისაც გამოიყო შესაფერი კომისია.

ინფუზორიტის გატანა

ამ ერთი კვირის წინათ სამთო განყოფილებასა და „სევკავეირმასლო"-ს შორის დაიდო ხელშეკრულება ახალციხის მაზრიდან ინფუზორიტის გატანის შესახებ.

ხელშეკრულების ძალით „სევკავეირმასლომ" უნდა გაიტანოს რუსეთში 10.000 მანეთის ინფუზორიტი, ფუთზე 1 მ. 40 კაპ. გადახდით ფრანკო ბორჯომი.

ინფუზორიტის დამზადება ადგილზე იწარმოებს უმუშევრების საშუალებით.

ნატახტარის წყალსადენი

ნატახტარისა და ბულაჩაურის რაიონში კვლავ გრძელდება კვლევა-ძიება წყაროების წარმოშობის გამოსაკვლევად. ამ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი წყალსადენის გაყვანის საქმეში, ვინაიდან თუ აღმოჩნდა, რომ იქ მოიპოვება არტეზიანული წარმოშობის წყალი, მაშინ შესაძლებელი გახდება წყალი მიეწოდოს ქალაქს როგორც მაღლობ, ისე დაბლობ ნაწილებს.

ნატახტარში ამ მიზნით დაწყებულია მე-6 და მეთერთმეტე ბურღვა, საიდანაც გამოჩნდა არტეზიანული წყალი.

ამასთანავე ერთად სწარმოებს ქიმიური გამოკვლევა, თუ რა ღირსების წყლებია ნატახტარსა და ბულაჩაურში.

წყაროთა რაიონების [illegible] (გადაღება) უკვე დასრულდა. ამჟამად წყალსადენის განყოფილება ამუშავებს შეკრებილ დაკვირვებებს.

ტყის მოწყობა

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მიმდინარე ზაფხულში მოაწყო ოთას სატყეო აგარაკი ახალციხის მაზრაში. ამ აგარაკის მოსაწყობათ კომისარიატმა გაგზავნა ტყის მომწყობთა ჯგუფი ამხ. კონსტანტინეიშვილის მეთაურობით.

ოთას სატყეო აგარაკში ითვლება 5 დესეტინა ტყე, რომელშიაც უმთავრესად არის ფიჭვი, ნაძვი, სოჭი და სხვა ჯიშები.

ოთას სატყეო აგარაკის მოწყობას და მის მიზანშეწონილ დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალციხის მაზრის გლეხობისათვის, რადგანაც რამოდენიმე დიდი თემი ამ აგარაკით სარგებლობს. ამას გარდა მოწყობის შემდეგ ადვილი ხდება მისი დაცვა, რადგანაც წიწვიან ჯიშის ხეებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო ჯანმრთელობისათვის.

კომისარიატს განზრახული აქვს ამ სატყეო აგარაკით ასარგებლოს მხოლოდ ადგილობრივი გლეხობა შესაძლებლობის ფარგლებში ისე, რომ ტყე არ დაზიანდეს.

საგზაო ბეგარა

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ უკვე ჩაატარა საგზაო ბეგარა საქართველოს სხვადასხვა სოფლებში, გზები ადგილობრივ მოსახლეობის მიერ შეკეთებულია თითქმის ყველგან, გარდა სიღნაღის მაზრისა, სადაც ამჟამად სწარმოებს მუშაობა. საგზაო ბეგარის ჩატარება წელს განსაკუთრებით ხალისიანათ ჩატარდა სამხრეთ - ოსეთის, ზუგდიდის და სვანეთის რაიონებში. სვანეთში გაიწმინდა დიდი ბილიკი 60 ვერსის სიგრძეზე. საგზაო ბეგარის ჩატარება ოდნავ დაბრკოლებით მოხდა სურამ - ძირულის გზატკეცილზე, მაგრამ ამის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

სამმართველოს ცნობით წელს თითქმის 95 პროცენტით მოიხადა ჩვენმა გლეხობამ საგზაო ბეგარა.

წყალთა მეურნეობა

ბამბის რაიონის მორწყვა

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაადგინა შეიტანოს მომავალ საოპერაციო წლის გეგმაში ბორჩალოს მაზრაში არსებულ ბამბის რაიონების მორწყვა. გაყვანილი იქნება არხები, რომლის საშუალებით უნდა მოირწყას დაახლოვებით 200 დესეტინა საბამბე ადგილები.

გეო - ბოტანიკური გამოკვლევა

საქართველოს წყალთა მეურნეობის სამართველოს განზრახვა აქვს მოახდინოს მიმდინარე წელში ალაზნის ველის გეო - ბოტანიკური გამოკვლევა. გამოკვლევის შემდეგ დამუშავდება აღმოსავლეთ საქართველოს ბოტანიკური რუკა. სასამართლო

გამოკვლევები

შრომის კომისარიატის ფიზიო - ქიმიური ლაბორატორია შეუდგა ტრამვაის სახელოსნოების და თამბაქოს საბაზისო საწყობების შინა - პირობების გამოკვლევას.

ასეთივე გამოკვლევა ჩატარდება ქსანის კრამიტის ქარხანაში და როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში.

თამბაქოს ფაბრიკაში გამოკვლევის მიზანია ნიკოტინის რაოდენობის გამორკვევა ჰაერში და მისი უარყოფითი გავლენა მუშის სასუნთქავ ორგანოებზე.

წარმოებებში გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, შრომის კომისარიატი გამოიმუშავებს შრომის ისეთ წესებს, სადაც მუშის ჯანმრთელობა უზრუნველყოფილი იქნება შესაძლებელი მაქსიმუმით.

სასამართლო

ციხისთავის საქმე

სასამართლოს გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექიმ-ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, არ შეიძლება ამ შემთხვევაში გადაჭრით ითქვას მკვლელობას ჰქონდა ადგილი თუ თვითმკვლელობას, რადგან ამ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონოდა, როგორც მკვლელობას ისე შემთხვევით თვითმკვლელობას.

შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

მხარეთა კამათი

სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. **კ. ბარამიძე** აღნიშნავს, რომ საქმესთან დართულ მასალების და მოწმეთა ჩვენებით ირკვევა, რომ გარდაცვალებულ ელენე მოსულიშვილისა და მის ქმარს შორის კარგი განწყობილება არსებობდა. მოსულიშვილის მიერ ბრალდებულისადმი მიწერილ წერილში, არც ერთი სიტყვა არ არი ნათქვამი იმის შესახებ რომ ელენეს ქმარი სძულდა.

პროკურორს დამტკიცებულათ მიაჩნია ის გარემოება რომ მოსულიშვილის ქალის მიერ თვითმკვლელობის ფაქტს ადგილი არა ჰქონია.

პროკურორი აღნიშნავს, რომ ბრალდებულის მიერ წამოყენებული ვერსიები თავის გასამართლებლად, სინამდვილეს არ შეესაბამება და დამტკიცებულად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბრალდებულმა ციხისთავმა წინასწარი განზრახვით მოჰკლა ელენე მოსულიშვილი.

სახელმწიფო ბრალმდებელი მოითხოვს ციხისთავის პასუხისგებაში მიცემას ს. ს. კოდექსის 146 მუხლის ძალით.

სამოქალაქო მოსარჩლე **მიხა ტატიშვილი** მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალმდებელს.

დამცველი **შურღაია** აკრიტიკებს პროკურორის დებულებებს და ასკვნის, რომ მოსულიშვილის ქალმა თვით მოიკლა თავი.

დამცველი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ბრალდებულ ციხისთავის განთავისუფლების შესახებ.

დღეს უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

რკინისგზელთა საქმე

გუშინ მეორე სხდომაზე სასამართლო შეუდგა საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვას, რომელიც გაგრძელდა მესამე სხდომაზეც.

მეცნიერება და ტეხნიკა

ოსტია—უძველესი სანავთსადგურო ქალაქი

უკანასკნელი წლების განმავლობაში ოსტია—ძველი რომის სანავთსადგურო ქალაქი, რომელიც მდინარე ტიბრში ჩაიძირა, თანდათანობით ცოცხლდება. იტალიელ არქეოლოგის გვიდო კალცის ხელმძღვანელობით სწარმოებს გათხრები, რომლებმაც შესანიშნავი შედეგები გამოიღო. უკანასკნელი აღმოჩენებიდან განსაკუთრებით შესანიშნავია დიდი, მშვენივრად მოწყობილი რესტორანი, მრავალი ცალკე კაბინეტებით და აბანოებით.

თუ ნაპოვნ ნაშთების მიხედვით ოსტია შეიძლება შედარებულ იქნეს პომპეასთან, თავისი ხასიათით ეს სანავთსადგურო ქალაქი არსებითად განირჩევა ვეზუვის ახლო მდებარე მხიარული ქალაქიდან, სადაც მცხოვრებლებს მხოლოდ განცხრომისა და ფუფუნებისათვის ჰქონდათ მიცემული თავი. ოსტიაში განუყოფლად ბატონობდა შრომის რიტმი. ძველი კულტურული მსოფლიოს ყველა კუთხეებიდან აქ იყრიდენ თავს ადამიანები, გემები, საქონელი, ცხოველები და სხვ.

ქალაქს გარშემო ერტყა გალავანი, რომლის შიგნით აგებული იყო უზარმაზარი 3-4 სართულიანი საცხოვრებელი ბინები და ასეთივე უზარმაზარი საწყობები. სწორედ აქ იქნა პირველათ მიტოვებული საცხოვრებელი ბინის ისეთი ტიპი, რომლის ფასადი ეზოში იყო მოქცეული. (ასეთი ბინები გავრცელებული იყო პომპეაში) და მათ ნაცვლად შემოღებული იქნა ბინები ქუჩისაკენ მოქცეული ფასადებით, აივნებით, ფანჯრებით.

ყველაფერი ეს სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა არქეოლოგებისათვის, რომლებსაც რომში ნაპოვნ ძველ საცხოვრებელი ბინების შემდეგ ვერც კი წარმოედგინათ ასეთ მაღალ საფეხურზე მდგომ საალმშენებლო ტეხნიკის არსებობა ძველად. ოსტიაში აღმოჩენილი შენობები ინტერესს იწვევენ იმ მხრივაც, რომ იქ საალმშენებლო მასალებს შორის სჭარბობს აგური. სახლების აშენების დროს სარგებლობდენ სხვადასხვაფერი აგურებით. რასაკვირველია, ტაძრების, ჰიშკრების და ზოგიერთ კერძო შენობების აგების დროს სარგებლობდენ მარმარილოთი და აგრეთვე სხვა მასალებით, მაგრამ უმთავრეს საალმშენებლო მასალას მაინც აგური წარმოადგენდა.

კიდევ უფრო საინტერესო და მოულოდნელი აღმოჩნდენ საბუთები შრომის იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც არსებობდა ოსტიაში. თურმე აქ, 2000 წლით ადრე თანამედროვე მუშათა მოძრაობის დაწყებამდე არსებობდენ ნამდვილი პროფკავშირები .პირველყოვლისა პროფკავშირში გაერთიანებული იყვენ სახელმწიფო და ქალაქის მოსამსახურეები, არსებობდენ, მაგალითად, საზოგადოებრივ სამუშაოთა, წყალსადენის, მარილის გადასახადის, რომისათვის პურის მიმწოდებელი და სხვა დაწესებულების მოსამსახურეთა კავშირები. მოსამსახურეებს არ რჩებოდენ არც მუშათა მასები, რომლებსაც ჰქონდათ თავისი პროფკავშირები—დოკერების, ხომალდების საალმშენებლო, საწყობების, მეზღვაურების და მტვირთავების კავშირები. თავისი ორგანიზაციები ჰქონდათ აგრეთვე ვაჭრებს, ხომალდების პატრონებს, აგენტებს და სხვ.

ნაპოვნი იქნა აგრეთვე კაპიტალიზმის დასაწყისი სტადიის სხვა ნიშნები. თეატრს უკან არსებობდა რაღაც ბირჟისა თუ სავაჭრო პალატის მსგავსი — დიდი ეზო 60 შენობით. ამ შენობებში მოთავსებული იყო იმ ქალაქების სავაჭრო სააგენტოები, რომლებთანაც ოსტიას კომერციული ურთიერთობა ჰქონდა.

ქალაქში არსებობდა აუარებელი სავაჭროები, საზოგადოებრივი სამზარეულოები, პურის საცხობი ქარხანა, უზარმაზარი სახელმწიფო და კერძო შენობები საწყობებისათვის, შენობა ცეცხლის მქრობელი რაზმისათვის. ყველაფერ ამას იმდენათ თანამედროვე ხასიათი აქვს, რომ კაცი იფიქრებს, თითქო საქმე აქვს 200 წლის წინათ და არა 2000 წ. წინათ არსებულ ქალაქთან.

ხეების კვება

ინგლისელმა ბოტანიკოსმა **ჯერრიმ** გამოიგონა ხილის ხეების ხელოვნურად კვების საშუალება. ჯერიმ მის მიერ გამოგონებული საშუალების წყალობით შესაძლებლად გახადა ნაყოფის მიღება ერთი ხიდან 8-12-ჯერ წელიწადში. თავის ცდებს ჯერი ლაბორატორიაში ახდენდა. ჯერის განზრახული აქვს ცდები ჩვეულებრივ ბაღის ხეებზე გაიმეოროს.

ისინის, თუ როგორ იზრდება ხე

გაზეთ „ჩიკაგო ნიუსის" ცნობით, ამერიკელმა ინჟინერმა **ბენლიმ** გამოიგონა აპარატი, რომლის საშუალებით შეიძლება მილიგრამის ერთი მეათიათასედის აწონა. ახალი სასწორის საშუალებით მოახერხეს გაეზომათ და „გაეგონათ" თუ როგორ იზრდება მცენარე, ე. ი. თუ რამდენად იცვლება მისი წონა რამდენიმე საათის განმავლობაში

ნ ა რ ე ვ ი

ახალი გაზი

როგორც „ციურიხის ახალი გაზეთი" იუწყება, გერმანიის არმიაში გამოსცადეს ახალი, სრულიად უვნებელი გაზი. ახალი გაზი ისეთს სქელნისლს აყენებს, რომ ადამიანი, რომელიც მასში მოხვდება, იძულებული ხდება, ძალაუნებურად უმოქმედოთ იყოს. ეს გაზი მოქმედობს ერთი საათის განმავლობაში და დანიშნულია საჰაერო ომისათვის.

ამერიკელები საფრანგეთში

ტურისტების ბიურო დაინტერესდა საკითხმა, თუ რამდენ ფულებს ხარჯავენ ამერიკელები პარიზში. სწორი ცნობით, რომელიც შეკრებილი იქნა ვაშინგტონის სახელმწიფო პარლამენტთან ერთად, გამოირკვა, რომ 220.000 ამერიკელმა, რომლებმაც იმოგზაურეს საფრანგეთში უკანასკნელი წლის განმავლობაში, დახარჯეს 826.160.000 დოლარი (1.652.320.000 მანეთი).

ყველაზე მაღალი სახლი

ქ. დეტრუაში (შეერთებული შტატები) ააშენეს ყველაზე მაღალი სახლი მსოფლიოში. სახლი 81 სართულისაგან შესდგება.

არწივების თავდასხმა

გენუის ახლო ავტომობილების ჯგუფს თავს დაესხენ არწივები. ორი არწივი მოკლულ იქნა, დანარჩენები გამოედევნენ მანქანას, რომელსაც დამფრთხალი შოფერი საშინელი სისწრაფით მიაქანებდა. ორი მგზავრი სერიოზულად დაკორდნეს არწივებმა.

ფიზკულტურა

ქართული ჭიდაობის შეჯიბრის დაწყება

თბილისის ფიზკულტურის საბჭომ დაამთავრა ქართული ჭიდაობის საზაფხულო შეჯიბრი. მთელი ზაფხულის განმავლობაში შეჯიბრება გაიმართა 16-ჯერ. ჭიდაობის მონაწილენი დაყოფილი იყვენ სამ წონათ (ფრანგული სისტემით)—მძიმე, საშუალო და მსუბუქი წონის. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო 274 წყვილმა მოჭიდავემ, მათ შორის საკონკურსო ჭიდაობაში მონაწილეობდა 162 წყვილი. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივ თბილისის ფიზკულტურის მოვარჯიშეთა გარდა ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე მაზრის მოვარჯიშენიც, რომელთა რაოდენობა მთელ მონაწილეთა 40 პროცენტს შეადგენს. კონკურსის გარეშე ჭიდაობაში მონაწილეობა მიიღო 112 წყვილმა მოჭიდავემ. მძიმე წონის მოჭიდავეთა პირველობა უკვე გამორკვეულია. ამ მხრივ პირველობა აიღეს—**მეჯვრისხეველმა, მ. გრდანელმა და ნაშალაშვილმა.**

მსუბუქი წონის ჭიდაობის მონაწილეთა შორის პირველობა აიღო—**ლ. დიდმელმა და ჯანვერდაშვილმა.**

დღეს, მოხდება საშუალო წონის ქართული ჭიდაობის მონაწილეთა უკანასკნელი შეჯიბრი პირველობაზე.

ამის შემდეგ თბილისის ფიზკულტურის საბჭო დაურიგებს პირველობის ამღებთ სათანადო ჯილდოს. რის შემდეგ მოხდება ქართული ჭიდაობის შეჯიბრთა დახურვა.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! 14 ენკენისთვეს, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ სახალხო სახლის (წითელი თეატრი) სარეპეტიციო დარბაზიდან ბიბლიოთეკის შკაფი სადღაც წაუღიათ და პიესები და მთელი არქივი ეზოში უპატრონოთ დაუყრიათო. თუმცა დაუჯერებელი იყო, მაგრამ მაინც მაშინათვე წაველ, რომ ჩემის თვალით მენახა ეს ამბავი. მისვლისთანავე (პლეხ. გამზ. № 102), ასეთი სურათი დამხვდა: სარეპეტიციო ოთახის აივნის წინ, ეზოში, ტალახში ეყარა მთელი ბიბლიოთეკა, რომლის მოგროვებას სახალხო თეატრის გულშემატკივარნი ოცდა ათი წლის განმავლობაში, წვითა და დაგვით აგროვდენ თითო ფურცლობით. მე როგორც ამ ბიბლიოთეკის ერთი ახლობელთაგანი, მოვითხოვ გამოკვლეულ იქნეს, ვინ ან რატომ გადაჰყარა ეს საუნჯე? ვფიქრობთ, რომ ქალაქის აღმასკომი სასტიკად დასჯის ასეთ უმეცრებისა და დაუდევრობისათვის დამნაშავე პირებს.

სახ. მსახიობი **ნიკო გოცირიძე.**

მთავრობის მოქმედება და განკარგულება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 60

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ. რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრ. აღმ. კომ. მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1926 წ. იანვრის 25-ის თარიღისა და 1-ლი №-რისა 66 მუხ. შეცვლისა და 66½ მუხ. დამატების შესახებ (კან. კრ 1926 წ. № 1, მუხ. 1);

2) 1926 წ. მარტის 10-ის თარიღისა და მე-17 №-რისა მე-100 მუხ. „გ" პუნქტ., 105, 111 მუხ., 171 მუხ. მე-2 ნაწ., 187 მუხ. შენიშვნისა და 204 მუხლის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრ. 1926 წ. № 1, მუხ. 17) და

3) 1926 წ. მაისის 5-ის თარიღისა და 29 №-რისა—81, 82, 82^2, 82^3 და 82^4 მუხლების შეცვლისა და 82^6 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

ც ი რ კ უ ლ ი ა რ ი

რესპუბლიკის საადგილ-მამულო და მაზრების საფინანსო ორგანოებს

სპეციალურ დანიშნულების და სხვა მიწების შესახებ, რომლებიც გადაეცემა სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებიდან სხვადასხვა უწყებებს

მიწის კოდექსის თანახმათ მიწა მიეცემა სასარგებლოთ სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ან ა/103 მუხლით გათვალისწინებული წესით **ხელშეკრულების დაუდებლათ** ან ბ/105 მუხლში ნაჩვენებ წესით **ხელშეკრულების დადებით.**

ა) მიწის კოდექსი არ აღნუსხავს არც უფლებრივ თვისებებს პირველი კატეგორიის მიწებისას და არც მათ ამოწურულ სიას. მაგრამ იმ მოკლეთ ნათქვამიდან, რაც კოდექსის 103 მუხლშია აღნიშნული, შეიძლება ამგვარი მიწების შემდეგი ზოგადი ნიშნების ჩამოყალიბება: 1) ამ მიწების სარგებლობის საჯარო უფლებრივი ელემენტი, ე. ი. ამა თუ იმ დაწესებულების მიწით სარგებლობა იმ აუცილებლივი საჭიროების გამო, რომელიც გამოწვეულია დაწესებულებაზე კანონით დავალებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის ფუნქციის შესრულებით; 2) მიწის სარგებლობას არ უნდა ჰქონდეს სასოფლო მეურნეობის სახე და არც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიზანი და 3) უნდა იყოს მჭიდრო და გაუწყვეტელი კავშირი მიწის და მასზე მოწყობილ აღნაგობას შორის, ან მასზე ბუნებით აღმოცენებულ, ან კიდევ მიწის გულში დებულ სიმდიდრის შორის (რკინის გზები, ციხე-სიმაგრეები, ტყეები, მადნეულობანი, სამკურნალო წყლები და სხვა).

მიწები, რომელთაც აქვთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები, ითვლებიან სპეციალურ დანიშნულების მიწებად და ვადადიან, თანახმათ მიწის კოდექსის 103 მუხლისა, სათანადო უწყების მმართველობაში ხელშეკრულების დაუდებლათ, იმ დრომდე, ვიდრე საჭირო იქნება მათი გამოყენება სპეციალურ მიზნისათვის და ასეთი მიწები გამოირიცხება სახელმწიფო სა ადგილ-მამულო ქონებიდან.

ბ) ყველა დანარჩენი მიწა, რომელსაც არა აქვს თუნდაც ერთი ზემოთმოყვანილი თვისებათაგანი, იმყოფება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში მიწის კოდექსის 102, 105 და 109 მუხლების საფუძველზე და გაიცემა სხვადასხვა დაწესებულებებზე ხელშეკრულების დადებით. ამისდა მიხედვით პირველი ჯგუფის, ე. ი. სპეციალურ დანიშნულების მიწების შესახებ მოქმედებს უხელშეკრულებოთ გადაცემის წესი, ხოლო მეორე ჯგუფის მიწების ვადასაცემად სავალდებულოა ხელშეკრულების დადება და, როგორც გამონაკლისი, დასაშვებია იჯარიდან განთავისუფლება მეორე ჯგუფის ისეთი მიწებისა, რომლების სარგებლობას არა აქვს საკომერციო მოგების მიზანი.

ზემოხსენებულის მიხედვით, მიწათმოქმედების და ფინანსთა სახალხო კომისარიატები წინადადებას გაძლევთ მიიღოთ ცნობად და ასრულებისათვის, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ უწყებათა სარგებლობაში გამოიყოფა შემდეგი მიწები:

ა) მიწის კოდექსის 103 მუხლის თანახმად, **ხელშეკრულების დაუდებლათ.**

სამხედრო უწყებას

მიწები, რომლებიც ვადაცემულნი არიან წითელ ლაშქარზე და ფლოტზე თანახმათ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1923 წლ. 28 სექტემბრის დადგენილებისა (კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. № 6 მუხლები 28—30) ბანაკების, სასროლ მოედნების, პოლიგონების, აეროდრომების და სხ. მოსაწყობად.

სახალხო განათლების კომისარიატის ორგანოებს

1. მიწები, რომლებიც უჭირავს მუზეუმებს, ძეგლებს ხელოვნებისას და სიძველეთა, ბუნებისა და საერთო ყოფა-ცხოვრებისას (მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ისტორიული მამულები, სამეცნიერო ხასიათის ნაშენები, ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები და სხვა).

2. მიწები, რომლებიც საჭიროა სამეცნიერო და სამეცნიერო-სამოსწავლო დაწესებულებათათვის მათ მიერ წარმოებულ სამეცნიერო საკვლევ მუშაობისათვის.

სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ორგანოებს

მიწები, რომლებიც უჭირავს საკურორტო შენობებს და სამოსახლოებს, სამკურნალო წყლებსა და ტალახებს, საბანაო მლაშე ტბიან წყლებს და ზღვის საბანაო ადგილებს და აგრეთვე დაცვითი ზოლს, რომელიც აკრავს სამკურნალო კურორტებს, რადიუსით არა უდიდეს 1 ვერსისა.

საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს

მიწები, რომლებიც უჭირავს საპატიმროებს მათი ეზოებით და ცალკე მიწის ნაკვეთებით.

აქ არ არის ჩამოთვლილი ყველა ის უწყებანი, რომელთა სარგებლობაშიც უნდა იყოს გადაცემული მიწის და ასეთი უწყებათა სია შეიძლება გადიდებულ იქნას იმისდა მიხედვით, სარგებლობს თუ არა დაწესებულება მიწას ზემოხსენებულ საფუძველზე.

ბ) მიწის კოდექსის 105 მუხლის თანახმად, **ხელშეკრულების დადებით,** ყველა დანარჩენი სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება გადაეცემა იჯარით ან უიჯაროთ, უიჯაროთ—იმ შემთხვევაში, როცა მიწის სარგებლობას არა აქვს მიზნათ კომერციული სარგებლობის მიღება, არამედ კულტურულ-განმანათლებელი, სამკურნალო და სხვა საზოგადოებრივ საჭიროების და მოთხოვნილების ხასიათი.

უკანასკნელ კატეგორიაში, ე. ი. იმ კატეგორიის მიწებში, რომელთა სარგებლობას არა აქვს საკომერციო ხასიათი, ეკუთვნის შემდეგი მიწები.

1. საცდელ საჩვენებელი მინდვრები, საქონლის საჯიშოებისათვის საჭირო სათიბ-საძოვრები და საერთოდ ყველა ისეთი მიწა, რომელიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ან სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულების განკარგულებაშია და რომლის სარგებლობის მიზანი არის მხოლოდ მიწის უმაღლეს კულტურისა და მიწათმოქმედების გაუმჯობესების შეტანა ხალხში და არა საკომერციო სარგებლობის აღება.

2. მიწის ნაკვეთები, რომლებიც გადაეცემა სასწავლებლებს და საბავშვო დაწესებულებებს მათ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

3. მიწის ნაკვეთები, რომლებიც ეძლევა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ორგანოებს ინვალიდთა კოლონიების, დასასვენებელ სახლების და სხვა სამოსახლო და სასურსათო საჭიროებისათვის.

4. მიწები, რომლებიც გადაეცემა სამხედრო უწყებას მის განკარგულებაში მყოფ ცხენთსაშენთა ქარხნებისათვის.

5. მიწის ნაკვეთები, რომლებიც ვადაეცემა ჯანმრთელობის კომისარიატის ორგანოებს პირდაპირ სამკურნალო სანიტარული მიზნებისათვის იმ მიწების გარეთ, რომლებიც მათ მიცემული აქვთ მიწის კოდექსის 103 მუხლის საფუძველზე.

6. მიწები, რომლებიც გადაეცემა საპატიმროთა მთავარ სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო კოლონიების მოსაწყობათ პატიმართა შრომით გამოსწორების მიზნით და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ფერმების, ბოსტნების და სხვა ნაკვეთების მოსაწყობათ. ბოსტნების და ტიმროების სურსათით დაკმაყოფილების მიზნით

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი **ა. გეგეჭკორი.**

ფინანსთა სახ. კომისარის მაგიერ **ი. ფანცხავა.**

რჩევა დარიგება

შრომითი ვალდებულების შესახებ.

კითხვა.

გვაქვს თუ არა უფლება გზების საკეთებელ სამუშაოს მაგივრად გადავიხადოთ ჩვენი ჯამაგირიდან ხვედრი თანხა შრომითი ვალდებულების მოხდის ნაცვლად?

ჩვენ, ქვემოთ ჩამოთვლილი საბჭოთა მოსამსახურენი, რიცხვით ოთხი კაცი, ვმსახურობთ ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში. მოთხოვნილნი ვართ გზებზე სამუშევრად ადგილობრივ აღმასკომის მიერ. ვინაიდან ჩვენ იმდენი დრო არ გვრჩება, ან და სამსახურის დროს ვერ შევძლებთ გზების გაკეთებას, გთხოვთ განგვიმარტოთ—გვაქვს თუ არა უფლება ჩვენ ჩვენი ჯამაგირიდან შევიტანოთ ადგილობრივ აღმასკომში სამუშევრის მაგივრად ფული და რამდენი უნდა შეიტანოს თითო მოსამსახურემ? ვღებულობთ ხელფასს თვეში, ასე: პირველი—55 მან., მეორე—50 მან., მესამე—28 მან. და მეოთხე—25 მან.

ამხანაგების მონდობილობით **ნესტორ ქლიბაძე.**

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 11-ისა, შრომითი ვალდებულება შესაძლებელია საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს დაეკისროს (ამავე კოდექსის მუხ. 12 14-ში ნაჩვენებ პირთა გამოკლებით); გამონაკლის შემთხვევებში (როგორიცაა, მაგ., სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლა, მუშა-ხელის ნაკლულევანება სახელმწიფო მნიშვნელობის საქმის შესასრულებლად). თავის-თავად ცხადია, რომ საბჭოთა სამსახურის კეთილსინდისიერად შესრულება და შრომის ვალდებულიბის ნატურით ასრულება ერთ და იმავე დროს ფიზიკურად შეუძლებელი ხდება. ამიტომ ორივეს შესრულებას ერთ და იგივე დროს ნატურით თქვენ ვეღარ მოგთხოვენ. ამისათვის შესაძლებელია, შრომითი ვალდებულება, ადგილობრივი შრომის ინსპექციის დასტურით ან სრულიად მოგეხსნათ, ან და შეგეცვალოთ ფულით. თანხის რაოდენობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ეღირება ფულათ იმ საქმის შესრულება, რომელიც თქვენ გეკისრებათ.

პარტკალენდარი

საქართველოს ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. [illegible] ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტში ამხ. კარელთან სექტემბრის 17 და 18 რიცხვებში, დღის 8-დან 11 საათამდე.

რემედასის მე-2-რე რაიკომი იუწყება, რომ შაბათს 18 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვ. 96) მოწვეულია რემედასის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედთა მდივნების და რემედასის სარევიზიო კომისიის წევრების თანდასწრებით. რაიკომის ყველა წევრების, უჯრედების მდივნების და მე-2-რე რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 18 სექტემბერს დილით 9 საათზე შესდგება **საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულია.

თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს, რათა 3 დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. როზმეგუთან: ლორთქიფანიძე შეკეთი, თავართქილაძე გიორგი, ოჩიჩავა სიმონ მიხეილისძე, ვაჩეიშვილი აქვსენტი, სვანიძე მიხეილ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება რომ დღეს, პარასკევს 17 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში მეორეთ შესდგება შემდეგი უჯრედების გაერთიანებული კრება: შინაგ. საქმეთა სახალხო კომისარიატის, მიწად.-მოქმ. სახ. კომისარიატის, საქ. ცენტ. სტატისტ. სამმართველოს, იუსტიციის სახ. კომ., და სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატისა.

დღის წყება: 1. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციის დამუშავება, 2. საბჭოთა გადარჩევის შედეგების შესახებ. მომხსენებელი ამხ. ელიავა.

დღეს, 17 სექტემბერს, დილით 1 საათზე შესდგება ს. ა .ლ კ. კ-ს თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

გულდათუთქულნი: მეუღლე იოსები, შვილი ბუთული ანთელავები, მშობლები ივგენი და ეფროსინე, ძმა ილიკო გაბელიები, სიმამრი სამსონი, სიდედრი ლიდა, მაზლი სევერიანე მეუღლით ანთელავები, დეიდები პელაგია და მარიამი, ბიძა არხიპო კიზირიები, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ზინაიდა ევგენის ასული ანთელავასა

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 19 სექტემბერს დღით კვირას 4 საათზე. ქ. ფოთი ნიკოლაძეს ქუჩა № 71. 3710

ფოთის ცენტრალური ამბულატორიის და ჯანმრთელობის აფთიაქის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი და საყვარელი ამხანაგის კბილის ექიმის

ზინაიდა გაბელია-ანთელავას

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 19 სექტემბერი, ნაშუადღევის 4 საათი, საკუთარ სახლიდან. 3710

შვილები ნიკოლოზ და მარიამი, დები: ალექსანდრა ლუარსაბის ასული ბელცმანისა ქალიშვილით ნინოთი, ოლღა ლუარსაბის ასული ეპიტაშვილისა ქმრით დიმიტრი პეტრეს ძით და შვილებით ვალერიანით, ვახტანგით და ქალიშვილით ქეთევანით ქმრითურთ გიორგი ხოშტარიათი, რძალი ვერა პეტრეს ასული კორინთელი შვილებით ბორისით, მიხეილით და ლევანით—აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ქალ. ფოთში ამ თვის 13 გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

მიხეილ ლუარსაბის-ძე კორინთელი

გარდაცვალებულის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან დღეს, 17 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე; დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3711

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

პირველათ თბილისში
ამერიკის ფილმის საუკეთესო სურათი
„სიყვარულის კომედია"
მხატვრ. დრ. 7 ნაწილად.
მთავარ როლში—საზოგადოების რჩეული
მილტონ სილსი.

დ ღ ე ს,
„მ ა ნ დ რ ე ნ" 3 და 4 სერია ერთად
უამინდობის გამო, სეანსი გადატანილი იქნება „არფასტოში"
ნ. 1745 0—14

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი
1 ოქტომბრიდან 1926 წ. ხსნის 5 თვიან
სატრაქტორო კურსებს
რომელზედაც მიიღება მსურველნი 19—40 წლამდე.
განცხადება მიიღება 25 ენკენისთვემდე. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება სახ. მეურნეობის სამმართველოში და ადგილობრივ მაზრის აღმასკომში.
ნის. 1783

შაბათს
1
ოქტომბერს
შემდეგ
შეკეთების
კინო
სოლეის
გახსნა
ეკრანზე
საუკეთესო სურათი
აბრეკ
ზაური
მთავარ როლებში—საქართველოს სახალხო მსახიობი ვ. გუნია, ვ. გეთაპევი, ა. თაყაიშვილი, ბ. ჩიჩილაშვილი, აბაშიძე?ბა, განტერინა და სხვები. ნ. 1785

ექიმი
გ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74 ნეე-საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) ავთიაქის. ახლოს. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 348 25—1

პირველ სახელმწიფო
საბუღალტერო კურსებზე
სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დღისით 1—2 საათამდე, საღამოთი 6—7-დე.
კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის მელიქოვისა) № 12.
3—1 3652 კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი.

პროვინციის ცხრაწლედისათვის
(რკინის გზის სადგურზე)
საჭიროა 2 მასწავლებელი
უმაღლესი განათლებით (მათემატიკოსი და ბუნებისმეტყველი ანუ აგრონომი). ჯამაგირი გასამკეცებული. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება იპოლიტე ვართაგავასთან: განათლების კომისარიატი ოთახი № 10.
ნ. 1780 2—1

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მ ი ს ა მ ა რ თ ი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ"-ზე და „ახალ სოფელ"-ზე პროვინციაში ხელისმოწერათა მიღება

შ ე მ დ ე გ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ შ ი:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის" მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრი[illegible]
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისთვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**.—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**— მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ეხტატე შინშიაშვილთან.**

0—1

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

სახელმწიფო ოპერა
შაბათს, 18 სექტემბერს კვირას 19 სექტემბერს
გაიმართება
ო რ ი ს ა ღ ა მ ო
მოსკოვის მხატვრულ აკადემიურ თეატრის სამუსიკო სტუდიის მსახიობთა.
ვოკალური კვარტეტი შემდეგი შემადგენლობით: ნ. ვ. ზვიგუნოვი, ს. დ. ფედოროვი, მ. მ. პოპოვი, პ. გ. იგნატიევი.
დაწვრილებით აფიშებში. ბილეთები იყიდება.
ნ. 1784 3—1

გაზ. „კომუნისტი"-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი).** რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 უფ. **მთავარი კანტორა**

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
ხაწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ე ქ ი მ ი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ე ქ ი მ ი
მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში
ურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ღ.

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82.

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ) ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 31—63. 25—1
მსურს ავიყვანო

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
ხიეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კამედტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

წყლებით სამკურნალო
(ზაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სასისხლის ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი, გაცემული ნოქალაქევის რაი-სამხედრო მაგიდის მიერ 1924 წლის 18 ივნისის თარიღით № 146. ათანასე რაჟდენიძე სახელზე, ჩ. გ. 3708

დაკარგა პირადობის მოწმობა მე-3 სამილიციო უბნიდან გაცემული და სამხედრო აღრიცხვის ბარათი პარმენ ბეჟანმირსძე ჩხეიძის სახელზე ჩ. გ.

დაკარგა აღრიცხვის ფურცელი № 393 და პირადობის მოწმობა, ირაკლი ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3706

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 760 ზურაბ სოლომონის ასულა მეჯავარიანის სახელზე, ჩ. გ. 3704

დაკარგა მეტრიკა და მმაჩში დაქორწინების მოწმობა, გაცემული ანიჩკა ლევანის ასული ხორხომელიძის სახელზე, ჩ. გ. 3703

დაკარგა მიწა-ტყის პროფკავშირის წიგნაკი № 15571 გიორგი იობისძე შავგულიძის სახელზე, ჩ. გ. 3702

დაკარგა პირადი წიგნაკი ფორმა, № 4. და კავშირის წიგნაკი № 14285. გიორგი პორფილესძე ახობაძის სახელზე, ჩ. გ. 3701

დაკარგა პირადობის მოწმობა № 2309 და რეგისტრაციის ბარათი № 1054. მუშკოოპის წიგნაკი ილია მიხეილის ძე მონაშეროვის სახელზე, ჩ. გ. 3700

დაკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ფურცელი იოსებ შამილესძე კაკიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3700

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 14090 მოცემული ქუთაისის განათლების კავშირიდან დავით ალექსანდრეს ძე ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 3703

დაკარგა ქალაქის ლომბარდის ქვითარი № 4569, 2047, და, 3802 ჩ. გ. 3709

დაკარგა კავშირის წიგნაკი, გაცემული ფოთის სატრ. კავშირის მიერ № 726, სილიბისტრო გეილავას სახელზე, ჩ. გ. 1782

დაკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 7067 კასტა ქეშიშევის სახელზე, ჩ. გ. 3707

დაკარგა მოწმობა № 1146, მოცემული ჰაპოტის ცხრა წლედის გამგის მიერ მარიამ კვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 3707

დაკარგა ბავშვის ელიზას რძის წიგნაკი, მოცემული ქ. გორის დამზღვევ სალაროდან ბაგრატ მახაბლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3707

დაკარგა პირადობის წიგნაკი № 1434, მიღებული ფოთის მილიციისაგან დავით პავლესძე აღლაიაშვილის სახელზე, 3707

დაკარგა სამხ. სამსახ. წიგნაკი № 1511 მოცემული ქ. სამტრედიის სამხ. მაგ. მიერ და პირადობის მოწმობა № 141, მოცემული ქ. ქუთაისის მაზრის გამოჩინებულის თემის აღმასკომის მიერ კოწია პავლესძე ტორონჯაძის სახელზე, ჩ. გ. 3707

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68